

პოეზია
თემურ ელიავა
სოფო ლლონტი
ნანა ლვინიაშვილი

პროზა
ალექსანდრე კაკიაშვილი
საბა ქვათაძე

კრიტიკა-კრიტიკა
ნინო ლარბაისელი -
შოთა ჩანტლაძის „მანიფესტი“
გუგა მგელაძე -
ანდრო ბუაჩიძის კრებულზე

ახალი თარგმანები
იური მამლევი
როალდ ლალი

საქართველო
1852

N4 2024

ქადაგი გრიმი





№ 4 // 2024

ლიცენზიანტური – სამუშაო დოკუმენტი
ქუთავის მუნიციპალიტეტი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მარინე სიყმაშვილი

დიზაინი
ირაკლი უშვერიძე

ქუთავის მუნიციპალიტეტი
სამუშაო დოკუმენტი
კულტურისა და სპორტის
სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE
AND SPORT OF GEORGIA

სარჩევი

| | | | |
|---|-----------------------------------|--|-----------|
| პოვინი თემურ ელიავა სოფო ღლონტი ნანა ღვინიაშვილი | 3 7 12 | გუგა მგელაძე ყოფნის ხსოვნა (ფიქრები ანდრო ბუაჩიძის კრებულზე „ტრამვაი, სახელად წარსული“) | 48 |
| პროგა ალექსანდრე კაკიაშვილი მოგონებებით მოვაჭრე | 15 | წარიმოთხოვთ პატარებს მარიამ წიკლაური ლექსები | 52 |
| საბა ქვათაძე მოთხრობები | 33 | ახალი თარგმანები იური მამლევევი ვალუტა რუსულიდან თარგმნა ბესო ხვედელიძემ | 58 |
| პრიტიქა-ესეისტიქა ნინო დარბაისელი-სტრონი შოთა ჩანტლაძის „მანიფესტის“ პოეტიკა (ანუ შემოქმედი – ტოტალიტარისტულ გარემოში, ორი ოპუსი) | 38 | როალდ დალი დამთხვეული ფოქსლი ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ სონდულაშვილმა | 65 |

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
 გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
 უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვ-
 ლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-
 ლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

თემურ ელიავა



„მოწყდნენ და გაფრინდნენ,
გაფრინდნენ, გაფრინდნენ
ფოთლები,
ფოთლები“.

ანა

ატირდა დედა და ლამის მეც ავტირდე,
დალონდა დედა და მეც, მეც ვლონდები.
მოწყდნენ და ღრუბლებში გაფრინდნენ, გაფრინდნენ
ხის თბილი ოდები.

რა ტკბილად მღეროდნენ სიმღერებს ზღაპრიდან,
პეშვით წყალს გვასმევდნენ და როგორც გედები,
მოწყდნენ და გაფრინდნენ, გაფრინდნენ, გაფრინდნენ
დედები, დედები...

წინსაფარს თეთრ ღერლილს ქარები აყრიდნენ,
ქარები ჩამდგარან კვნესით და ვედრებით,
როდესაც გაფრინდნენ, გაფრინდნენ, გაფრინდნენ
დედები, დედები...

ძლიერად ვკიდებდით ხელს, ხანაც ხელკავით,
სიტყვითაც მოვთაფლეთ, ენითაც მოვშაქრეთ,
მომწყდარი ვარსკვლავი გულივით გვეკავა,
ღრუბლებში ეკიდა ბავშვობის დოშაქი.

ვევედრე დარჩენა მეგობრებს, ადრინდელს,
ძველებს, ვით ჭორობში ტაძარი ოთხეთა
და მაინც, გაფრინდნენ, გაფრინდნენ, გაფრინდნენ
ფოთლებთან, ფოთლებთან...

მინდვრებში მოვიდა ცისთავალა აპრილთან,
წელში გაიმართა ღოღნაშოს ჩითილი,
სახლი კი, გაფრინდა, გაფრინდა, გაფრინდა,
გაფრინდა ჩიტივით...

სიშავე გაშინებს, გამძიმებს ვიდრემდის,
ენაზე ჭვარტლი და გულმკერდში გიშერი,
მოვალ და გიშველი! ფოთლებით მინდვრების
მოვალ და გიშველი.

ატირდნენ ფოთლები, ლამის მეც ავტირდე,
ისინიც ატირდნენ და როგორც გედები,
მოწყდნენ და გაფრინდნენ, გაფრინდნენ, გაფრინდნენ
დედები, დედები...

ბედინის ლოცვა

სარკევ, როცა გკითხავენ,
სარკევ, სარკევ, მითხარი
– ვინ ქსოვს ჩემზე ლამაზად,
ხელი როგორ მიჰყო?!
როგორც მეფე მრისხანე,
ცივი, როგორც სისხამი,
ძველი, როგორც ქვის ხანა,
ჩუმად უნდა იყო.

სარკევ, როცა გკითხავენ,
სარკევ, სარკევ, მითხარი
– მწუხრის მოსვლისთანავე,
თორმეტ წუთზე ათის,
სამაისოდ ნამარტი,
მკერავებში ჯაკარტის,
სად ინახავს მაკრატელს?
სად ინახავს სათითს?

გვალაგებზე ალაგებს
ბამბის ნაჭრის გვალაგებს,
ბაზრობაზე ქალაქის,
სადაც თიხის კათხებს,
დოქებსა და საინებს,
უხეიროდ სამივეს,
ძერნავს იასამნიმი,
ლამაზია მაღვთუ.

დაიფარე მტრისგან და
რაც დარჩება მტრისგან და
რა დარჩება, მტვრის გარდა,
ნაცარი და ცარცი,
გაბზარული ცალყურა,
მაგრამ, რაკი მსახურად
ორი მტრედი სახურავს,
წითური და ქარცი,

შემჯდარიყო იმ მხარეს,
სადაც სურომ იხარა.
„ძილი ნების“ გითხარი.
სასთუმალთან ახლოს,
როგორც სიმწრის მოთმენა,

როგორც მიწის მოთმენა,
ორი გულისოდენა
ორი მტრედი სახლობს.

სარკევ, როცა გკითხავენ,
სარკევ, სარკევ, მითხარი
– ვის სახლს იასამნიმი
გადახურავს ისლით?
ვის გზაზეა არანი,
თავრიზი და მარავი?
დაანახე არავინ,
დაანახე ნისლი.

ტრიატიქი ძილის რინ

1.

პირველად რომ გამიფრინდა ხელიდან პატარა ბელურა,
დიდხანს ვუცდიდი.

დარაბებს ვაღებდი, ღიად ვტოვებდი ფანჯრებს და ვუცდიდი.
ატმის ხის კენწეროს შევსცექეროდი და ვუცდიდი.

ხან გალობით ვიხმობდი შინ, ხან სიზმრით.

და აი, კუჩხის განთიადს პირველმა სხივმა რომ გამოანათა,
შემოფრინდა პატარა ბელურა ღია ფანჯარაში,
მხარზე დამაჯდა და აჭიკჭიკდა:

– მთელი ცა შემოვიფრინე და სადაც ცა მთავრდება, იქ ვიყავი.

როკაპია იქ, აკაციის სარზე გვარლით მიბმული,

სარი კი ლრმად მინაშია დასობილი.

ამოაქვს სარი მიწიდან როკაპს

და როდესაც სარის ამოლებამდე მტკაველი დარჩება,
მივფრინავ როკაპთან, სარის კენწეროზე ვჯდები და
სარი ისევ ღმად ესობა მიწაში.

კუდიანებს ადამიანების გულები მოაქვთო როკაპთან,
განმრიგემ დასწევევლა როკაპი და მე თვალყური დამაკისრა.

პატარა საოცარო ბელურავ, რატომ არის ცა ასეთი მაღალი?

– შევეკითხე მე.

– რატომ არ მოფრინავენ ზამთარში მერცხლები?

და ისევ აჭიკჭიკდა პატარა ბელურა:

– პირველად, როცა ზამთარში მოფრინდნენ მერცხლები,
რაგვები ააწყვეს სოფლის ბავშვებმა.

დაყარეს ფევილი.

ბანარი გააბეს ფანჯრიდან, სიცოცხლის ძაფივით და
მერცხლებს ჩაუსაფრდნენ.

ცა ჩამოიქცა. ზამთარში ხელისგანვდენაზეა ცა.

ამონყვიტეს ზამთრის მერცხლები სოფლის ბავშვებმა.

მხოლოდ ერთი ახალგაზრდა მერცხალი გადარჩა იმ ზამთარს,
მაგრამ, დაჭრილი, მაღლა რომ აფრინდა,

ცას შეასკდა და თოვლზე დაენარცხა.

იმის მერე გაზაფხულზე მოფრინავენ მერცხლები,
როდესაც მაღალია ცა.

როცა გამიფრინდება ხელიდან პატარა ბელურა,
დავადებ დარაბებს, ღიად დავტოვებ ფანჯრებს.

გალობით მოვიხმობ შინ.

შენ კი, თავზე ხელს გადამისვამ და
მეტყვი, რომ ბეღურებს არა აქვთ სახლი.

2.

ხორბალმა მითხრა, პური გამოაცხვეო და პური გამოვაცხვე.
სიმინდმა მითხრა, წამილე წისქვილშიო
და მენისქვილის ტყუილებზე დამფქვი.
ჭვავს შევეკითხე: – არაფერი თქვა ჭვავმა.
მაშინ წყალში ჩავყარე ჭვავი და არაყი დადგა.
სახლი გადაგხურე და მამალი დააჯდა ბირკულს.
ჭა გავთხარე და თიკნებმა მოიკლეს წყურვილი.
დავლონდი, მაგრამ სტუმარი მოადგა ჭიშკარს
– ომი დამთავრდაო!

რასაც ხელი მოვკიდე, ოქრო გახდა.
რასაც ვაკოცე – წყალი,
მაგრამ, ჩემთანაც მოვიდა სიბერე
და თვალები თოვლივით გამითეთრა.
ვისხედით მე და სიბერე სახლის წინ, ხის ჩეროში და ვიმეორებდით:
– რა იყო ეს სიზმარი?!
რა იყო ეს სიზმარი?!
მდინარის პირას ჭრელ და კოპლებიან კრავებს შობდნენ ცხვრები
და ხალხი მოდიოდა სანახავად შორეული სოფლებიდან.
ჩვენ კი ვისხედით სახლის წინ ხის ჩეროში და ვამბობდით,
რა დაგვრჩა ამქვეყნად უნახავი.
მერე მოფრინდა პეპელა და ძემპირდა,
რომ ხვალაც მოფრინდებოდა.
შენ კი თავზე მისვამდი ხელს და
მეუბნებოდი, რომ ერთი დღე ცხოვრობენ პეპლები.

3.

ბუხრის საკვამურში ქარი ჩადგება და გამოჩნდება მხედარი.
ის იქნება, როგორც ფასკუნჯი, რომლის ირაოს თვალს ვერ მოწყვეტ,
რომლის ყივილს მთები პასუხობენ,
რომლის მზერას მინდვრის თაგვიც კი ვერ დაემალება.
ის იქნება, როგორც ფასკუნჯი.
ქალაქში, ჯიხურებზე, წვიმა რეცხავს აფიშებს იტალიური ფილმების
და ჩვენ ალარ გვახსოვს ჭორფლები და შოკოლადის ნაყინი.
გამოცდებს ცუდი პირი უჩანდა
და ზაფხულისთვის გეგმებს ვსახავდით.
და მე მეკავა შენი ზურგჩანთა
და ისე ახლო იყო სახლამდე.
ჩვენ ალარ გვახსოვს ტროლეიბუსები.
უმუშევარია ყველა ვატმანი ამ ქალაქში.
მე ვზივარ და ველოდები,
ნისლებიდან როდის გამოფრინდება ფასკუნჯი,
რომლის ირაოს თვალს ვერ მოწყვეტ,
რომლის ყივილს მთები პასუხობენ.
შენ კი, თავზე მისვამ ხელს და
მეუბნები, რომ არ არსებობენ ფასკუნჯები.



სოფო ღლონტი

●

თენდება, ალიონს ვესწრები,
შუქ-ჩრდილით ივსება ეს ქუჩაც,
შენს სამოსს მაგონებს ზენრები,
სახლებს რომ პროფილში მოუჩანს...
„იფხიზლეთ“ ჩამესმის შენი ხმა
და მაინც გვიპოვნე მთვლემარედ,
სად ზეთისხილებმა შეგვრისხეს
ლამისფერ თვალების სამარით..
თავს იკლავს, ვინც გაგცა ამბორით,
მე კი დარდისაგან ვილევი,
თანდათან ნათდება თაბორი,
ამ სულით ვგრძნობ, ნაცოდვილევით
მოგდევ და გეძახი: „რაბუნი!“ –
თვალებით ვეხები ცის კიდეს,
ამ ბოლოს სულ დავძაბუნდი და
გთხოვ, მოდი, ხელები ჩამკიდე...
გათენდა, რამდენი ხანია,
განათდა, ვით შენი სხეული,
თაბორი და გეთსამანია
ცრემლებით, სისხლად დანთხეულით,
კვლავ მოიშუშებენ იარებს,
კვლავ მოიშუშებენ იარებს...
მე, ამდენ ჯვარცმას გავუძლებ?
იმ ტანჯვას, რაც გამოვიარე?...
თენდება, ალიონს ვესწრები,
შუქ-ჩრდილით ივსება ეს ქუჩაც,
შენს სამოსს მაგონებს ზენრები,
სახლებს რომ პროფილში მოუჩანს...»

●
 ველის შროშანებს შევავლე მზერა,
 თავბრუდამხვევი მომედო უინი,
 მსურს განახლების დიადი ერა
 დადგეს, დაეხსნას ბოთლიდან ჯინი.
 მეც განახლების დამიდგეს უაში,
 ფერებ-ფერებით გავუყვე ბილიკს,
 დილით, შროშანებს დავდინდე ნამად,
 ლამით მდინარის შევერწყა ლივლივს...
 რა სურს ქარს ნეტავ, რას ფიქრობს იგი?
 აფორიაქებს, რომ არხევს შროშანს?
 მსურს გადავშალო ვითარცა წიგნი,
 ბოლო გვერდიდან, რომელიც შორს ჩანს...
 თუმცა ველია, მეც ველი, ველი...
 გაზაფხულს, ცრემლადგადმოლვრილ სისხამს,
 ო, რაბი, შენ ხარ შროშანთა მცველი,
 მათი მოშურნე გველების რისხვა...
 ველის შროშანებს შევავლე თვალი,
 მეც განახლების მომინდა როკვა,
 ფიქრი აღარ მაქვს მომავლის, ხვალის,
 ურნმუნოების ვამსხვრიე კოკა...

ძვირფასო „მასტერ“!

მთვარის პორტრეტზე შეგნიშნე წუხელ,
 მკრთალი ხაზებით ავლებდი შენს ლანდს,
 ჩემს საიდუმლოს ვერავის ვუმხელ,
 მხოლოდ შენ გესმის და მხოლოდ ვოლანდს.
 ჩემი სიგიჟის მიზეზებს ხედავ
 ამ სკეპტიკოსი პოეტის თავით,
 მოკვეთილი ვარ ცხოვრების ხიდან
 და ამ კედლებმაც გამხადეს ავად.
 ავად ვარ, ავად, მეახლე, მოდი,
 ვგრძნობ მარგარიტას ამბორის ძალას,
 ის, რასაც მაშინ აქ მიამბობდი,
 მიამბე ისევ, ნუ დამიმალავ.
 საფიქრალს ისევ, ვისევ და ვისევ,
 პილატეს ირგვლივ ვწრიალებ, ვბორგავ
 და იეჟუას უცოდველ სისხლზე
 რწმენის თესლს ჩავყრი და მერე მოვრგავ.
 ძლიერ ცივია საკანი ჩემი,
 ძილი გამტყდარი, პილატეს მსგავსად,
 მთვარის სხივს გაჰყვა სხვა დანარჩენი,
 რაც რამ გამაჩნდა დევს გულზე ხავსად.
 და მეშინია სიჩუმის ახლა,
 შავი კატის ხმას გავურბი, ვუფრთხი
 რომ ჩემს ბედს ზეთის სურნელი ახლავს
 და ბრბოს ურნმუნო განმბანველ ფურთხით
 ვიწმინდავ თვალებს, ჰანოცრის დარად

და პონტოელი პილატეს ბედზე,
გაუშვებ ალბათ, პილატეს, ალბათ
და არ დატოვებ იუდას ხეზე.
მთვარის სხივებზე შეგნიშნე წუხელ,
დარდი არ გქონდა ცისა და მიწის,
რადგან გაიგე და უკვე იცი,
ხელნაწერები არასდროს იწვის.



დაობლებულა სახლი, ეზო-კარი და ოდა,
უნაფეხურო თოვლზე ფიფქიც ფრთხილობს და კრთება,
სიოც არ იძვრის ახლა, უნინ რომ ქარად ქროდა,
მზეც ესვენება სოფლის, თანდათან, ნება-ნება...
საკვამურიდან ლადარს, ლაფავს, ამოსდის სული,
იქვე, მეზობლის ძაღლი ისევ აგრძელებს წკავნკავს,
მისტირის თავის პატრონს, რომელიც ცხოვრობს ქალაქს
და მოლოდინით დაღლილ მიწას ქექავს და კანრავს...
დაობლებულა სახლი, ეზო, კარი და ოდა,
ჰაერიც გაუქლენთილა სურნელით მარტოობის,
ხავსმოდებული სახლი, თითქოს იღიმის ოდნავ
ვერშესამჩნევი ცრემლით და კაეშანით ობლის...
დაუმეგობრდა სევდა, მაინც მედიდურ კოლხეთს,
წარპაზიდული უმზერს, მთვლემარე სოფლის შარას,
იქნებ დაბრუნდეს კაცი,
იქნებ დაბრუნდეს კაცი,
იქნებ დაბრუნდეს ჩქარა!...



ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა,
შეაკრთობს ხევებს, კვლავ უმიზნო ურჩი ხეტებით,
სულის ნიმფებმა გამოსტაცეს ბახუსს ფიალა
და მოაჩვენეს უდაბნოს მზეს ლურჯი ხედები...
ეს მერამდენედ აურია აურზაურით,
შრიალ-შრიალით, ზათქა-ზუთქით კედლებს ანყდება,
ალარ მაკვირვებს, ალარ მტანჯავს დღეს ეს ხმაური,
რომ არ იდარებს, არც ამაზე გული არ მწყდება...
აქ, ამ ქაოსში, მე ყინულის ლოდებს ვაგროვებ,
ვათბობ ჩემს მკლავზე, სისხლის არცთუ მკვეთრი დინებით
და ვულკანებად ამოვხეთქავ უკვე ნაგროვებს,
დღეს პოეზიის ცეცხლის წვიმად ჩამოვდინდები...
ო, ეს ქარები, კვლავ იქროლოს რექვიემებად,
თუნდ „ტარანტელა“ წაუცეკვოს წყალთა ბილიკებს,
დღეს მე დავიჩის „ცრუ ლიმილი“ მეიმედება,
ჩუმი მდინარეც ადიდდა და ლალად ლიკლიკებს...
ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა,
მუზაც დამიფრთხო სუსხიანი, ცივი ხელებით
და ეს ლექსებიც ფანტელებად ააფრიალა,
მე კი უმიზნოდ უგზო-უკვლოდ დავეხეტები...
ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა....

ქარმა გაფანტა ფოთოლთა და ყვავილთა გროვა
და ჩემი ფიქრი გადალლილი ნისლებში ათევს,
ვიცი, რომ ბალში განახლების წუთებიც მოვა,
მე კი ლოდინი, მოთმინება დღეს ისევ მმართებს...
შენთან შეხვედრის მოლოდინით გავყურებ ფერდობს,
ქარში კი მხოლოდ ყვავილების სიმღერა ისმის,
ვიცი, რომ ამგვარ გამოძახილ ხმებს უნდა ვენდო,
თუნდ ჰორიზონტზე დამაპნევლად მოჩანდეს ნისლი...

●
რაღა მოვუხერხო ზამთრის გულის ფეთქვას,
თოვლით გადამტვრეულ ტოტებს,
ბეჭერ, შემოძარცვულ, შიშველ ატმის ხესთან
უკვე გაზაფხული გოდებს...
რაღა მოვუხერხო ფესვებს, უკვე გამხმარს,
მობეზრებულსა და დალლილს?
როს ჩუმად იშუშებს ტკივილებს ახლა
ზამთარგამოვლილი ბალი...

იუდას მონოლოგი

წაიღეთ ვერცხლი, მომაშორეთ თვალთაგან ახლა!
შემჯავრდა ჩემი უმადური მოდგმა და ჯიში!
ვერ ვუძლებ ტკივილს, რაც იმ ღამის სინანულს ახლავს,
ვწყევლი იმ წუთებს, რომ ამ ქვეყნად დაცუმით ვიშვი!
მე ვგმობ ჩემს ბაგეს, რადგან უფალს შეჰკადრა კოცნა,
იმავე ბაგემ იცრუა და გაყიდა მხსნელი,
რატომ არ გასკდა დედამინა მაშინაც, როცა
ოცდაათ ვერცხლით რომ ავიგსე მემრუშე ხელი!
შენდობას ვერა, ვერ შეგკადრებ უფალო, რადგან
ვერც წმინდა ტრაპეზს შევექეცი კრძალვით და კდემით,
არა ვარ ღირსი, წმინდა მიწას მე ფეხს რომ ვადგამ,
დავპატარავდი ერთ ღამეში დავბერდი, ვკვდები...
ვიცი, რომ მერე მატიანეც შემრაცხავს მტრად და
შთამომავლობა გაიხსენებს იუდას კრულვით,
თურმე რამხელა ბოროტების ჩადენა მწადდა,
სისასტიკეა, მკერდში მიცემს უგვანო გული...
წაიღეთ ვერცხლი, მომაშორეთ თვალთაგან ამ წამს,
ასე რომ გაქრა წმიდა სული, ფარფატა მტრედი,
ჩემი სიცოცხლე მსურს მივანდო თოკსა და ბაწარს,
სადმე ხეზე მსურს ჩამოვკიდო ჩემივე ბედი...
წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი...

●
 შემომადნა ზამთრისაგან ნასესხები თოვლი,
 დაიგრგვინა გაზაფხულის ნაწამებმა ელვამ,
 ახლა მინდა, რომ შევიგრძნო დასაბამი ყოვლის,
 ახლა მინდა გადამედოს ტალღებისგან ღელვა.
 შემოფრინდეს ჩემს სარკმელში მოლულუნე მტრედი,
 ანტიკური საოცრება შევიმეცნო მითად,
 არ ვირწმუნო დაწერილი ბედისწერა, ბედის
 უხმაურო ხმაურისგან რომ ავაწყო რითმა...
 შემომადნა გაზაფხულის ანაცრემლი თრთვილი,
 მომენატრა გარიურაჟის სიოს ნაზი თრთოლა,
 ამ შეუცნობ საწუთროში შუქ-ჩრდილებით ვივლი,
 სანამ ქვეყნად ავბედითი აღსასრული მოვა...

●
 ნუ გამანადგურებ, ვერ შემქმნი ახლიდან,
 ისედაც ქალური სისუსტით ვბანცალებ,
 მეგონა, ადამი ჩემ წინ თავს დახრიდა,
 ახლა კი, გათელილს, სიკვდილი მაცალეთ...
 ქალებს ხომ თან დაგვყვა ზღაპრებზე ოცნება,
 მოგონილ რაინდებს წაექცათ რაშები,
 ქალწულის შემქმნელი უფალი ოცდება
 მოგვძახის: „ო, ადამ, შეჩერდი, რას შვრები?!“
 ნუ გამანადგურებ, ამით ხარ ძლიერი,
 მე ბევრი არ მინდა, მსურს მხოლოდ ქალობა,
 მხოლოდ ჩემს რაინდთან ვიყო ბედნიერი,
 ველოდო სამოთხეს, როგორც ღვთის წყალობას...
 ნუ გამანადგურებ, ვერ შემქმნი ახლიდან,
 ისედაც ქალური სისუსტით ვბანცალებ,
 მეგონა, ადამი ჩემ წინ თავს დახრიდა,
 ახლა კი, გათელილს, სიკვდილი მაცალეთ!





ნანა ლვინიაშვილი

●
ხვდები? რომ უკვე შენს თავს არ ჰგავხარ,
შიშველი ხელით სულს აცლი ეკლებს,
თავს მარიდებდი ჯერ კიდევ გუშინ,
დღეს უსაშველოდ შემომეკედლე...

ხვდები? რომ ლოდინს ჰქონია ბოლო,
უსასრულოა, თუმცა ამბობენ
და უმნიშვნელოდ რომ თვლიან სიტყვას,
სიცოცხლის ბოლოს იმას ნანობენ...

ხვდები თუ ვერა, თუ არც კი იმჩნევ,
შენი სამყაროს გაზაფხულებას,
თუ სიძულვილმა შენს გულს ვერ ავნო,
ზამთრის მზე როგორ გაახუნებდა...

ხვდები, რომ უკვე შენს თავს არ ჰგავხარ,
საძირკველმოშლილ მოჰგავხარ ყორეს,
შენ უჩემობა სულს მაშინ გატკენს,
ლოცვასავით რომ გამიმეორებ...

გაიმეორებ სხვათა მონაჭორს...
გულწრფელ სიტყვებს რომ არასდროს ენდე
და ყველა უარს ჯალათად აქცევ,
უკანასკნელი სიცოცხლის დღემდე...

●
 ნამზეურ დლექს ისე უხდება,
 ნახანძრალ ხეთა აყვავილება,
 რას არ დავთმობდი, ოლონდ მენახა,
 გზის ბოლოს ვინ რას დამატირებდა...

ან თუ საერთოდ მეტყოდნენ რამეს,
 მძიმე სიტყვათა მოწუქურთმებით,
 მე ხომ იმ ბუხრის საკვამურს ვგავარ,
 სადაც ჩანაცრულ ფიქრად ვქუჩდები...

მთელი ცხოვრება ჩემს შეცვლას ცდილობ
 და ეს დღეებიც სიშიშვლეს ჰგავდა,
 თუ შევიცვლები ჩემივე ნებით
 და შენი ნების გარეშე წავალ...

●
 არც სადედოფლოდ მორთულ ლამეს უგვრძნია, ალბათ,
 ხმაჩაწყვეტილი აჩრდილების ძალა და რისხვა,
 ადამიანსაც – უნიგნურს და უშუბლისძარლვოს –
 ვერ გაუცოცხლებს შინაგან მეს, ვერც სინდისის ხმა...

ვერც წლების მერე დათოვლილი ჭალარით იცნობ,
 კაცს ნაცუდკაცარს ან, პირიქით – ნაკაიკაცარს,
 დაიმახსოვრე, თუ დაგლუბავს შენივე ენა,
 გულს თუ ფიქრების დადინჯება არ დააცადა...

როგორი მძიმე ან მსუბუქიც არ უნდა იყოს,
 შენს წვრილ მაჯებზე შეფენილი ყველა იარა,
 მერწმუნე, წუთი მზიან დღესაც ემახსოვრება,
 როცა მის გულზე ქარიშხალმა გადაიარა...

არც ჩაბნელებულ სარქმელს ხსნიან ისე უბრალოდ,
 არც უმიზებოდ არ ანგრევენ ჯებირს და ხიდებს
 და მე ვარ, ალბათ, ერთადერთი, ვინც ამ ნანგრევებს,
 სამკაულივით მოელვარეს წყვდიადშიც იხდენს...

წუთები ასე ჩანაცრული ასგზის და მეტჯერ,
 ყველა გარდაცვლილ ოცნებაზე უფრო მტკივანი,
 ყველაზე კარგად შეგასწავლის უგაკვეთილოდ,
 თუ შენი მტერი მოყვრის ნილბით დღემდე ვინ არი...

●
 და ახლა უფრო იმის იქით, ვიდრე ჩანს რამე,
 მზე ყოველ დილით დაბადებას ცდილობს ახლიდან,
 ის ცივ ღრუბლებში მიმალული ეძებს სიცოცხლეს,
 შენ ვერ ისწავლე გაღვიძება მძიმე ლამიდან...

მას შემდეგ, როცა კვლავ დაეტყო დღეებს სახადი
და ნაადრევად დაბერებულ თითებს მიენდე,
რომლებიც ასე შეუცდომლად წერს ყველა ტკივილს,
მანამდე სანამ, თავს უცრემლოდ გამოიდებდე...

თუ უფრო მეტად უდღეობა მაშინ იგრძენი,
კიბის ნაცვლად რომ სიმარტოვე გესაფეხურა,
იქნებ გიჯობდა კვლავ სხვის სულთან ორპირის ლოდინს,
შენში მძვინვარე ქარიშხალი გამოგეხურა...

ნუ მკითხავ, როცა საკუთარ თავს ვებრძვი – რა ხდება?!
ან დაზამთრებულ ფიქრში როდის ყვავის ენძელა,
ეს რომ გაიგო, უნდა მიჰყვე იმ გზას, რომელზეც,
პირველად გავლა უქალამნოდ როგორ მეძნელა...

ნუ მკითხავ, რას ვგრძნობ, როცა ჩემში ველარ ვეტევი,
როცა სიცოცხლე ერთ სუნთქვაში ვერ ჩავატიე,
არ ლირს კითხვადაც, დამიჯერე, ჰოდა, ამიტომ,
შენ რაც გინდოდეს ან რაც გეთქმის, ის დამატირე...

და ახლა უფრო იმის იქით, ვიდრე ჩანს რამე,
ხარ უპატრონო საფლავივით და უწარწერო,
უმტკივნეულოდ ვერ იგრძნობდი სხვის ცრემლს, ამიტომ,
შენი სიცოცხლის ყველა წუთი შენ უნდა წერო...



ალექსანდრე ჭავიაშვილი

მოგონებებით მოვაჲრა
ანუ
შემსრულებელი ხაროვანისი

**ნიუ-ორლეანი. ლუიზიანა (ა.შ.შ.)
სენტ-ლუის სასაფლაო N-1
დრო: 00:00 სთ.**

ღამის წყვდიადით მოსილ გარდაცვლილ სხეულთ მდუმარება საგანგებოდ დაეთმოთ და სამუდამო განსასვენებლიდან მიწად აღმოცენებულნი უჩვეულოდ ფუსტუსებდნენ. ირგვლივ არსებული ენით ალუწერელი მოლოდინი მათ უხორცო სხეულში აღზევებულიყო და მათსავე საფლავში ძვალთა მომლოდინე ჩვართა შორის უკვდავებად გამეფებულიყო. მეტისმეტი მონდომებითა და მკვდართათვის არადამახასიათებელი ენთუზიაზმით ჩქარობდნენ, რათა საფლავთა წინ გამოტანილ დახლთან ყველას თავ-თავისი ადგილი დაეკავებინა და მუშტრისთვის არამატერიალური ღირებულება სარფიან ფასად მიეყიდათ. უენოდ ამოთქმული ხმაური და უჩვეულო შემართება ერთგვარ ბაზრობას ჰეგვადა, ბაზრობას, რომლის მყიდველიც და გამყიდველიც, გოდების უცხო მორევს დანებებული, ერთადერთ ფასეულობას, რაც სიცოცხლეშივე ფასობოდა, სულ რაღაც ექვს დოლარად ჰყიდდა. არ ვიცი, რატომ, რისთვის ან რა მიზეზით იმეტებდნენ სულის სიმებზე ამოკემსილ მოგონებებს, მაგრამ იმის თქმა დანამდვილებით ძალმიძს, რომ ხორცშესხმულსა და



სულნაკურთხ მყიდველს, მიუხედავად სულქმნილად არსებობისა, საკუთარი მოსაგონარ-გასახსენებელი არა ებადა რა. ასევე, მრავალგზის მცდელობისა და მეხსიერების უკიდეგანო სკივრში ფოთიალის მიუხედავად, ვერ აღმოეჩინა წარსულის თუნდაც ერთი მცირედი გაელვებაც კი, რაც მის გონისაწიერს მოგონებად შემორჩენოდა. ამიტომაც, გაგულისებული და გავეშებული, სხვათა მოგონების ხარჯზე, იმ დანაკლისს ივსებდა, რაც მის სულს სიმშვიდით აღავსებდა.

სენტ-ლუისის სასაფლაოს ჭიშკარს მოდარავე უსხეულო სული, მყიდვე-

ლის გამოჩენისთანავე აფორიაქებული, სხვათა გასაგონად არაამქეყნიური ხმით არღვევდა მდუმარების ერთგვარ ქარტიას და მთელ იმიერს, სამარიდან უხორცოდ ამომძვრალთ და დახლებთან მომლოდინეთ, მყიდველის გამოჩენას ამცნობდა.

– მოდის, მარი ლავო, მოდიის! „მოგონებებით მოვაჭარე“ მარი ლავო, გვიახლოვდება!!! უხორცონო და სამარის მკვიდრნნო, გთხოვ, გაიღოთ მოწყალება, ქალბატონი ლავოსთვის და თქვენი კუთვნილი მოგონება, სულ რაღაც ექვს დოლარად მიჰყიდოთ ჩვენ შორის ერთადერთ ხორციელს, სულქმნილსა და უნარსულო ადამიანს, მარი ლავოოს!

მისი ამგვარი მოწოდების ფონზე, ჩვეული გრაციოზულობით, შემლილთა ნეკროპოლისის ბილიკს მოუყვებოდა „მოგონებებით მოვაჭრე“ ახალგაზრდა და უნატიფესი ქალბატონი. გრძელი გაშლილი თმა მორჩილად დაჰჰუნოდა შილიფად ჩატარებულ სხეულზე და ამოკურილ მკერდზე ჩვილი ბავშვით მდუმარედ სთვლემდა.

საფლავთან მისულ ლავოს დახლთან მდგარი სული თავს წარუდგენდა და გასაყიდ მოგონებასაც სახელდახელოდ სთავაზობდა. ეს მოგონებანი ძირითადად სამ კატეგორიად იყოფოდა, რომელიც წარმოდგენილი იყო ვერცხლის, ოქროსა და პლატინის მოგონებებად. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ქალბატონ ლავოს მხოლოდ და მხოლოდ ვერცხლის მოგონებების ყიდვა უნევდა, ოქროსი კი – იშვიათად. რაც შეეხება პლატინის მოგონებას, ეს მისი აუხდენელი ოცნება და წარმოუდგენელი სურვილი გახლდათ. მიუხედავად ამისა, იმედის თვალით შეჰყურებდა დახლზე გასაყიდად გამოტანილ თითოეულ მოგონებას და თვლიდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სანადელს მიაღწევდა – ხელთ ჩაიგდებდა იმ სანუკვარ საგანძურს და პლატინის მოგონებით შემკულ გონსანიერს წარსულსაც დაუბრუნებდა...

„შემლილთა ნეკროპოლისში“ შესვლისთანავე ყოველთვის ბოლო დახლთან მიაშურებდა და ვაჭრობასაც სწო-

რედ იქიდან იწყებდა. მისი ყურადღების მიეცევას კი ნეკროპოლისის მკვიდრნნი აუხსნელი სიამითა და გაუგონარი თავ-ხედობით ცდილობდნენ. ქალბატონი ლავო კი აუღელვებლად, ჩვეული სიმშვიდით მოსილი ჩერდებოდა შემხვედრ დახლთან და „შემლილთა ნეკროპოლისში“ მოგონებებით ვაჭრობდა!

– ქალბატონო ლავო, მე ჯეიმსი გახლავართ! „ჯეიმს ბრაუნი – 1945-1955“. ნება მიბოძეთ, ჩემი ერთ-ერთი მოგონება შემოგთავაზოთ! მოგონება, რომელიც ჩემს მეათე დაბადების დღეს უკავშირდება.

დახლზე გადაშლილი ნანარსულევი მოგონება დროსა და სივრცეში კინოკადრებად ცოცხლდებოდა და მონუსხული მყიდველ-გამყიდველი კინოფირის თითოეულ ფრაგმენტს ინტერესით შესცემეროდა. საწყისშივე ნათლად ჩანდა პატარა ჯეიმსის გაოცებული თვალები, როდესაც მამამ, ტომმა, დაბადების დღის საჩუქრად წითელი ფერის ველოსიპედი უყიდა.

– აბა, ჯეიმს. რას იტყვი, მოგწონს?

სიხარულით აღტკინებული ჯეიმსი, ნიშნად თანხმობისა, თავს მორცხვად უქნევდა, თან ერთადერთი, რაც იმ მომენტისთვის სურდა, იყო ის, რომ ნაჩუქარი ველოსიპედით თანატოლებში გარეულიყო და მათთან ერთად ესეირნა. მიუხედავად იმისა, რომ ჯეიმსმა არცთუ ისე კარგად იცოდა ველოსიპედის ტარება, იმდენად დიდი სურვილი ამოძრავებდა, რომ მისი მართვა არ გასჭირვებია და თანატოლ მეგობრებთან ერთად სასეირნოდაც გაეშურა. ჯეიმსის ბედნიერებით გახარებული მმობლები ლიმილით უცემერდნენ შვილს და მის უკიდევანო სიხარულს მთელი გულით იზიარებდნენ.

– ძვირფასო, შეხედე როგორი ბედნიერია?! ალბათ, გაგვიჭირდება კიდეც მისი შინ შემოყვანა.

– გაერთოს... იმდენად აუიტირებული და გახარებულია, რომ მისთვის რაიმეს თქმა არაგონივრული იქნება. ვერ ხედავ, როგორი შემართებით მართავს?!

— ვხედავ... შენ ის გააბედნიერე, რაც მუდამ ემახსოვრება.

— კარგი, შინ შევიდეთ. უხერხულია, სტუმრები სადაცაა მოვლენ და საქმე კი ჯერ არ დაგვისრულებია. თან იქნებ ჯეიმსის შინ შემოტყუება სტუმართა მოსვლამაც განაპირობოს.

კინოკადრებად გაცოცხლებული მოგონების ფირის სცვლიდა და ჯეიმსის ბედნიერების წამებს აჩვენებდა. განსაკუთრებული ხიბლი მის თვალებში ჩამდგარ სიხარულს მოჰქონდა, რომელიც ერთობ თვალსაჩინოდ ისახებოდა ამ გასაოცარი სცენის არაერთ ეპიზოდში მანამ, სანამ ფირის ბოლო ფრაგმენტი არ ჩაეშვა პროექტორად წოდებულ დროსა და სივრცეში და გულამოვარდნილი ბავშვის განწირული ყვირილი არ გაისმა!

— ბიძია, ტომ! ჩქარა! ჩქარა!!! ჯეიმსიი...

— რა მოხდა, მაიკლ? ჯეიმსი?.. რა შეემთხვა?!

— ბიძია, ტომ. ის... ის მაგისტრალთანაა. ვთამაშობდით და მან მაგისტრალისკენ გადაუხვია. მოულოდნელად გამოჩენილმა სატვირთო ავტომობილმა კი, ჯეიმსი...

— ჯეიმს!!! ვაიმე, შვილო!..

და ფირის უკანასკნელი ფრაგმენტიც მიიღია. მართალია, მოგონება უმაღვე შეწყდა, თუმცა სრულად შემონახულმა და წარუშლელმა ეპიზოდმა მარი ლავოს ინტერესი გაუღვივა.

— კეთილი, ჯეიმს! შესანიშნავი მოგონებაა, თუმცა, სამწუხაროა, რომ ვერცხლისაა.

— იმედი მაქვს, ამის გამო არ გამანბილებთ და ჩემს მოგონებას უსიტყვოდ შეიძენთ.

— რასაკვირველია!

— შესანიშნავია! მაშ, მისი ლირებულება, მხოლოდ ექვსი დოლარი დაგიჯდებათ. გთხოვთ, ფული სამარის კიდესთან მდგარ მომცრო ქილაში მოათავსოთ და შენაძენით ისიამოვნოთ.

შეთანხმების თანახმად, ლავომ ფული მომცრო ქილაში ჩააგდო, შეძენილი მოგონება ბლოკინგში მოინიშნა და

მორიგ დახლს ესტუმრა!

— რომ იცოდეთ, რარიგ გელოდით, ქალბატონო ლავო! იცით? მე, თქვენთვის საოცარი მოგონება მაქვს შემონახული! უკაცრავად, სულ დამავიწყდა, რომ თქვენ წინაშე წავრდგენილიყვა. მაშ, ასე: „თომას ბეიკერი – 1937-2006!“

მოგონებით – „უკანასკნელი საშობაო ვახშამი ოჯახთან ერთად“. დაე, ხილულად უცქირეთ ყოველივეს, რაც თქვენ თვალნინ კადრებად წარმოჩინდება.

ბუხრის წინ, სავარძელში მჯდომ მოხუც თომასს შვილები და შვილიშვილები გარს შემოხვეოდნენ და დროს მხიარულად ატარებდნენ. არაერთ ამბავს მხიარულად იხსენებდნენ და ზედ ხალისიან სიცილ-კისკისსაც აყოლებდნენ. საშობაო წაძვისხის ციმციმა ნათურების ციალებით მოხიბლული ბავშვები კი მოკაშვაშე სინათლეს ფერებად ყოფილნენ და, დაუზარებლად, რიგრიგობით ითვლიდნენ. მათგან ყველაზე მოუსვენარი, ანცი ლუკასი ხან რომელ სათამაშოს ჩამოაგდებდა წაძვისხიდან და ხან რომელს... მისი ყოველი მზაკვრული მცდელობა განკითხვის საბაბი ხდებოდა, რაც მოხუც თომასს რატომდაც ახალისებდა და როდესაც არაფერმა გაჭრა, თომასმა შვილიშვილი თავისთან იხმო, მუხლებზე შემოისკუპა და ტკბილად მიუალერსა.

— აბა, ჩემო ცელქო ბიჭუნა, თუ გინდა, ერთ ამბავს გიამბობ.

შეკრებილთაგან უკლებლივ ყველა გაირინდა და სმენად იქცა. მოხუცი კი ამბის თხრობას შეუდგა. ყვებოდა, იხსენებდა ბავშვობისდროინდელ შობის ღამის ამბებს და იქ მყოფთ ახალისებდა. ამ საუბარში გართულ ლუკასს ძილი მორეოდა და, ბაბუას მუხლებზე შემოსკუპულს, ტკბილად ჩასძინებოდა. ბოლოს, როცა ყველანი დასაძინებლად გაეშურნენ, თომასმა მეუღლეს თვალებში შესციცინა და თავისთან იხმო.

— მარტა, ჩემო ერთადერთო! ეს საუკეთესო შობის ღამე იყო ჩემს ცხოვრებაში!

— ჯერ კიდევ ყველაფერი წინ გვაქვს, ჩემო თომას და, დარწმუნებული ვარ,

რომ კვლავ არაერთ ტკბილ მოგონებას შემოინახავს ჩვენ მიერ განვლილი ცხოვრების გზა.

რნმუნებით მომავლის განსაზღვრა, მხოლოდ უფალსა და მის მიერ ხელ-დასმულთ ძალუბთ და არა უბრალო მოკვდავთ, ვინც ტალახად ნაზელნი და სულქმნილი სააქაოს მოვლენილა. კადრის ბოლოს მოხუცი თომასის უკანასკნელმა შობის ლამებ სიცოცხლის უკანასკნელი წამები ანაზდად მიითვალა...

— რას იტყვით, ქალბატონო ლავო? ვფიქრობ, სასიამოვნოდ გაგაოცეთ.

— გაოცებისა რა მოგახსენოთ, ძვირფასო თომას, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ საკმაოდ ამაღლვებელი და თბილი მოგონება გქონიათ. რაც შეეხება შეძენას, აუცილებლად შევიძენ.

— მეც, სწორედ ამის იმედი მქონდა!

მსგავსად ჯეომსისა, თომასის მოგონებაში გადახდილი ექვსი დოლარიც სამარის კიდესთან მოათავსა და მარგარეტ ო'ბრაიენის დახლს მიადგა, რომლის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ციფრები – 1924-2001 – მის დაბადებასა და გარდაცვალებას აღნიშნავდა.

— მობრძანდი, ჩემო საყვარელო! რა ხანია არ მოსულხარ და, შესაბამისად, მომენტრე კიდეც. იცი? წინა შეხვედრისას, მაშინ, როდესაც სამარეს დავუბრუნდი, ვინანე კიდეც, რომ ჩემი მორიგი მოგონებაც არ შემოგთავაზე. ვინ იცის, იქნებ სწორედ ის აღმოჩენილიყო ის, რასაც ასე შეუპოვრად დაეძებ, მაგრამ კარგია, რომ ამჯერად ამის გამოსწორება შემიძლია.

— დამაინტრიგებლად უდერს! რაღას ვუცდოთ? დაე, ვიხილოთ!

ლავოს სიტყვის დასრულებისთანავე მარგარეტის მოგონება მყისიერად განიბნა იმ პროექტორის ვეებერთელა ეკრანზე, რასაც დრო და სივრცე წარმოადგენდა.

თვრამეტი წლის ახალგაზრდა, უმ-შვერიერესი მარგარეტი სცენის კულისში აკანკალებული იდგა და ათრთოლებული თითებით ვიოლინოს სიმებს უსინჯავდა. აშკარა იყო, რომ ეს მისი დებიუტი და პირველი შეხვედრა იყო

ფართო აუდიტორიასთან. შასამჩნევი ნერვიულობით შენუხებულმა მენტორმა, გვარად მისტერ ჰენდერსონმა, ო'ბრაიენთან მიირბინა და შეეცადა, რომ დაემშვიდებინა.

— მარგარეტ, დელავ?

— საშინლად.

— მეც სწორედ ასე ვდელავდი ჩემი დებიუტისას, თუმცა ყველაფერმა წარმოდგენილზე უკეთ ჩაიარა. პირველი ნოტის აულერებისთანავე მივხვდი, რომ იმ ვეებერთალა სცენაზე მხოლოდ მე და ჩემს წარმოსავაში მომლიმარი ნიკოლო ვიდექით...

— არ შეგეძინდათ?

— არა. რატომდაც ყველა შიში უკვალოდ გამიქრა და მხოლოდ ერთი რამ მაღლელვებდა.

— მაინც რა?

— ის, რომ ნიკოლოს ჩემი შესრულებით ეამაყა! მარგარეტ, ჩემო ძვირფასო, გახსოვდეს, რომ მუსიკა მხოლოდ შენი გულიდან მოდის. დახუჭე თვალები და შეიგრძენი სიმზე ხემის შეხებით აულერებულ ნოტთა სიამე! მაშ, წინ, მარგარეტ ო'ბრაიენ! წინ, დიდებისკენ!

მარგარეტმა ლრმად ჩაისუნთქა და სცენისკენ გაეშურა. დარბაზი მის გამოჩენას მოკრძალებული აპლოდისმენტით შეხვდა, რაც გოგონასათვის ერთგვარ სტიმულად იქცა. მან ვიოლინო მოიმარჯვა, თვალები დახუჭა და ჩაიკოვსკის უკვდავი მელოდია დარბაზის ყოველ კუთხე-კუნტაულში ნოტებად განიბნია.

კონცერტის ბოლოს, როდესაც გოგონამ თვალები გაახილა, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და, ოვაციებით აღტკინებული, მხურვალე აპლოდისმენტსაც არ იშურებდა. კულისიდან მისტერ ენდერსონი, ხოლო დარბაზის პირველი რიგიდან მარგარეტის მშობლები, ცრემლიანი თვალებით, ამაყად შესცეკროდნენ ავანსცენაზე რევერანსით თავ-დახრილ მარგარეტ ო'ბრაიენს.

— ე, არაჩვეულებრივი და აღმაფრთვანებელი მოგონება იყო, რომელშიც ნათლად ისახებოდა ადამიანის შინაგანი განცდა-ნერვიულობა და ასევე ტრიუმფის ის ტკბილზე ტკბილი ნექტა-

რი, რაც ერთობ ძვირფასს ხდიდა მისით გამოწვეულ სიხარულს, მაგრამ, ვწუხვარ, რომ ისიც, წინა მოგონების მსგავსად ვერცხლისფრად ელვარებდა.

— მეც ძალიან ვწუხვარ. მეგონა, რომ ეს ის იყო, რასაც ამ ხნის განმავლობაში დაეტებდი, თუმცა რა გაეწყობა... იმითაც ბედნიერი ვარ, რომ შენი მოწონება დაიმსახურა!

— დაიმსახურა და მერე რარიგ დაიმსახურა?! გული ერთიანად გამითბო და, ცოტა არ იყოს, თვალს ცრემლიც მომგვარა, ამიტომ უსათუოდ ვყიდულობ!

— გმადლობთ, ჩემო ძვირფასო. საზღლაური კი შეგიძლია უნინდებურად სამარქესთან დატოვო.

— კეთილი.

— აქეთ, აქეთ მობრძანდით, ქალბატონო ლავო! თქვენთვის საოცარი მოგონება მაქვს გადანახული. ეს-ესაა ჩემი უბადრუები წარსულიდან ამონარიდად ვაქციება და თქვენ საამშებლად დახლზე სავაჭროდ გამოვიტანე! გთხოვთ, თვალი შეავლოთ 1955 წელს დაბადებულისა და 2005 წელს გარდაცვლილი მოხუცის, ჯორჯ ფიცჯერალის საფლავს, რომელიც ასე რუდუნებით მოეტის თქვენს სტუმრობას!

ქალბატონო ლავო! თქვენ წინაშეა ჩემი ქალიშვილის ქორწინების დღე. დღე, რომელიც ჩემი მოგონებებიდან თქვენთვის გამოვიმეტე! აი, აი, შეხედეთ, ეს მე და ჩემი ქალიშვილი ვართ ეკლესის შესასვლელთან!

მღელვარებით მოსილი ჯორჯი ქალიშვილ, სოფის, თვალებში შესციცინებდა და თეთრ კაბაში ნამშვენი ასულის ბედნიერ წამებს მასთან ერთად იზიარებდა.

— მზად ხარ, ჩემო პატარავ?

— შენთან ერთად ყველაფრისთვის მზად ვარ, მამა.

— მაშ, ხელი მომეცი და სახიდან ღიმილი არ მოიშორო.

ნელი, მოზომილი ნაბიჯით შეაბიჯეს ეკლესიაში და მენდელსონის უკვდავმა მარშმაც გაიჟდერა. ჯორჯის-თვის საკურთხევლამდე გადადგმული თითოეული ნაბიჯი ერთგვარი მოგო-

ნებების კიბე გახლდათ. მის თითოეულ საფეხურზე სოფის ბავშვობასთან დაკავშირებული მოგონებანი ეტაპებად იყოფოდა და მამის გულში ფიქრად იღვრებოდა. ახსენდებოდა, მისი პირველი ნაბიჯები, პირველი გალიმება, პირველი სიტყვა და ამ ყველაფრის ფონზე თვალთ ცრემლი ერეოდა. საკურთხეველთან მისულმა ჯორჯმა ქალიშვილის ხელი მის საქმროს გაუწოდა და სევდიანად ჩასჩურჩულა.

— თუ ღმერთი გწამს, გაუფრთხილდი მას...

კინოფირზე გაუდერებულმა ჯორჯის სევდანარევმა ჩურჩულმა მარილავო დაასევდიანა. იქვე, ჯორჯის საფლავის ქვას დაეყრდნო და თვალთ ნადენი ცრემლი მაჯით შეიმშრალა... წლობით ნაყიდ-ნაგროვები მოგონებების წყალობით, ის სრულფასოვნად იაზრებდა მოხუცის სევდის მიზეზს და გრძნობდა მათი მამაშვილობის მთელ სისავსეს, თუმცა ვერაფრით გაეაზრებინა, რომ ეს, შესაძლოა, სინამდვილეში, მასაც შემთხვეოდა.

ნაზად, მოწინებით დაიხარა სამარის კიდესთან და ექვსიოდე დოლარი მომცრო ქილაში მოათავსა. მერე კი, ჩვეული გრაციოზულობით, „შეშლილთა ნეკროპლისიდან“ იმ თავის ნარს მიაშურა, რომელიც ქაფურისა და სპირტის სუნად ყარდა. საკუთარ ოთახში გამოკეტილი და ვაჭრობით იმედგაცრუებული ქალბატონი დანანებით იოხებდა გულს და კვლავ არამინიერ არსებობაში ქადაგად დავარდნილი, ილუზიურ მყოფადობაში ორატორობდა! ორატორობდა და მერე როგორ?! სხეულს ნაჩვევი თეთრი სამოსლით მოსილი, მთელი ხმით ღაღადებდა, მაგრამ ყურადსაღები ის გახლდათ, რომ მისი ღაღადი არათუ ვინმეს კაცთაგან, არამედ უსხეულოდ დარჩენილ სულთაგანაც კი არავის ესმოდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც აგრძელებდა საუბარს.

— ჯანდაბა! ეშმაქმა დასწყევლოს ეს მოგონებები! მოგონებები, მოგონებები!.. მეტი აღარ შემიძლია. მაინც რა უცნაური რამაა ეს მოგონებები?!

ზოგი ისეთი მსუბუქია, როგორც ვერცხლისფერი ნისლი უკიდეგანო ჰორიზონტზე. ბავშვობისდროინელი პირველი კოცნა, გარდაცვალებით ნაგემი სევდა და არაერთი რამ, რაც ადამიანური არსის გამოვლინებად ირაცხება. სამწუხაროა! დიახ, დიახ, ნამდვილად სამწუხაროა, რომ ისინი ასე ადვილად იყიდება და ჩემნაირ ვაჭარს საშუალება ეძლევა, რომ სხვათათვის ძვირფასი მოგონებანი საკუთარ წარსულად აქციოს. იშვიათად, მაგრამ მთელი ამ ვაჭრობის დროს, მაინც წავანწყდები ხოლმე ოქროსფერ მოგონებებს: შვილის დაბადებას და მისი დაბადებით განცდილ იმ შეგრძნებებს, რომლებიც ადამიანის სულს ოქროსფერ ელვარებას სძენს, თუმცა, ვერაფრით მიმიგნია პლატინის მოგონებისთვის და ეს ყოველივე მაგიურებს!!! ვეძებ, ვეძებ ჩემს გონებაში, მაგრამ ყოველი მცდელობა უშედეგოა. თითქოს მთელი ჩემი ცხოვრება მხოლოდ ვერცხლისა და ოქროს ნახატებისგან შემდგარა და გამქრალა ის ერთადერთი განსაკუთრებული მომენტი, რაც ამგვარად მადარდიანებს! ნუთუ არასოდეს მქონია? იქნებ სადმე დავკარგე? ყოველ ღამე ვცდილობ გავიხსენო, რაიმე პლატინის მოგონება, მაგრამ ფიქრები ქვიშასავით მიცურავენ თითებ შორის და ეს ყოველივე აუტანელია!!! უამრავ სულს შევხედრივარ, უამრავთან მივსულვარ და მათგან მოგონებები მიყიდია და ყოველ ჯერზე მათი ცხოვრებიდან ამონარიდად წაქცევი წარსულის ფრაგმენტი მიმითვისებია, თუმცა ამაოდ... რაც უფრო მეტი მოგონებებით ვივსები, უფრო მეტად ვგრძნობ სულში გამეფებულ სიცარიელეს და, დიახ! ვგრძნობ... ვგრძნობ, თუ როგორ ვცილდები საკუთარ თავს და მაინც ვაგრძელებ ამ საქმიანობას, რადგან სხვა არა დამრჩნია რა...

ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ იქნებდა ეს პლატინის მოგონებანი სულაც არ არსებობენ?.. იქნებ ეს მხოლოდ ილუზია, რომლითაც თავს ვიტყუებ, მაგრამ, არა! ვგრძნობ მათ არსებობას და იმასაც, თუ რა აკლია ჩემი სულის

სიცარიელეს! ჩემი ვერცხლისა და ოქროს მოგონებები თანდათან იცრიცება. ყოველ ნაყიდ ნაწილს, თითქოს ჩემი არსების ნაწილი თან მიაქვს და სულ უფრო და უფრო გამჭვირვალე, თითქმის უხილავი ვრჩები. რა უცნაურია, არა? რაც უფრო მეტი მაქვს ნაყიდი და შეძენილი, მით უფრო მეტი მინდება და მით უფრო მეტად ვკარგავ საკუთარ თავს. ზოგჯერ იმასაც წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ჩემ მიერ ნაყიდი მოგონებები ჩემსავე ცხოვრებაში ცოცხლდებიან და მერე იმგვარი განცდით ვისები, თითქოს ჩემს ბავშვობაშივე კვდებიან. ვინ იცის? შესაძლოა, სხვისმა ბავშვობამ ჩემს სიზმარშიც შემოაღწია ან სულაც ჩემი პირველი ტკივილი ახალგაზრდა პოეტის ლექსად დაიღვარა ქათქათა ფურცელზე?... მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს მაშინ, როცა ვერაფრით ვპოულობ იმ ერთადერთ მოგონებას. ნეტავ როგორია ის? იქნებ ის მომენტია, როდესაც ადამიანი პირველად შეიგრძნობს უფლის არსებობას ან ის ნამი, როცა მიხვდება საკუთარი ცხოვრების დანიშნულებას?! არ ვიცი... ვეცდები, როგორმე მივაკვლიო. მანამდე კი აქ დავრჩები. დიახ, აქ! ჩემივე გონების ლაბირინთში დაკარგული! ნახევრად რეალური და ნახევრად გამოგონილი!

როგორ დავიღალე... აი, შენ! ხომ!!! სწორედ რომ შენ მოგმართავ კითხვით: შენ, ჩემს ადგილზე არ დაიღლებოდი? ჩემსავით არ დაგახრჩობდა უნარსულო ადამიანად არსებობა? ადამიანად, რომელიც მუდამჟამ მზადაა, რომ გარდაცვლილ სულთაგან ექვს დოლარად ნაყიდი მოგონებები შეისისხლხორცოს და მათით ასულდგმულოს ესოდენ დაკარგული და გონებიდან გამქრალი წარსული?! ხმას რად არ იღებ? ჩუმად რად ხარ?!!! ამისხენი, მიპასუხე! გესმის ჩემი? მიდი, რაღას უცდი? თქვი, რომ გიუ ვარ და ეს ყოველივე სრული სიგიურა, თქვი!!! მაგრამ... არაა! შენ ამას ვერ გაბედავ. არა, იმიტომ, რომ არ შეგიძლია, არამედ იმიტომ, რომ გეშინია! გეშინია იმის, რომ შენც, ჩემ მსგავსად,

არ შეიშალო და „შეშლილთა ნეკროპოლისში“ ჩემსავით „მოგონებებით მოვაჭრედ“ არ წარმოჩინდე.

ნეტავ შემძლოს, დავაბრუნო უკლებლივ ყველა მოგონება, რაც კი მიყიდია, მაგრამ, ვიცი, რომ ეს შეუძლებელია. ისინი ისე იფანტებიან ჩემს გონებაში, როგორც გადამწვარი ტყის ფერფლი ჰაერში.

ჰმ, ჯანდაბა! სულ დამავინწყდა, რომ მარტო არ ვარ და აქ, შენ გარდა, კიდევ სამი ადამიანია. აი, ერთ-ერთი მათგანი. ეს ქალი ყოველდღე მსტუმრობს. მოდის, ჯდება კუთხეში და უსიტყვოდ მიყურებს, მაგრამ ბაგე არასდროს ეხსნება. მდუმარებით შემოსილი, თითქოს ჩემს სულში ჩახედვასა და ჩემთან ერთად დაკარგული მოგონების აღმოჩენას ცდილობდეს. მის გვერდით კი ის მოხუცი კაცია, რომელიც არასოდეს აჩერებს ენას! მისი ხმა გაუთავებლად ისმის ამ ოთახში და მის მიერ მოყოლილ ამბებს ომზე, რომელიც არ მომხდარა, ქალაქებზე, რომელნიც არ არსებულა, ბოლო არ უჩანს! ზოგჯერ მგონია, რომ მის მიერ შეთხზულ-გამოგონილ ისტორიებშია დამალული ჩემი წარსულის გასაღები, მაგრამ, როდესაც ეს აზრი ჩემს გონებაში ფიქრად ვლინდება, მაშინვე ვცდილობ რაიმე ხელჩასაჭიდის მოძიებასა და ამ არარსებული გასაღების პოვნას, მაგრამ ვერაფრით ვპოულობ და ბოლოს, ნება მომეცით, ეს ახალგაზრდა ყმანვილი წარმოგიდგინოთ! მას არაფერი არ ესმის! ის, მხოლოდ მიღიმის და თავს მიქნევს ყველაფერზე, რაზეც ვსაუბრობ. არ გჯერათ? შეხედეთ, მას! აი, თუნდაც სარკე აიღეთ და მასში ჩაიხედეთ. თქვენც ამ წამს მასასავით იღიმით და მორჩილად მიქნევთ თავს. ვცდილობ, მასაც და თქვენც რაიმე აგიხსნათ, მაგრამ ჩემ მიერ ნათქვამი უღერადი სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ უაზრო ხმაურია! ეს სამი მდუმარე მოლაპარაკე და ყრუჩემი ცხოვრების უცნაური თანამგზავრნი გახდნენ და ჩემი შინაგანი მდგომარეობის ამსახველ ელემენტებადაც იქცნენ. თითოეული მათგანი ჩემ მიერ

წარმოჩენილი ტკივილია. დიახ, ის ტკივილი, რომელიც დაუსრულებლად თან სდევს ჩემს გონიანიერსა და ფიქრისას განცდილ ემოციას მისევდიანებს.

შევცემერი მათ და ვფიქრობ: იქნებჩემი ცხოვრების არსიც სწორედ ესაა? და არა ის პლატინის მოგონება, რომელსაც თავგადაკლული დავეძებ! იქნებ შევძლო და ეს სამი ადამიანი ჩემში გავაერთიანო, მაგრამ როგორ? რა გზით? მაშინ, როცა საკუთარ თავშიც კი ვერ ვპოულობ სულის სიმთელეს... და მაინც, ყოველდღე ვაგრძელებ ამ რიტუალს და უსმენ მოხუცის დაუსრულებელ ლაყბობას, ვცდილობ გავიგო, ყრუ ბიჭის მომღიმარი თვალების მიღმა რა გადამალული? უშედეგოდ დავეძებ ჰასუსებს. დიახ, ჰასუსებს! მდუმარებით შემოსილი ქალის სიცარიელით აღსავსე თვალებში!

იქნებ ერთ დღესაც, ამ უცნაურ სიმფონიაში აჟღერდეს ის ნოტი, რომელიც ამ დაუსრულებელი კოშმარიდან გამომარკვევს და კვლავ რეალობაში დამაბრუნებს! დღები გადიან, მაგრამ ერთადერთი, რაც უცვლელი რჩება, ჯეინის დუმილია. დიახ, სწორედ ამ მდუმარექალბატონის, რომელიც კუთხეში მოკალათებულა. მე მას ჯეინი დავარჯვო, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს სახელი რეალურია თუ არა მაშინ, როცა სულია ახლოს! სული!

ოო, ჯეინ, ჩემო უთქმელო მეგობარო! ნეტავ იცოდე, როგორ მაძლიერებ შენი არსებობით. მაგ თვალებში აღმოჩენილი უძირო ოკეანით, რომლის ფსკერიც სავსეა გაუმხელელი ისტორიებით. დღეს, როდესაც ნეკროპოლისში ერთ-ერთ მოგონებას ვყიდულობდი, წამიერად შენი შეხება ვიგრძენი და ამ კონტაქტმა მთელ სხეულში ელექტრული ტალღა გაატარა. წამით მომეჩვენა, რომ შენში ჩამარხულ პლატინის მოგონებას თვალი მოვკარი, მაგრამ, სანამ მივწვდებოდი, ის მყისიერად ისევე გაუჩინარდა, როგორც ნისლი მზის პირველი სხივის გამოჩენისთანავე.

ჯეინ!!! რატომ დუმხარ? რას მაღავ მაგ სიჩუმეში? იქნებ შენც ჩემსა-

ვით იმას დაეძებ, რასაც მე – ამ ხნის განმავლობაში! მგონია, რომ შენი დუმილი უფრო მეტს ამბობს, ვიდე სხვა-თა საუბარი, რაც კი ყურთ მსმენია. შენი უსიტყვო თანაგრძნობა ბალზამი-ვით ედება ჩემს დაფლეთილ სულს და, ამავდროულად, საშინელ ტკივილს მაყენებს. ყოველ ღამე, როცა თვალებს ვხუჭავ, თვალწინ შენი სახე მიღებას და შენი მდუმარე მზერა სიზმარშიც კი მდევნის. ერთადერთი ის, რისიც მეში-ნია, ისაა, რომ ჩემი წარმოსახვის ნა-ყოფი არ აღმოჩნდე და არ გამაწილო, მაგრამ არა!!! შენ ნამდვილი ხარ! ჩემი სინამდვილე, ჩემი უთქმელი მეგობა-რი... ჩემი ჯეინი!!!

რაც შეგეხება შენ! დიახ, სწორედ შენ მოგმართავ! ჩემი და ჯეინის მე-გობრობა, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ღრმავდება. იმ ღამით, როდესაც მოგონებებს ვყიდულობდი, წამით მომეჩენა, რომ ჯეინი ტირო-და. იმდენად დავითრგუნე, რომ მყისვე მისკენ გამოვეშურე. ის ისევ თავის-თვის იჯდა კუთხეში და უწინდებურად სულში მიმზერდა!

ამ რამდენიმე დღის წინ სიზმარი ვნახე... ჯეინი ღაპარაკობდა... მისი ხმა მუსიკას წააგავდა. ის მიყვებოდა ამ-ბავს, ამბავს ქალზე, რომელმაც გაყიდა ყველა თავისი მოგონება, რათა ის ერ-თადერთი მოგონება ეპოვნა, რაც მას ასე ეწადა. სიზმრის ბოლოს აღმოაჩინა, რომ ეს ძვირფასი მოგონება იყო არა წარსულში, არამედ ანმყოში! იმ ადამი-ანში, ვისაც ის უკიდეგანოდ შეჰყვარებოდა! გამომეღვიძა და თვალები ცრემ-ლით სავსე მქონდა... ეჟ!...

მგონი დროა, რომ ეს მონოლოგი აქ დავასრულო! წინააღმდეგი ხომ არ ხარ, ჯეინ? მშვენიერია! ვფიქრობ, რომ არც მოღაყებ მოხუცსა და არც ყრუ ყმან-ვილს ექნება რაიმე საწინააღმდეგო...

ქადაგების დასრულებისთანავე ქალ-ბატონი ლავო, ქაფურისა და სპირტის სუნად აყროლებული და ნარად წოდე-ბული საწილისკენ გაემართა. გზადაგ-ზა სხეულსნაჩვევი თეთრი ფერის სა-მოსელი ნეტარ სიშიშვლეს ასპარეზს

უთმობდა და უმანკოებით მკული ედე-მის პირველი მკვიდრი ქალივით კდე-მით იმოსებოდა.

და მაინც, ვინ იყო ჯეინი? ან ის მოღაყებე მოხუცი, ან სულაც ის ყრუ ყმანვილი? ლავოს წარმოსახვითი მე-გობრები, თუ ჭეშმარიტად რეალური ადამიანები? იქნებ სულაც, ეს ყოვე-ლივე მარი ლავოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი განცდები იყო, რაც მას სიცოცხლის აუცილობლობაში არ-წმუნებდა?! ჯეინი, როგორც მომავლის იმედი. მოღაყებე მოხუცი – მომაბეზრე-ბელი რეალობა, რომლის ატანა არათუ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც არ შეეძლო და ყრუ ყმანვილი, როგორც მივიწყებული წარსული!.. ამ კითხვებზე დანამდვილებითი პასუხი ქალბატონი ლავოს მექსიერებაში იმაღებოდა. მეხ-სიერებაში, სადაც სიცოცხლე უწარსუ-ოდ სულდგმულობდა. იქნებ თავადაც არ არსებობდა და როგორც გამოგონი-ლი პერსონაჟი, ქალალდის ფურცელზე ცოცხლდებოდა?! ასეა თუ ისე, მარი ლავოსთვის ამას არსებითი მნიშვნე-ლობა არ ჰქონდა და, ზოგადად, არც ყოველდღიური ცხოვრების ნიუანსებით იწუხებდა თავს. ერთადერთი, რასაც მასზე ზემოქმედება შეეძლო, ეს მისივე სურვილი იყო – შლეგი და შეუპოვარი! როგორც კი თავს იჩენდა, რა დროც არ უნდა ყოფილიყო და როგორც არ უნდა ეგრძნო თავი ქალბატონ ლავოს, მყისვე ნებდებოდა. მისდამი მორჩილე-ბის ფიციტ შეფიცული, კვლავ თეთრად იმოსებოდა და მკერდზე დაფენილი შა-ვი თმით „შეშლილთა ნეკროპოლსს“ მი-აშურებდა. არც მორიგი ღამე გახლდათ გამონაკლისი. ჯეინთან მცირედი გაბა-ასების შემდგომ მარი ლავომ გადაწყვი-ტა, რომ ამჯერად ოქროს მოგონებების საძიებლად კვლავ სტუმრებოდა „შეშ-ლილთა ნეკროპოლისს“.

და აი, გაისმა შემზარავი და არაამ-ქვეყნიური ხმა სენტ-ლუისის სასაფლა-ოს ჭიშკართან მოდარაჯე სულისა!

– მოდის, მარი ლავო, მოდიის! „მო-გონებებით მოვაჭარე“ მარი ლავო გვი-ახლოვდება!!! უხორცონნო და სამარის

მკვიდრნნო, გთხოვ, გაიღოთ მოწყალება, ქალბატონი ლავოსთვის და თქვენი კუთვნილი მოგონება, სულ რაღაც ექვს დოლარად მიჰყიდოთ ჩვენ შორის ერთადერთ ხორციელს, სულექნილსა და უნარსულო ადამიანს, მარით ლავოს!

ქალბატონი ლავოც, კვლავინდებურად, ყველაზე შორს მყოფი საფლავისკენ გაეშურა, რომლის წინაც მდგარ დახლთან მომლოდინე სულს მოგონება დახლზე, სავაჭროდ გამოეტანა. წინა სტუმრობისგან განსხვავებით, მკაცრად ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მხოლოდ ოქროსფრად მოელვარე მოგონება უნდა შეეძინა, ამიტომ გარშემომყოფ სულებს ომახიანად მიმართა და განუმარტა, რომ შეერჩიათ ისეთი მოგონება, რაც აქამდე გაყიდულ-შეძენილს არაფრით ემსგავსებოდა, თუმცა რატომლაც თითოეული მოგონება, რომელიც ლავოს წარუდგინეს, უნიდებურად ვერცხლისა აღმოჩნდა. დასევდინანებულმა და იმედგაცრუებულმა ლავომ სასაფლაოს ძველ ნაწილში გადაინაცვლა, იქ, სადაც ქვაზე დატანილი წარწერაც კი დროისდინების გამო გადახუნებულიყო და წარმოდგენილი სულის უფერული სიფრმკრთალეც მილეულიყო.

მომლოდინე სულის ძლივსძლივობით წარმოთქმულმა თვითწარდგინებამ ქალბატონი ლავოს ყურადღება მიიქცია.

— მოგესლმები, ხორციელო. კეთილი იყოს თქვენი გამოჩენა ამ სასაფლაოს ძველ ნაწილში. იქ, სადაც მივიწყებულ სულთა მეუფება სამარადუამოდ გამეფებულა. მე, ელიზაბეტ დიუმონტი გახლავარ. 1823 წლის 10 აგვისტოს დაბადებული და 1886 წლის 8 აგვისტოს გარდაცვლილი; წარმოშობით ფრანგი ქალბატონი. მინდა, რომ ერთი მოგონება გაგიზიარო, რომელსაც საუკუნეებია თან დავატარებ.

ეს ამბავი 1845 წლის ადრიან გაზაფხულზე მოხდა. მე მაშინ ოცდაორი წლის ნორჩი გოგონა ვიყავ. გოგონა, სავსე იმედებითა და ოცნებებით... მდინარე მისისიპის ნაპირას, ჩემს საყვარელ უან-პოლთან ერთად ვცხოვ-

რობდი. იმ საღამოს მდინარის პირას ვისხედით და მზის ჩასვლას ვუცქერდით. ჰაერში დატრიალებული იასამნის სურნელი და შორიდან ქარის მოტანილი ჯაზის ჰანგები საოცარ რომანტიკულ განწყობას ქმნიდა. უან-პოლმა ხელი მომხვია და აკანკალებული ხმით ყურში ჩამჩურჩულა.

— ელიზაბეტ, ძვირფასო. მსურს, რომ მთელი ცხოვრება შენ გვერდით გავატარო...

მის თვალებში იმდენი სიყვარული და ისეთი ერთგულება დავინახე, რომ გული ამიჩქარდა. აი, სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ სამყაროში ყველაფერი შესაძლებელი იყო, თუმცა, ჩემი-ჩვენი ბედისწერა სასტიკი აღმოჩნდა...

ორი კვირის შემდეგ უან-პოლი მდინარეში დაიხტო. მაშინ, როდესაც მდინარეში დასახრჩობად განწირული პატარა ბიჭის საშველად დაუფიქრებლად გადახტა. მას შემდეგ ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. დროის დინების მიუხედავად, ვერასდროს შევძელი მეგრძნო ის იმედი და სიხარული, რომელიც იმ საღამოს მის მიერ წათქვამმა სიტყვებმა განმაცდევინა.

ძვირფასო ხორციელო, არ ვიცი შენ-თვის რამდენად ლირებულია ეს ყოველივე, მაგრამ ჩემთვის ეს მოგონება ოქროზე მეტად ძვირფასია. ეს იყო ის წუთი, როცა პირველად ვიგრძენი, თუ რა იყო სიყვარული, ნამდვილი სიყვარული! ახლა, ამდენი წლის შემდეგ, მინდა ეს მოგონება შენ გადმოგცე. იქნებ შენ შეძლო მისი გამოყენება, რაიმე კეთილშობილური მიზნისთვის. იქნებ ვინმეს დაეხმარო, რომ იგრძნოს ის, რაც მე იმ საღამოს, მზის ჩასვლისას განვიცადე! ან უბრალოდ შეინახო, როგორც მტკიცებულება ნამდვილი სიყვარულისა, თუდაც ის ხანმოკლე იყოს...

ელიზაბეტის ფერმიმკრთალმა სულმა წამით იყუჩა. მისი გამჭვირვალე თვალებიდან დილის ნამივით სპეტაკი ცრემლი ნელ-ნელა იღვრებოდა სამარის კართან. ქალბატონი ლავო კი გაოგნებული იდგა და ხელში ოქროსფრად მოელვარე მოგონებას დასცქეროდა.

ახლგაზრდა ქალი მხოლოდ მაშინ გა-
მოერკვა ფიქრიდან, როდესაც მის წი-
ნაშე მდგარმა ფერმიმკრთალმა სულმა
საუბარი იწყო.

— მარი, ძვირფასო. იცი, რა არის
სიყვარული? მე იგი ის უსასრულო
ოკეანე მგონია, სადაც ორი სული ერ-
თურთს ხვდება და ერთმანეთს ერ-
წყმის. ეს, ცეკველია, რომელიც ყველა-
ზე ცივ ღამეშიც კი, სითბოთი გავსებს.
ეს სიმღერაა, რომელიც გულში ჟღერს,
მაშინაც კი, როცა გარშემო სიჩუმეა
გამეფებული!

დაიხ, ჩემო ძვირფასო! უან პოლთან
ერთად განვიცადე ეს ყოველივე და
ამ უკიდეგანო სიყვარულის სინამდვი-
ლეს მასთან ერთად ჩავწვდი. ეს იყო
გრძნობა, რომელიც მთელს გალაქტი-
კას სცდებოდა. თითქოს მთელი სამყა-
რო ჩვენთვის ფეთქავდა და ჩვენც მის
რიტმს ვუერთდებოდით!

სიყვარული, ჩემო ხორციელო ქალ-
ბატონო. ეს ძალაა, რომელიც გვაძლევს
სიმამაცეს, რომ ვიოცნებოთ, ვიბრძო-
ლოთ და ვიცოცხლოთ არა საკუთარი
თავისითვის, არამედ მისთვის, ვინც ამ
ქვეყნად ყველაზე მეტად გვეძვირფა-
სება. უან-პოლის სიყვარულმა მომცა
ძალა, რომ, მისი გარდაცვალებით ნა-
გემი ტკივილის მიუხედავად, ცხოვრება
გამეგრძელებინა. სწორედ, რომ სიყ-
ვარულის სპეტაქმა ნათებამ გამინათა
უკუნით მოცული გზა და სიცოცხლის
უკანასკნელ წამამდე მასულდგმულა!

მასონვს, როგორ მიყურებდა უან-
პოლი... თითქოს მთელი სამყარო მის
თვალებში მოთავსებულიყო. მისი ყო-
ველი შეხება ჩემში თრთოლვას იწვევ-
და და ღიმილი... მისი ღიმილი, გარ-
დასულ დღეებს მზის ამოსვლასავით
მინათებდა.

სიყვარული არ არის მხოლოდ რო-
მანტიკული გრძნობა. ის ძალაა, რომე-
ლიც გვაძლერებს, გვაერთიანებს და
გვცვლის. ეს არის ის, რაც გვაძლევს
მიზეზს, რომ ვიყოთ უკეთესები, ვიზ-
რუნოთ სხვებზე და იქ აღმოვაჩინოთ
სილამაზე, სადაც ყოველი სახება თუ
სახიერება სიმახინჯეს მოუცავს!

მისი დაკარგვის შემდეგ ვფიქრობ-
დი, რომ სიყვარულს ვეღარასოდეს
ვიგრძნობდი, თუმცა, აღმოვაჩინე, რომ
სიყვარული არ კვდება! ის ფორმას იც-
ვლის და მოგონებებში სულდგულებს.
მასთან დაკავშირებული ყოველი გახ-
სენებული მოგონებისას ის ხელახლა
წარმოშობს იმ გასაოცარ განცდას, რა-
საც იმ მომენტისთვის ცოცხლადქმნი-
ლი ვგრძნობდი და ამ განცდას ვერა-
ფერი შეედრება! სწორედ ეს განცდა
და ეს შეგრძნებაა ის, რაც სამარეში
გამოკეტილებს გვაძლებინებს. რა გგო-
ნია, რომ, როდესაც ადამიანი მიიც-
ვლება, მისი არსებობა სამარადჟამოდ
წყდება? არა, ძვირფასო. ადამიანის
არსებობა მხოლოდ მაშინ შეიძლება
შეწყდეს, როდესაც ის უსიყვარულოდ
გარდაიცვლება! მიუხედავად სიყვარუ-
ლისთვის ჩვეული სიამისა, ის სიავის
მომასწავებელიცაა. მისგან მოყენებუ-
ლი ტკივილი ეს ის სამარადჟამო ია-
რაა, რომლსაც ვერასოდეს მოშუშებ.
უან-პოლის დაკარგვის ტკივილი იმდე-
ნად ძლიერი იყო, რომ თავის მოკვლაც
კი მინდოდა, მაგრამ სწორედ ამ ტკი-
ვილმა მასწავლა, რამდენად ღრმა და
უკიდეგანო შეიძლება ყოფილიყო ჩემი
მისადმი სიყვარული!

ჩემო ძვირფასო, ეს მოგონება, რო-
მელსაც გაძლევ, არის არა მხოლოდ ერ-
თი მომენტის ანაბეჭდი, არამედ მთელი
ცხოვრების გამოცდილება! ეს გაკვეთი-
ლია, იმის შესახებ, თუ რაა ნამდვილი
სიყვარული, აღსავსე სიხარულითა და
ტკივილით, ძალითა და სისუსტით!

და ბოლოს, გახსოვდეს: სიყვარული
არასდროს კვდება. ის იცვლის ფორმას,
იზრდება, ვითარდება, მაგრამ ყოველ-
თვის რჩება ჩვენში და ჩვენ გარშემო.
ის არის ძაფი, რომელიც წარსულს,
აწმყოსა და მომავალს ერთმანეთთან
აკავშირებს!

მორჩილად მდგარმა ქალბატონ-
მა ლავომ ფრთხილად დახედა ხელში
მოციმციმე იქროსფერ მოგონებას და
იგრძნო, ამ მოგონების დარად, რარიგ
ასხივებდა მისი სხეულში გამომწყვდე-
ული სული, სული უნარსულო და უუფ-

ლებოდ დამონებული.

ლავომ ღრმად ამოისუნთქა და უკვე სამარტი დასვენებულ ძვალთა შორის მიმქრალ ელიზაბეტის სულს მიმართა.

— ელიზაბეტ, შენი თითოეული სიტყვა და ეს მოგონება, ამ დღის საუკეთესო საჩუქარია! ახლადა ვხვდები, რომ ჩემი მისია არაა, მხოლოდ მოგონებით ვაჭრობა, მათი შეგროვება. ეს არის მათი გაცოცხლება და მისგან მიღებული ენერგიის გამოყენება სამყაროს შესაცვლელად!

ის მართლაც საოცარი და ყველაზე ძლიერი მაგიაა, რასაც ამ ქვეყნად უარსებია. ეს არის საოცარი კავშირი, რომელიც ერთურთთან აკავშირებს ამ სამყაროში მობინადრე ცოცხალთა თუ გარდაცვლილთ. სწორედ, რომ მისი წყალობითაა შეძლებელი ამ ორი განზომილების თანაარსბობა და მათ შორის კავშირი. სიყვარული ერთგვარი თესლია, რომელიც წარმოშობს ახალს! ახალ სიყვარულს, ახალ თანაგრძნობას. მე შენ გპირდები, ელიზაბეტ დიუმონტ და შენთან ერთად იმ სულებს, ვისგანაც ოდესმე მოგონება შემიძნია, რომ უკლებლივ ყველა ცოცხალს მოვუთხრო, დავეხმარო, რათა გაიგონ, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი სიყვარული და რამდენად დიდია მისი მეუფება დედამიწაზე! ეს მოგონება გახდება ხიდი, წარსულსა და მომავალს შორის, ხოლო ადამიანები გახდებიან წყარონი სიბრძნისა, იმედისა და, რა თქმა უნდა, სიყვარულისა!

მარი ლავომ თვალები დახუჭა და იგრძნო, როგორ შეუერთდა მოგონება მის გონებას. მან იცოდა, რომ ეს ახალი თავის დასაწყისი იყო და ახლა მას არა მხოლოდ ძალა, არამედ პასუხისმგებლობაც გააჩნდა, რომ სიყვარული სამყაროს ყველაზე მივიწყებულ კუნჭულშიც კი გაევრცელებინა!

ქალმა, გამთენისას „შეძლილთა წეროპოლისი“ დატოვა და კვლავ იმ თავის ოთახს დაუბრუნდა, რომელიც ქაფურისა და სპირტის სუნად ყარდა. მას იქ, კუთხეში მდუმარედ მჯდომი და უთქმელად მოუბარი მეგობარი, ჯეინი ელოდებოდა. ერთი სული ჰქონდა, ეს

ემოცია მისთვის გაენდო და, როგორც კი ოთახში ფეხი შედგა, მყისვე ხმამაღლა შეცყვირა!

— ჯეინ! ჯეინ, ვიცი, რომ შეიძლება ეს ყველაფერი დაუჯერებლად უდერდეს, მაგრამ, გთხოვ, მომისმინე. ის, რაც ამ ღამით განვიცადე, რეალობის საზღვარს სცდება! ყოველი საფლავი „შეძლილთა წეროპოლისში“ ოქროსფრად მას შემდეგ განათდა, რაც მე ელიზაბეტ დიუმონტისგან შეძენილი ოქროსფრად მოელვარე მოგონებით ხელში ვიწყე შინისკენ სვლა. მისი ისტორია მრავალთაგან ერთ-ერთი აღმოჩნდა. როდესაც სასაფლაოს ძველი სექტორის გამოსასვლელიდან ვბრუნდებოდი, უან-ბატისტი დამხვდა! რა?! ნუ მეჩრები, მაგ შენი უთქმელი მზე-რით და ნუ ცდილობ ჩემთან უენოდ საუბარს!

ფერმიმკრთალმა ბატისტის სულმა მიამბო, თუ როგორ მიუძღვნა მთელი თავისი სიცოცხლე საყვარელი ქალის პორტრეტის ხატვას, მაგრამ მაინც ვერ დასარულა! ასევე გავიცანი ქალბატონი კლერი! ქალი, რომელმაც ქმრისგან საიდუმლოდ შეინახა სატრფოს გამოგზავნილი წერილები და, მისსავე თხოვნით და ერთგული მოსამსახურის წყალობით, ამ წერილებთან ერთად დაიმარხა! ანრი! —ნმამაკაცი, რომელმაც მეფის კარზე მსახურებას საკუთარი ცხოვრებით ცხოვრება არჩია! ჯეინ! წარმოიდგინე რამდენი რამის გაკეთება შეგვიძლია ამ ცოდნით?! შეგვიძლია დავეხმაროთ ადამიანებს, რათა გადალახონ შიში და იპოვონ ძალა საკუთარ წარსულში! ვასწავლოთ მათ, რომ სიყვარული უკვდავი და მარადიულია მატერიაა, რომლის მეუფება, დროისა და სივრცის მიუხედავად, უსასრულოა! ვიცი, ვიცი, რომ ეს ყოველივე შეძლილი ადამიანის ნაბოდვარს წააგავს, მაგრამ, გთხოვ! გემუდარები, ნუ განმსჯი ნაადრევად... მე ვგრძნობ, რომ ეს ჩემი ცხოვრების მიზანი და ბედისწერის ის გზაა, რომლის გავლაც შენთან ერთად მსურს! რას იტყვი, ჯეინ? მზად ხარ, რომ ჩემი მეგზური გახ-

დე და ჩემთან ერთად შეცვალო არა მხოლოდ ადამიანური საწყისი, არამედ მთელი სამყარო?

მარი ლავო გაჩუმდა... მის მოციმცი- მე თვალებში ვნებისა და მოლოდინის მკუთრი გამოხატულება მხოლოდ და მხოლოდ ჯეინის თანხმობას ელოდა. ქალის, რომელსაც მდუმარების ჯვა- რი საკუთრივ გოლგოთამდე საზიდად მხარზე მოეგდო და წინ შეუპოვრად მი- აბიჯებდა! სწორედ, რომ ამან განაპი- რობა ის ეჭვის საბაბი, რაც ქალბატონ ლავოს გაუჩნდა. მან ჩათვალა, რომ ჯეინი მიზანმიმართულად ჭოჭმანობ- და. ამიტომ გადაწყვიტა, რომ თხრობა მშვიდად და გაცილებით დამაჯერებ- ლად გაეგრძელებინა.

- ჯეინ, მე კარგად მესმის, რომ ეს ყველაფერი გაცილებით რთულად აღ- ქმადია და მესმის კიდეც, შენი სკეპტი- ციზმის მიზეზი. რაღა დაგიმალო და, შენს ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი. მე ამ ღამით მართლაც ვიყავი „შეშლილ- თა ნეკროპოლისში“ და, გეფიცები! ეს ადგილი ნამდვილად არსებობს და შენ- თან უფრო მეტად არ უნდა მიწვდეს მისი ნამდვილობის ახსნა, რადგან ამის შესახებ თავადაც არაერთხელ გსმენია! რაც შეეხება ჩემს განცდებს, ეს არის, რასაც ვგრძნობ და ვხედავ. არაა, მე არ ვამტკიცებ, რომ ეს ყველაფერი სრუ- ლი ჭეშმარიტებაა! შესაძლოა, სულაც ნარმოსახვის ნაწილი იყოს, მაგრამ იმ- დენად ნამდვილი, რომ მისი არსები- თობა მხოლოდ და მხოლოდ რეალურ ასპექტში უნდა განიხილებოდეს! მე არ გთხოვ, რომ ბრმად მენდო, დაიჯერო, რასაც გეუბნები. პირიქით, მინდა, რომ შენ, როგორც ჩემმა მეგობარმა, ეს გზა ჩემთან ერთად გაიარო.

ჯეინ, თანახმა ხარ?..

გთხოვ, რაიმე მითხარი!!!

რას ნიშნავს, ეს მდუმარება? უარს ამბობ? იქნებ, გეშინია ჩემი?

თუ გეშინია ან რაიმე გაწუხებს, გთხოვ, არ დამიმალო!!!

ამ დუმილით ცდილობ, რომ შემშა- ლო?

კარგი! მე მივხვდი, რომ შენ არ გჯე-

რა ჩემი! შენ ფიქრობ, რომ მე... გავ- გიუდი!!!

არა, მეგობარო არა! რაც გიამპე, ყველაფერი სიმართლეა. შენ კი არ გინ- და, რომ ეს ყოველივე დაინახომო!!!

იცი რა, ჯეინ? თუ არ გინდა, რომ ჩემთან ერთად დაადგე ამ გზას, მაშინ მარტო წავალ! არაფერში არ მჭირდები, როგორც მეგობარი და როგორც ადა- მიანი! ბრძანდებოდე აქ, ამ მოლაპე მოხუცთან და ყრუ ყმანვილთან ერთად აყროლებულ ოთახში! მე? მე ჩემს გზას დავადგები და მაინც მივალნევ ჩემსას!!! ყველას მოვუყვები სიყვარულის სიდი- ადის შესახებ და კაცობრიობას ვამ- ცნობ მის მარადიულ მეუფებას!!! იქ- ნებ ამ გზაზე არსებულ სასაფლაოთა შორის აღმოვაჩინო სული, რომელიც პლატინის მოგონებას გამოიმეტებს და მეც დავიბრუნო ის დაკარგული წარსუ- ლი, რამაც აქ, შენ გვერდით გამომამ- წყვდია!!! და, თუ ამ გზის გავლა მარ- ტოს მომინევს და ეს ჩემი ცხოვრების პარადიგმად უნდა იქცეს, მაშინ ეს მე- ტად შემზარავად უნდა იყოს აღქმული! ნება მომეცი, ჩემი უბადრუკი ხელებით დავასრულო ეს ფსევდომეგობრობა და დიად მიზანს მსხვერპლად შეეწირო. დაე, ეს იყოს დასტური კაცთა შორის აღმოცენებული და გაუკულმართებული ცალმხრივი გრძნობისა! დაე, მსხვერ- ლად იქცეს არა მხოლოდ გრძნობა, არამედ ადამიანი!

სიტყვის დასრულებისთანავე შლე- გად ქცეული მარი ლავო ნართან მი- ვარდა. ნარის კიდედან მომცრო ზო- მის ფურცელი და კალამი ამოაძვრინა და წერილი მსწრაფლ დაწერა. მერე კი ხელი ბალიშს ნამოავლო და, გაშმაგე- ბული, ჯეინს დასახრჩობად ეცა. მოზ- ღვავებული ძალისა და ლავოს რწმენის ერთობლივი ტანდემმა მეგობრად წო- დებული ჯეინის უკანასკნელი სიცოც- ხლის წამი უსასრულო მარადიულობას ციფერბლატზე უსახსოვრა!

მომხდარით აკანკალებული და რე- ალობის კიდესთან მდგარი ლავო გონს წამიერად მოეგო. გაიაზრა რა, ჩადენი- ლის სიმძიმე, მყისვე ზენარს დასწვდა.

მძლავრად დაგრიხა, ყულფი გამოკვანდა, ოთახის ფანჯრის გისოსზე მჭიდროდ ჩამოკიდა და...

სული მისი „შეშლილთა ნეკროპოლისში“ ნაყიდი მოგონებების სიმძიმითა და უწარსულო არსებობით დამძიმებული, ზეცად აიჭრა!

— ალო, ალოო! ჩემი გესმით?
— დიახ, დიახ, მესმის!
— ჯეინ ლავოს ვესაუბრები?
— კი, ჯეინი ვარ.
— მარი ლავოს, და?
— დიახ, ბატონი! ჯეინ ლავო გახლავართ. მარი ლავოს და.

— მე დოქტორი მარტინი ვარ, ნიუორლეანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი. მაპატიეთ, რომ ასე გვიან განუხებთ.

— არაუშავ... რა მოხდა?!
— ჯეინ, სამწუხაროდ ცუდი ამ-ბის შესატყობინებლად გირეკავთ. ეს თქვენს დას, მარი ლავოს ეხება...
— რა შეემთხვა ჩემს დას? რა დაემართა?!
— სამწუხაროდ, ის ამ ლამით, დაახლოვებით ერთი საათის წინ გარდაიცვალა.

— რა? არაა, ეს შეუძლებელია!!! როგორ... ეს როგორ მოხდა?
— ჯეინ, ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მარიმ თავი მოიკლა.

— არაა, არ შეიძლება, რომ ეს მართალი იყოს. არაა!!!

— გულწრფელად ვწუხვარ თქვენი დანაკარგის გამო, მესმის რამდენად მძიმეა თქვენთვის, მაგრამ ასეა.

— როგორ მოხდა?.. ის ხომ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო?!. თქვენ ხომ დამპირდით, რომ მას არაფერი და-ემართებოდა?!

— მისი მდგომარეობა ბოლო დროს საგრძნობლად გაუარესდა. ჰალუცინაციები და ბოდვები გაუძლიერდა, რის გამოც ახალი მკურნალობის მეთოდის გამოყენებას ვაპირებდით, მაგრამ...

— მაგრამ რა?!. თქვენ ის ვერ დაიცავით!

— სრულიად გასაგებია თქვენი სიბრაზე, ძვირფასო ჯეინ. სამწუხაროდ,

მარიმ თავისი ზეწრის გამოყენება მოახერხა. ის იმდენად შემოქმედებითი და გონიერი იყო, რომ...

— ის ავად იყო! ავად!!! თქვენ ის საკუთარი თავისგან უნდა დაგეცვათ, გესმით?!

— მართალი ბრძანდებით. ჩვენ შეცდომა დავუშვით და ამას ვალიარებთ კიდეც. გპირდებით, რომ სრული გამოძიება ჩატარდება! ვიცი, რომ ამაზე საუბარი ახლა, ამ მომენტში, საკმაოდ რთულია, თუმცა იქნებ ხვალ შეძლოთ საავადმყოფოში მოსვლა? არის რამდენიმე ფორმალობა, რისი მოგვარებაც აუცილებელია, რათა მისი ცხედარი ქალაქის პროზექტურაში გადავასვენოთ.

— ახლავე ნამოვალ!

— კეთილი. თუ გნებავთ, ჩვენს ფსიქოლოგს დაგახვედრებთ და გაგესაუბრებათ.

— არა! არავითარი ფსიქოლოგი მე არ მჭირდება! მე მხოლოდ ჩემი დის ნივთებს ნამოვილებ.

— გასაგებია. ჯეინ, კიდევ ერთხელ მსურს ჩემი ღრმა მწუხარება გამოვხატო მომხდარის მიმართ და მოგიბოდიშოთ... თუკი რაიმე დაგჭირდეთ, არ მოგერიდოთ! ჩვენი პერსონალი მუდამ მზად იქნება თქვენს დასახმარებლად!

— გმადლობთ! ნახვამდის!

— შეხვედრამდე, ჯეინ.

ღამის სამ საათზე ჯეინი ნიუ-ორლეანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მიადგა. ტირილისაგან შეწითლებული და შესიებული თვალებით უმზერდა შესასვლელ კარს. კარს, რომლის მიღმა საკუთარი დის გაციებული ცხედარი ესვენა. ძალა მოკრიბა, კარი შეაღოდა და შესასვლელში მომლოდინე დოქტორ მარტინს მიმართა, რომელიც სამძირის სათქმელად მისკენ გამოემართა.

— მინდა, რომ მარის გვამი ვნახო... ახლავე!!!

— ჯეინ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს კარგი იდეაა. თქვენ ძალიან აღელვებული ხართ და შესაძლოა ეს თქვენზე...

— ახლავე!!! ის ჩემი დაა... უნდა ვნახო!

— კარგი, გამომყევი.

აუჩქარებლად გაუყვნენ ცარიელ დერეფანს. მათი ნაბიჯების ხმა ექოთი ირეკლებოდა, საგანგებოდ და სტანდარტულად შეღებილი საავადმყოფოს კედელზე. კარში პირველი დოქტორი შევიდა. ჯეინი ნაბიჯის გადაგმისას ყოყმანობდა და სადღაც, გულის სილრმეში, ღმერთს სთხოვდა, რომ იქ მომლოდინებ მარის გვამი სულქმნილიდ დახვედროდა! მომხდარიყო სასაწაული და მისი ხმა გაეგონა, თუმცა ოცნება ოცნებად რჩებოდა. როგორც კი ოთახში ფეხი შედგა და იხილა რა ზენარგადაფარებული გვამი, მყისვე ხელები სახეზე აიფარა. დოქტორმა ფრთხილად გადახადა გვამს ზენარი და მარი ლავოს მშვიდი სახეც გამოჩნდა. მის ბროლივით ქათქათა ყელს წითელად გასდევდა ზენრის ნაჭდევის კვალი. აკანკალებულმა ჯეინმა ძლივს ამოილულლუდა.

— ღმერთო ჩემო, როგორ დაუშვით, რომ მისი ცხოვრება ამგვარად დასრულებულიყო?...

— ის, ის ძალიან მძიმედ იყო... გამუდმებით ილუზიურ ადგილმდებარეობას ასახელებდა და გაიძახოდა, რომ იქ, ე.წ. „შეშლილთა ნეკროპოლისში“ მოგონებების საყიდლად, სულებთან დადიოდა. ამბობდა იმასაც და წუხდა იმაზეც, რომ იქ მხოლოდ ვერცხლის მოგონებები ხვდებოდა. მაპატიე, ჯეინ, მაგრამ არ შემიძლია არ გითხრა, რომ შენ მას არა როგორც და, არამედ როგორც მისი ოთახის მეგობარი, ისე მიაჩნდი. ისევე როგორც ორი გამოგონილი ინდივიდი, რომელთაგან ერთი მუდამ მოლაყბე მოხუცი და მეორე ყრუ ყმანვილი გახლდათ. სულ იმაზე აპელირებდა, რომ ნარსული არ ახსოვდა. სწორედ ამ უკანასკნელს ასახელებდა „შეშლილთა ნეკროპოლისში“ სტუმრობის მიზეზად, რადგან იმედი ჰქონდა, რომ მისივე გონების დამსახურებით ნარმოდგენილი ილუზიური „პლატინის მოგონება“ ნარსულს დაუბრუნებდა. ჩვენ ყველანაირად ვცდილობდით, მაგრამ...

— მაგრამ, საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჯეინი ხელით მარის ცხედარს შეეხო. გაქვავებული ცხედრის სიცივემ მისი სხეულის თითოეული უჯრედი მოიარა და სხეული ერთიანად აუკანკალდა. რომ არა მის სიახლოვეს მდგომი დოქტორი მარტინი, იატაკს გულწასული დაასკდებოდა. მარტინმა ქალი მკლავებით შებოჭა და იქვე მდგარ სანოლზე წამოაწვინა. გონზე მოსულმა ჯეინმა დოქტორს შეხედა და აღსარებისთვის წარმოსათქმელი სიტყვები სიფრთხილით შეამზადა.

— ჩვენ ძმა გვყავდა. მაიკლი... ის დაბადებიდანვე ყრუ იყო. უბედური შემთხვევის გამო გარდაიცვალა. ძმის გარდაცვალებას მარი ყოველთვის საკუთარ თავს აბრალებდა, რადგან ამისკენ მამა უბიძგებდა. სწორედ, ის... შანსს არ უშვებდა ხელიდან, რომ ის ისტორია არ გაეხსენებინა, რადესაც მარიმ მისისიპზე საბანაოდ პატარა მაიკლი წაიყვანა... მარის გონებაში ეს თვითდადანაშაულება იმდენად გაუჯდა, რომ თავი დაავადებად იჩინა. მანამ, სანამ აქ მოვიყვანდი... სახლში გამუდმებით მიწევდა მისი არაორდინალური ამბების მოსმენა და ვცდილობდი, რომ მის ყოველ ნაამბნარს დუმილით შევხვედროდი, რათა უფრო მეტად არ გამელიზიანებინა. ბოლოს, როგორც იცით, საზოგადოებისთვის საშიში შეიქმნა, რამაც მისი აქ ყოფნა განაპირობა. ჩემი ბრალია, ყველაფერზე უარი უნდა მეთქვა. სამსახურზე, პირად ბედნიერებაზე და მარი ჩემთან დამეტოვებინა. ახლა ის... ის ცოცხალი იქნებოდა....

— საქმე მის ნარსულში მომხდარ ტრაგედიაში ყოფილა. ახლა კი უკვე ნათლად აღქმადია მისი შიზოიდური დამოკიდებულება რეალობის მიმართ და ის ილუზიური წარმოსახვანი, რაც მას გააჩნდა, თუმცა, ამის მიუხედავად თქვენ მის მეხსიერებას მაინც შემორჩით. დიახ, შემორჩით, მაგრამ სახეცვლილი... ჯეინ, ჩემი უმორჩილესი თხოვნა იქნება, რომ მის გარდაცვალებაში თავი არ დაიდანაშაულოთ. ამაში არა თქვენ, არა ჩვენ, არამედ ის ილუზიური თვითმყოფადობაა, რამაც გო-

ნებიდან მისი წარსულის ამოშლა განაპირობა! ძალიან გთხოვ, მენდე. ამ ყოველივეს შენს დასამშვიდებლად არ ვამბობ. ეს იმ გამოცდილების შედეგად გამოტანილი დასკვნაა, რაც განვლილი წლებისა და მსგავსი დაავადებით შეპყრობილი პაციენტების მკურნალობის სარჯიშეა ნაკარნახები.

ჯეინ, ვიცი, რომ ეს რთულად ალქმადია, მით უმეტეს ამ მდგომარეობაში, მაგრამ არის რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ.

– რის შესახებ?
– დაკრძალვის შესახებ...
– მე, მე არ ვიცი. არ ვიცი, როგორ ან რა უნდა გავაკეთო.

– ეს წორმალურია. ნუ დარდობთ, ამაში მე დაგახმარებით, რასაკირველია, თუ თქვენ მზაობას გამოთქვამთ.

– კარგი...
– და კიდევ ერთი რამ, რაც ზოგადად მის ნივთებს შექება. ჩვენ მის ოთახში წერილი აღმოვაჩინეთ, რომელიც თქვენთვისაა განკუთვნილი. თავს უფლება არ მივეცი, რომ თუნდაც თვალი შემევლო მისთვის, ამიტომ ჩემს კაბინეტში, მაგიდის უჯრაში შევინახე. თუ ინებებთ, მარის ნივთებთან ერთად გადმოგცემთ.

– კარგი, მაჩვენეთ ის წერილი...
დოქტორი მარტინი ჯეინს თავის კაბინეტში შეუძლვა, მაგიდის უჯრიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოაძვრინა და გაუწოდა.

– ეს მარტინ თქვენთვის დატოვა... გთხოვთ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, იქნებ ხმამაღლა წაიკითხოთ.

ძვირფასო, ჯეინ!

თუ ამის წაკითხვას ოდესმე შეძლებ, იცოდე, რომ მე უკვე ცოცხალი აღარ ვიქნები. მხვერპლად ისევე შევენირები ამ დიად მიზანს, როგორც მე შენ შეგწირე! ვიცი, რომ ჩემი ეს გადაწყვეტილება გულს გტკენს, რისთვისაც პატიებას გთხოვ! მინდა იცოდე, რომ ეს ერთადერთი გზა იყო იმ მიზნისკენ სწრაფვისა, რისკენაც ასე თავდაუზო-

გავად მივიღტვი!

„შეშლილთა წეკროპოლისი“, გარდაცვლილი სულნი, რომელნიც მოგონებებს უშურველად ჰყიდიან – ეს ყოველივე სრული ჭეშმარიტებაა. ის გაცილებით მეტად საოცარი რამაა, რაც კი ადამიანის გონიანიერს წარმოუდგენია! მე შევძელი მასში მოგზაურობა, რადგან იმედი მქონდა, რომ „პლატინის მოგონებას“ წავანყდებოდი, შევიძენდი და ჩემს დაკარგულ წარსულსაც დავიბრუნებდი, თუმცა ვცდებოდი! ჩემი არსებობის თვითმიზანი არა წარსულის ძიება, არამედ ის მისია იყო, რისკენაც ახლა მივიღტვი. არსებობს ერთადერთი ძალა და მას სიყვარული ჰქვია. სწორედ ისაა გასაღები იმ წარსულისა, აწმყოსა თუ მომავლისა, რაც კაცობრიობის გადარჩენისთვის უკანასკნელი ბერკეტია! მეპატიე, რომ ეს ყველაფერი შენამდე სათანადოდ ვერ მოვიტანე და ვერ გარწმუნე ამ დიადი გრძნობის მეუფებაში... ერთადერთი გზა ამის ასახსნელად კავშირის განყვეტა იყო! კავშირის, ჩემსა და შენ შორის. და მერე კი ჩემსა და ამ სამყაროს შორის! გთხოვ, მაპატიე! მაპატიე და უკანასკნელად, ჩვეული მდუმარებით შეეგუე ჩემს არა როგორც შენი მეგობრის, არამედ როგორც ადამიანის გადაწყვეტილებას!

მიყვარხარ, ჯეინ და მუდამ მეყვარები! ახლა კი, გზოვებ!

შენი მეგობარი, მარი ლავო“.

როდესაც ჯეინმა წერილის კითხვა დაასრულა, დოქტორ მარტინს გახედა. ის ცრემლად იღვრებოდა.

– ეს, ეს სიგირუა!!!
– ძალიან ვწუხვარ, მას ეჩვენებოდა, რომ...

– საკმარისია! მეტის ატანა აღარ შემიძლია, არაა!!! მე, მე უნდა წავიდე. ახლავე, ახლავე უნდა გავეცალო აქაურობას!

სანამ დოქტორი რაიმეს თქმას მოასწრებდა, ჯეინი ფეხზე წამოხტა და დერეფანს ჩქარი ნაბიჯით გაუყვა. უკან კი დოქტორი მარტინი გზადაგზა მოჰყვებოდა და სიმშვიდისკენ მოუწოდებდა,

თუმცა ქალს მისი სიტყვები არც კი ეს-მოდა. აფორიაქებულმა და აცახცახე-ბულმა ჯეინმა საავადმყოფოს შენობა დატოვა და შინისაკენ გაეშურა.

სენტ-ლუისის სასაფლაოს თავზე ნისლი ჩამოწლილიყო. თითქოს თავად სამყარო ცდილობდა, რომ დაეფარა ის ტრაგედია, რაც აქ, ამ ალაგს ხდებოდა. ამ დღეს, ამიერი-იმიერს მარი ლავოს ცხედარსა და უკვდავ სულს აბარებდა. დაკრძალვის დღე იდგა ქალისა, რომელმაც ცხოვრებისა და არსებობის უკანასკნელი ნლები წარმოსახვით სამყაროში გაატარა, სადაც გამოგონილ „შეშლილთა ნეკროპოლისში“ მიცვალებულთა სულებისგან მოგონებებს ყიდულობდა. ქალისა, რომელსაც თავი „მოგონებებით მოვაჭრედ“ მოჰქონდა...

მის სამარადფამო სამყოფელთან მხოლოდ სამი ადამიანი იდგა და უკანასკნელად პატივს მიაგებდა გარდაცვლილ ლავოს. ესენი იყვნენ: პადრე ანტონიო – მისი თეთრი ანაფორა ნისლში მოჩვენებასავით ლიცლიცებდა და თითქმის შეუმჩნეველ, შორით მონაბერ სიოს ნებდებოდა. ჯეინი – მარი ლავოს და, მაქმანებით გაწყობილ შავ კაბაში გამოწყობილი, გამეხებული იდგა მარის კუბოსთან და თავდახრილი ჩუმად ქვითინებდა; და დოქტორი მარტინი. კაცი, რომლის სახეზეც პროფესიული და ადამიანური თანაგრძნობა ერთდროულად იკითხებოდა.

პადრე ანტონიომ ჯვარი მაღლა აღმართა და ლოცვა იწყო, თითქოს მისი სიტყვები ნისლში იკარგებოდა და იქ მყოფთაგან არც ერთის ყურამდე არ აღწევდა. სინამდვილეში კი, ფიქრს მიცემული ჯეინი და დოქტორი მარტინი მარის იხსენებდნენ. ჯეინის ბაგეს თითქმის ჩურჩულით, მოზომილად თავშეკავებული სიტყვა აღმოხდა.

– მახსოვს... მახსოვს, როგორ უყვარდა ამ სასაფლაოზე სიარული. თითქოს თავს ცოცხლად აქ ყველაზე მეტად გრძნობდა.

მარტინი თავდახრილი ისმენდა ჯეინის სიტყვებს და იაზრებდა, რომ მარი

მისთვის არა მხოლოდ პაციენტი, არა-მედ ერთგვარი გამოცანაც იყო – ქალი, რომელმაც შექმნა საკუთარი რეალობა და ამ რეალობაში შეძლო გარდაცვლილთაგან მოგონებები ეყიდა.

– რა გასაკვირია, ჯეინ. ის ხშირად მიყვებოდა „შეშლილთა ნეკროპოლისში“ მოგზაურობის შესახებ. მიყვებოდა, როგორ ელაპარაკებოდა გარდაცვლილ სულებს და როგორ ყიდულობდა მათგან მოგონებებს. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ სწორედ ამ გზით ცდილობდა დაემარცხებინა კაცობრიობის საბოლოო ხვედრი – თვით სიკვდილი!

მათი საუბრის შემსწრე პადრე ანტონიომ მოულოდნელად ლოცვა შეწყვიტა და მათ მიუახლოვდა.

– მარი რთული ადამიანი იყო, მაგრამ მისი რწმენა იმის შესახებ, რომ სიკვდილი არ გახლავთ დასასრული, ეს იყო განსაკუთრებული ხედვა, რაც ზოგადად ადამიანთ არ გვახსასათებს. უფრო მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ შიშს გვგვრის ფიქრი იმაზე, რომ ოდესმეჩვენც გარდავიცვლებით.

– ვინ იცის, იქნებ ჩემმა დამ იპოვა ის, რისკენაც იღვნოდა.

– იქნებ, მარიმ მართლაც იპოვა ის, რასაც ეძებდა. ჩენონთვის ამის გარკვევა თითქმის შეუძლებელია. არ შეგვიძლია ხილულად აღვიქვათ და თუნდაც წარმოვიდგინოთ ის სამყარო, რაც მან თავის გონებაში შექმნა და მოახერხა, რომ მისით ესულდგმულა.

კუბო ნელ-ნელა ჩაეშვა სამარეში და ისეთი განცდა რჩებოდა, თითქოს მინაც კი მოუთმენლობას შეეპყრო და ლოდინით გადალლილი მარის ნეშტს სიხარულით იწვენდა საგულდაგულოდ, სიმეტრიულად ამოჭრილ გულმკერდზე.

იმ დღისით სენტ-ლუისის სასაფლაოზე რაღაც შეიცვალა... ზღვარი ცოცხლათა და მკვდართა შორის, რეალობასა და წარმოსახვას შორის უფრო მეტად გამჭვირვალე გახდა. მარი ლავოს ისტორია კი ქვაზე სამარადფამოდ ამოიტვიფრა. ქალისა, რომელიც მოგონებებს აგროვებდა, დარჩა როგორც

შეხსენება იმისა, რომ ზოგჯერ ყველაზე უცნაური რწმენაც კი შეიძლება ყველაზე ღრმა სიმართლის მღალადებელი აღმოჩნდეს.

მომდევნო კვირების განმავლობაში სენტ-ლუისის სასაფლაოზე მისული ადამიანები უცნაურ ფაქტებზე ყვებობდნენ. ამბობდნენ, რომ ესმოდათ ჩურჩული, ხედავდნენ ნათებას სასაფლაოს მაცხენა სექტორში, იქ, სადაც მარი ლავო იყო დაკრძალული. ზოგი ამტკიცებდა, რომ სასაფლაოზე მისულთ უეცრად ახსენდებოდათ ის მოგონებები, რომელებიც კარგა ხნის მივიწყებული ჰქონდათ და უცნაური ის იყო, რომ ამ მოგონებების გახსენებისას წარმოუდგენელი სიხარულის განცდა ეუფლებოდათ.

ჯეინი ხშირად სტუმრობდა დის საფლავს. იმ დღესაც, მზის ჩასვლისას, როდესაც „შეშლილთა ნეკროპოლისა“ ბინდი ეფარებოდა, მარი ლავოს საფლავის მოსანაზულებლად, ჯეინთან ერთად, პადრე და დოქტორი მარტინიც მივიდნენ. მორჩილად მდგარნი შესცეროდნენ საფლავის ქვას, რომელზეც ეწერა:

მარი ლავო
1978-2006
„მოგონებებით მოვაჭრე“
№4729

— უცნაურია, რამდენჯერ ვყოფილ-ვარ აქ, მაგრამ ეს ციფრები მხოლოდ ახლა შევაჩინო.

— დოქტორო მარტინ, მარი ყოველ-თვის ამბობდა, რომ ადამიანთათვის ციფრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მე ამაზე გულიანად მეცი-ნებოდა და ბრაზდებოდა. ბრაზდებოდა, რომ ვერ ვამჩნევდი იმ უნიკალურ ციფრებს, რომელებიც ადამიანებს ერთობისგან ანსხვავებდა.

— იქნებ მართალიც იყო?.. ყველა ჩვენგანი ხომ განუმეორებელია ამ დიდ სამყაროში?! მეც ამის მტკიცება მიწევს ყოველი ქადაგებისას, მაგრამ ის, თუ რა დატვირთვა აქვს ან რამდენად მნიშვნელოვანია ციფრი ადამიანთა ყო-

ფიერებაში, სიმართლე გითხრათ, ამაზე არც კი დავფიქრებულვარ.

— ეჲ, მეგობრებო. იცით, რამდენი დრო შევალიე, რომ ეს ყოველივე მეცნიერულად ამეხსნა? მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ზოგჯერ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ სცდება ჩვენს რაციონალურ ხედვას და, რამდენადაც ალუ-ზიად არ უნდა მოგეწვენოთ მისი ირაციონალურობა, ის ჭეშმარიტად რეალურია, როგორც თვისობრივად, ასევე შინაარსობრივადაც. ამ კვლევებისა და უამრავი დროის ხარჯვის ფონზე ერთ რამეს მივხვდი. ის, რასაც ამ სამყაროში ყველაფრის შეცვლა შეუძლია, ეს სიყვარულია!

— გეთანხმებით, მარტინ. სიყვარული ერთადერთი ჭეშმარიტი გრძნობაა, რაც უფლისმიერი საწყისითაა განპირობებული და მის გარეშე არსებობა სამყაროს გარდაუვალი დასასრულის მომასწავებელია.

— დიახ, ბატონებო! სიყვარული არის კავშირი. ის საშუალებას გვაძლევს და-ვინახოთ ისეთი სამყარო, როგორსაც ჩემი და ხედავდა. სამყარო, სადაც ყველაფერს თავისი ფასი აქვს და სამყარო, სადაც სული მარადიულად თანა-არსებობს ცოცხალთა შორის. მართალია, ამაზე...

ჯეინს საუბარი მოულოდნელად მიახლოვებულმა მოხუცმა ქალბატონმა შეაწყვეტინა.

— უკაცრავად, რომ გაწყვეტინებთ. თქვენ, მარის და ხართ?

— დიახ, მისი და ვარ. თქვენ იცნობ-დით მას?

— არა, მაგრამ ვიცი მისი ამბავი. ისიც, რომ ის განსაკუთრებული ადა-მიანი იყო.

— მისმინე, შვილო. მე ამ სასაფლაოს მომვლელი ვარ. საფლავებს ვუვლი, შემიძლია შენი დის საფლავსაც მივხედო. ყვავილები დავდო, ბალაზი და გამხარი ფოთლები გადავაცალო.

— მე თავად ვუვლი ჩემი დის საფლავს და, საერთოდ, აქ ხშირად მოვდი-ვარ ხოლმე.

— ეჲ, შვილო. მერწმუნე, შენ ვერ შეძ-

ლებ აქ სამუდამოდ სიარულსა და შენი დას საფლავის მიხედვას. აი, მე კი შე-მიძლია. წარმოიდგინე, რამდენი ადამია-ნი მოდის აქ, ამ სასაფლაოზე და მაშინ, როდესაც შენ აქ ამოსვლა გაგიჭირდება, ვინ უამბობს ისტორიას შენი დას შესა-ხებ? დაფიქრდი, მე ეს შემიძლია.

პადრე ანტონიომ ნაზად ჩაიცინა და მოხუცს თბილად მიმართა.

— ჩემი კარგო, მარის ისტორია უკ-ვე ცოცხლობს ჩვენს გულებში და არ სჭირდება...

— არა, პადრე. არა! იქნებ ეს სწორედ ისაა, რაც მარის სურდა, რომ მის შესა-ხებ მთელ სამყაროს გაეგო?!

— კარგი, მე დაგიქირავებთ, მაგრამ არა იმიტომ, რომ საფლავს მოუაროთ, არამედ იმის გამო, რომ აქ, მის საფ-ლავთან მოსულთ მოუთხროთ მარის შესახებ და უკლებლივ ყველას ვუთ-ხრათ, რომ მოგონებები, ისევე რო-გორც სიყვარული, მარადიულია!!!


— ოჰ, ამას დიდი სიამოვნებით გა-ვაკეთებ. მაპატიე, შვილო. თავის წარ-დგენა დამავინყდა. მე, ელიზაბეტი ვარ. ელიზაბეტ დიუმონტი. ცოტა არ იყოს, მეუხერხულება კიდეც, მაგრამ, უნდა

გითხრათ, რომ ჩემი მომსახურება თვის განმავლობაში, სულ რაღაც ექვსი დო-ლარი დაგიჯდებათ.

— კეთილი, ელიზაბეტ.

— მაშ, შეხვედრამდე! ნახვამდის, ბა-ტონებო.

ლამის წყვდიადით მოსილ გარდაც-ვლილ სხეულთ მდუმარება საგანგებოდ დაეთმოთ და, სამუდამო განსასვენებ-ლიდან მიწად აღმოცენებულნი, წყვდი-ადისგან შთანთქმული მზის უკანასკნე-ლი სხივის გაელვებას რატომლაც ენით აღუნერელი მოლოდინით შესცეროდ-ნენ. მათ უხორცო სხეულში აღზევე-ბული და მათ საფლავში ძვალთა მომ-ლოდინე ჩვართა შორის უკვდავებად გამეფებული მარადიულობა „შეშლილ-თა ნეკროპოლისში“ კიდევ ერთი დღის დასრულებას ზეიმობდა. ნეკროპოლის-ში, სადაც სიყვარული და მოგონებები კვლავ ცოცხლობდა, სადაც წარსული და აზმყო ერთურთს ერწყმოდა, სადაც №4729 საფლავის მკვიდრი მარი ლა-ვოს ისტორია კვლავ გრძელდებოდა, როგორც მტკიცებულება ალუზიური თვითმყოფადობისა!!!



საბა ქვათაძე

კეხურა

— გაიგე, ბიჭო, სკოლაში ვაშ-ლებს რომ არიგებენ?

— გავიგე, აბა, არ გავიგე? დღეს მოაქვთ თან.

— მაგარია რა. აუ, ნეტა მეოთხე გაკვეთილის მერე დაგვირიგონ.

— მეოთხე რა გვაქვს ?

— სპორტი, ბიჭო, სპორტი.

— აუ, აბაა! რაჭაში ზაფხულობით სტო-პიატს რომ ვთამაშობ ხოლმე, მერე სულ ვჭამ. ბებიაჩემს ვპარავ. მეჩეუბება, მურაბისთვის მინდაო, მარა მაგარი გემრიელია და რა ვქნა, ხი-ხი!

— ე, მაიცა. ის დათიკო არაა?

— კი დათიკოა. ამას რა ვეშლი ეყოფა. ნახე, რამხელაა.

— დათიკო!..

— დათიკო!..

— ნახე რა!

— აბა, ახლა უყურე. ბომბორ!

— ნახე, ბიჭო, გამოიხედა.

ახითხიდნენ ბავშვები დათიკოზე. არა, ისე მართლაც კეხურა ვაშლივით ჰქონდა წითელ-მოვარდისფრო ლოყები. თვითონ მწვანეთვალება ბავშვი იყო, ციცინათელებივით უციმციმებდა. ის კია, რომ ბოლო პერიოდი ციცინათელას ვერ მოჰკრავდა ხოლმე კაცი თვალს, მაგრამ თუ ვინმეს ძალიანაც მოენატრებოდა, დათიკოს ხილვა გადატანიხებდა მაგ ჭირსა და ვარამს. მკლავებიც კარგა გვარიანად ჰქონდა ჩანაკეცებული დათიკოს. ტუჩებიც ძლივსლა უჩანდა...

ასე შემოგვანგვალდა მეხუთე კლა-



სის ქუშ საკლასო ოთახში. აი, იმ საკლასო ოთახში, მარტო შესვენებებზე რომ შეფერადდებოდა ხოლმე ხუთი-ათი წუთით, დანარჩენი ორმოცდახუთი წუთი კი ისევ უდალატოდ იძენდა რუს ფერს. უფრო სწორედ, ჯერ მისი ბურთივით მუცელი შემოდიოდა ხოლმე და მერე დათიკოც მოსდევდა ფეხდაფეხ.

— ბიჭო, დათიკო, შენ გეყოფა ვაშლები?

— მომიტეხე რა ლობიანი.

— აუ! ვინაა ეს, ვაა. სულ როგორ მეუბნები, მომიტეხეო.

— შენ ლობიანზე გეუბნება და მე პიცაზე! აბა, პიცა როგორ მოვუტეხო. თითებზე მეზილება მერე კეტჩუპი და

მაიონეზი.

— მომიტეხე რა..

არაფრის დიდებით არ მოუტეხეს დათიკოს ლობიანი. შეუწყლიანდა ის ციმციმა თვალები. ჰოდა, მისმა ფუმ-ფულა მუცელმაც თბილი ლობიანის მაგივრად, ლაზათიანი სევდა იგემა, მაგრამ ისე მოხდა, რომ მუცელიცა და თავად ჩვენი ბომბორაც კაკო მასწავლებლის სიის მკაცრმა ამოკითხვამ შემოაბრუნა დედამინაზე.

— ჭეიშვილი.. დავით!

— ვარ!

გავიდა რუხი ორმოცდახუთი წუთიც. ვიღას ახსოვდა შესვენება. მოუამული სახეებით ისხდნენ ვაშლების მომლოდინე ბავშვები. გაიძურნა კაკო მასწავლებლი და ორიოდე წუთში შემობრუნდა ისევ, უკან, თეთრი ცელოფინით.

— თუ დავალებას შემისრულებთ და გამოიცნობთ რა მაქვს ცელოფანში...

— ვეღარ გაიგო, რას უნდა შეპირებოდა კაკო ბავშვებს. ჰოდა, ისევ იგივე გაიმეორა.

— თუ დავალებას შემისრულებთ და გამოიცნობთ, რა მაქვს ცელოფანში...

— ვაშლ... ვაშლები? — ხმადაბლა წაიბლუკუნა დათიკომ.

— ჭეიშვილ! მასე რო მიხსნიდე ამოცანებს, ხო გეყოლებოდა ვაშლივით წიშნები!

დასცხეს ხარხარი... იცინოდა თექვსმეტი ბავშვი, იცინოდა კაკო მასწავლებლიც, მაგრამ დათიკოს არ გასცინებია. კაკომაც აღარ დააყოვნა და ჩამოარიგა.

— ჰე, წადით ახლა სპორტზე, მერხების ქეეშ შეინახეთ ეგ ვაშლები, არ წავლენ არსად, ამოხვალთ და შეჭამთ მერე.

გავიდა ფერადი ორმოცდახუთი წუთი. დაბრუნდა თექვსმეტი ბავშვი, დახვდათ დათიკო საკლასო ოთახში, მაგრამ ამ თექვსმეტიდან სამ ბავშვს ნამდვილად აღარ დახვდა სამი ვაშლი. ატყდა ამბავი. ატყდა, მაგრამ რა ატყდა. ვინ ვის ეჩეუბებოდა, რატო ეჩეუბებოდა, თავიდან ვერც კაკომ გაიგო და ვერც მამა ზეციერმა.

მთავრდებოდა დღე, თუმცა ვიღას ახსოვდა სახლი. ამ ჩოჩქოლში მივარდა

ეს სამი ბავშვი ზურგჩანთა მოკიდებულ დათიკოს. გაადინა ზღართანი იატაკზე, იგორავა მტევრში და ბრდლვნასაც აღარ დაუტევდნენ ამ ჩვენ ბომბორას, კაკო მასწავლებელი რომ არ გამოსცხადებოდა მესიასავით.

— რა ამბავია აქ! — შესძახა და გაისუსა თექვსმეტივე. მხოლოდ დათიკოს სლუჟუნილა ისმოდა აქა-იქ.

— მუხლი გიტკენია. ნუ ტირი. კაცი არა ხარ? ნახე, მე ამათ რა ვუქნა, კარგი, შვილო, შენს გახარებას. ნულა ტირი, ჰე... მოდი, ახლა. მოდი, წამოდექი...

წამოდგომა იყო და, მტვერთან ნაალერსალი, შეხსნილი ზურგჩანთიდან გამოჩნდა ორიოდე ვაშლი. მივარდა ერთი გატლებილი ბავშვი ამ ვაშლებს და...

— აგე, კაკო მას, აგე კაკო მას! ხო ვამბობდი, დათიკომ მოიპარა-მეთქი, ხო ვამბობდი!..

ატყდა ჭყიპინი, აჭყვა ერთი, მერე ორი, მერე სამი, ოთხი, ხუთი და მივიდნენ თექვსმეტამდე. ყვიროდნენ: „ჭეიშვილმა მოიპარა, ჭეიშვილმა მოიპარა“.

— არ გრცხვენია, შვილო? კი მარა, რას გაჭმევენ ამდენს სახლში, გეკითხები!.. არა, გეკითხები — რას გაჭმევენ სახლში ამდენს?

ბომბორა მთლად აზლუქუნდა. იწმენდდა ამ თავისი ბუთქუნა ხელებით თვალებს, იწმენდდა, მაგრამ ვერა და ვერა აკავებდა კამკამა წყაროს, თქრიალით რომ მოსდიოდა ციცინათელებიდან.

— კარგი ახლა, შვილო, რა იყო, მორჩა... შიოდა და აილო, რა მოხდა მერე?! თექვენ არ მოგშიებიათ? ანი რომ მოგშივდება, დათიკო, სთხოვე, შვილო... სთხოვე და მოგცემენ.

— ვთხ... ვთხ... ვთხოვე მე... ლობ... ლობიანი და არ... არ მომიტ... მომიტეხეს... მე...

— კარგი, შვილო, ლობიანის მერე ვაშლი ვის გაუგია?! მაგიტო არ მოგიტეხეს, თორე მოგიტეხავდნენ, აბა, რას იზამდნენ. ხომ მოუტეხავდით?

— კი, კაკო, მას!

ეს „კი კაკო მას“ საკლასო ოთახში ზუსტად თექვსმეტჯერ გამეორდა.

— ხმა და კრინტი ახლა! შერიგდით,

თორემ მშობელთა კრებას მოვიწვევ, აბა! როგორ გინდათ?! მოვიწვევ მშობელთა კრებას.

შერიგდნენ. დაიბრუნეს თავიანთი ვაშლები. დასცინცლეს თავისი კუთვნილი ვაშლი დათიკოსაც. ვერ დაინახა კაკო მასწავლებელმა, თორემ ნეტავი გენახათ, რა დღესაც დააწევდა.

მორჩა სკოლა. წავიდნენ ბავშვები სახლში. წავიდა კაკო მასწავლებელიც. ჩვენი დათიკოც თავდახრილი მიჰყვა მათ რიგებს. გზადაგზა ნატკივარ მუხლზე ისვამდა ბუთქუნა ხელებს. გაეპერა კეხურა ლოყები. ნიკაპჩამოწეული მთლად ბურთს დაემსგავსა.

ალარ გამოჩენილა მომდევნო პარას-კევამდე დათიკო.

შემდეგ ისევ ჩვეულად შემოგვან-გვალდა, დარცხევენილი – სულ ბოლო და სულ მარტო. დაჯდა თავის ადგილას, კუთხეში. თვალები ალარ უციმიცი-მებდა, გაჰყურებდა ფანჯრიდან ხედს და ეხუტებოდა გამათბობელს.

ბარდიდა.

ჩაელიმა კაკო მასწავლებელს – რო-ცა ვაშლებს არიგებენ, მარტო მაშინ უშვებენ ამ ბავშვს სკოლაშიო. და აპა, საოცარი თეთრი ცელოფნიდან ვაშ-ლებიც დარიგდა მეოთხე გაკვეთილის ბოლოს. თექვსმეტი ბავშვი ურიამუ-ლით ჩაცვივდა სპორტის გაკვეთილზე. მხოლოდ დათიკო დარჩა თავის სკამზე და გაჰყურებდა ცივ სითეთრეს თბილი საკლასო ოთახიდან.

– დათიკო, შვილო.

– ალარ მოვიპარავ კაკო მას... დედი-

კოს ვფიცავარ, თუ მოვიპარო..

– არა დათიკო, არ გიბრაზდები.

– მართლა, კაკო მას?

– მართლა, დათიკო, მართლა.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოწვა. შეატყო რა კაკომ, ბავშვი ცოტა გუნებაზე მოვიდაო..

– რატომ არ დადიოდი, დათიკო? ნა-ხე, რა ვუყო მე ამათ... ნახე რა ვუყო! რატომ არ დადიოდი, შვილო?

– სოფელში ვიყავი, კაკო მას, დედი-

კოსთან.

– სოფელში?

– ჰო, მამას დავყავარ ხოლმე.

– იქ ცხოვრობს დედიკო?

– კი, კაკო მას, იქ ცხოვრობს. მაგიტო დავდივართ მე და მამა. მანქანით მივდივართ ხოლმე. კალთაში მისვამს და რული მე მიჭირავს.

– აი, ყოჩალ შენ, დათიკო. როგორც მანქანას ატარებ, ისე უნდა ამომიხსნა ამოცანები, ხო? ხო ამომიხსნი ამოცანებს?!

– კი, კაკო მას.

– ისე, დათიკო, რატო მოიპარე ის ვაშლები... გშიოდა?

– არა, კაკო მას. არ მიყვარს მე ვაშლი. ვერ ვჭამ, მაგარია.

– აბა... აბა, რად გინდოდა, დათიკო, ოთხი ცალი ვაშლი.

– დედიკოს უყვარს, კაკო მას. მა-მა მეუბნება, უყვარსო. ჰოდა, ხშირად დავდივართ სოფელში, ვაშლები რომ მივუტანოთ. დედიკოსთვის მინდოდა ვაშლები, კაკო მას. ბოდიში... მამას ეტყვით?

– არ ვეტყვი, დათიკო. გპირდები, არ ვეტყვი. არა, შვილო, აბა, როგორ ვეტყვი... როგორ ვეტყვი. დამელო-დე, დათიკო, მოვალ მალე.

ისევ გაიძურნა კაკო მასწავლებელი ოთახიდან, ზუსტად ისე, როგორც და-თიკო გაიძურნა წინა პარასკევი. არა-ვინ არ იცის, სად იყო წასული. ერთი ის ვიცით, სპორტის გაკვეთილის და-სასრულს საკლასო ოთახში დაბრუნებულმა ბავშვებმა მერხების ქვემოდან პანია თითებით რომ გამოაცურეს თე-ქვსმეტივე ვაშლი, იმ საოცარ თეთრ ცელოფანში რომ ჩაყარეს და ისე მის-ცეს დათიკოს თექვსმეტი ვაშლი და ამ-დენივე ლობიანი. არა, არასწორად დავ-თვალე, დათიკოს თავის კუთვნილ ვაშ-ლიანად ჩვიდმეტი ცალი შეხვდა, წინა ჯერზე ანაპნილი ვაშლი, კი კაკო მას-წავლებელმა თავისი ჯიბიდან დაუთმო, ესეც თვრამეტი. ლობიანები კი კაკომ კაფეტერიიდან დაურიგა ბავშვებს და უთხრა, დათიკოს მიეცითო. თან სულ რბილ-რბილები ამოურჩევია, ბავშვი

მაგარ საჭმელს ვერა ჭამსო...

გათბა თოვლი. დათიკოც გათბა. ადარა იყო გათოშილი. ჰოდა, ჩამქრალი თვალებიდან მალევე შემოანათა ამ ვი- თომ ძალიან მკაცრ მასწავლებელსაც. გათბა კაკო. ნეტა გენახათ, როგორ უკვირდა, ამ შუა ზამთარში ციცინათე- ლებს რა უნდაო. ერთი კია, მსუსხავად ბარდიდა, მაგრამ სუსხი ვერაფრის დიდებით აკლებდა რაიმეს დედის საფ- ლავზე მიმოფანტულ გამთბარ მინას.

თავსხმა

- ბიჭო, თომაია...
- რა იყო, გაგო?
- ბიჭო, სად მოვხვდით ეს, ა? აგერ მილიონერი... ეგერ მილიონერი... ყვა- ვილებს თუ მაინც შეხედავს ნეტა... ვარდებია... რა ვიცი... ხომ არ შევ- რცხვები?!
- შეხედავს, რატო არ შეხედავს?! შენადა, გამახსენე, ბილეთები რა და- გიჯდა?
- ბილე... ბილეთები დამიჯდა ორასი ლარი, კაცზე!
- კარგი, გაგო, ნუ ყვირი, ხმადაბლა ცოტა. ორასი ლარი? აბა, ფასდაკლებაო?
- ფასდაკლება.. ჰო. სამასი ლირდა თავის დროზე. მარტო ხომ ვერ წამო- ვიდოდი, ოთხასი ლარი ბილეთების, ას ორმოცდაათი ლარი – ვარდების, ხუთა- სი ლარი – ტანსაცმლის, ეს მანქანა კი არ წვავს, სვამს. ეგეც შენი ასი ლარი.
- კი გაცდი, აბა, ათასს!
- გავცდი, ჰო. თან რამე ხომ უნდა შევჭამოთ, სირცხვილია... შევუკვეთავ ახლა. უკაცრავად, თუ შეიძლება!
- რავიცი, მე რო გითხრა, მშია–მეთ- ქი... არ მშია. წყალს კი დავლევდი ისე, თუ დაგრჩება. ისე, რას მღერის ეგეთს.
- მღერის, თომაია, მღერის. მერედა რას მღერის. გუნდში საუკეთესოა, თან რაღაცას ცეკვა–თამაშობენ... გულს და თვალს უხარია.
- ეგრეც უნდა იყოს.
- ერთი კაი მეგობარი ჰყავს თან, სა-

შენო... თეა.

– ჰო, ვიცნობ, თეას... თეას როგორ არ ვიცნობ.

– როგორ? აქამდე რატომ არ მითხა?!

– ყველას უდიდესი მადლობა მობ- რძანებისთვის! ერთი თვალის შე- მოვლაც კი საცმარისია ნარჩევი საზო- გადოების ამოსაცნობად. ჰოდა, ჩვენი მეცადინეობით, ასევე ნარჩევ და მძი- ვებად აკინძულ საღამოს შემოგთავა- ზებთ. ყოველ შემთხვევაში, უსიამოვნო ნამდვილად არ დარჩებით, ანკი როგორ შეიძლება ქართველი კაცი ქართული სულის გამონასროლ მჭექარე კულტუ- რის მომსნოება გახდე და უკმაყოფილო დარჩე. რომც დარჩეთ, არ თქვათ მა- ინც. ჯერ ერთი, კლიენტურა მოგვაკ- ლდება და მერე მეორე... მეორე... ჰო, ქართულია!

– ჰა–ჰა!.. ჰა–ჰა!.. ჰა–ჰა!

– ნახე, გაგო, მდიდრებს სიცილიც მდიდრული აქვთ.

– ჰო, რაღაც არისტოკრატული მეჩ- ვენა, ჩუმად... ახლა გამოდის!

თეატრი მოლურჯო ფერით შემო- სილა, მტვერშია ყველაფერი გახვე- ული, მაგრამ ისეთი მტვერი კი არაა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გვხვდება ქუჩებში, წიგნების თაროებზე, ზარმა- ცი დიასახლისის სახლში, თუ რავიცი... ყველგან. სხვანაირი მტვერი იყო, მოტ- კბო. სიამით გააპრუებდა კაცს. თვა- ლებს მოუწითლიანებდა, ოლონდ ტკი- ლისგან კი არა, სიმშვიდისგან. ჰო... აი, ასე მიმშვიდდებოდა კაპილარები გამოსაზამთრებლად გამწესებულები მურებივით, მოეშვებოდნენ და დაუყ- ვებოდნენ კაცს თვალის გარსზე, პანია გველების მსგავსად.

– მორჩა, თომაია! მორჩა, ბიჭო! რამ- დენს ვნერვიულობდი. კიდე კაი, გამი- ჯიბა მამაჩემმა, მაგრამ ნახე რამხელა თაიგულები მიართვეს გოგოებს, რას შვება ხალხი, არავინ თქვას ამ ქალაქში ფული არაო. ეს ნაბიჭვრები ჯერ არ- ჩევენ, მე მგონი და ისე აფათურებენ გესლიან ხელებს. იმათაც ტვინი არ

აქვთ, იყიდებიან გროშებზე! ნენე არაა ეგეთი, თომაა... ხო იცი, არა?!

— კაი რა, გაგო, თუ ძმა ხარ, მატერი-ალურზე კაცი როგორ ინერვიულებს. ეგ თუ იხსენა, სიყვარული რალა სიყვარულია. ოკეანეში რა დალევს შენზე უფრო დიდ თევზს და იმათზე დიდსაც. არაა ნენე ეგეთი... გიყვარს და უყვარხარ, მორჩა კინო! წავედით ახლა სახლში.

— გენიალურია!.. საოცარია!.. ბრავო!..

— თომაა, ბიჭო, ნენეს გავასეირ-ნებ. არ მეყოფა საწვავი. ხომ არ გეწყინება, შენით რო წახვიდე, კი წვიმს ცოტა მარა...

— არა, გაგო, რა მეწყინება. არაფერი დიდი წვიმა არაა, უარესიც ყოფილა, წინწკლავს რა...

თავსხმა იყო, თავსხმა... ერთია, თქრიალით ხვრეტდა მინას წვეთები, მაგრამ მეორე იყო ის თავსხმა, კაცს რომ ათასად მოაგონებს ხოლმე თავს და მერე კიდევ ათასზე გადამრავლდება, მერე კიდევ ათასზე და ასე... მოდის, მოდის, მოდის და ერთიანად აორ-თქლდება ხოლმე. გაიკირვებს მავანი, სად აორთქლდაო, მაგრამ ფიქრების ტკივილი რჩება. ეგ დრო გვატყუებს, დრო თვითონაა მოკლეც, ფეხებიც და ტყუილიც. რჩება სადღაც, უძირო ქვევრში და არავინ იცის, როდის გაგვახსენებს თავს, დარი როდის აირევა და ისევ როდის იწვიმებს.

— მოვედი, დე, მე ვარ, არ ინერვიულო.

— რა ქენი, თომა, დედი... რა ქნა გა-გომ... ნახა ნენე? ხომ არ ნერვიულობდა?

— ნახა. ცოტას ნერვიულობდა. ირგვლივ ჯიბემოსქელებული ხალხი იყო და თაიგულებს ატოლებდა, იმათ უფრო დიდი მიუტანესო.

— რა ანერვიულებდა კაცო, ეგ სიყვარული რალა სიყვარულია, ჯიბები თუ ატოლეს ერთმანეთს.

— ეგრეა, მეც ეგ ვუთხარი. დალიე წამლები?

— ეჲ, დავლიე, შვილო, დავლიე. კი-დევ კარგი ეს პენსია რომ მაქვს, თორემ... სანამ ცხონებული მამაშენი ცოცხალი იყო, კი ვათრევდით წელს, ვერ დავდივარ, შვილო... მოგეხმარებოდი მეც რამეში, რა ვქნა, მივეჯაჭვე ამ ლოგის, მაგრამ სიყვარულმა არ იცის ფული, თომა, დედიკო. უთხარი ეგ გაგოს.

— კარგი დე! რა სიყვარული და რა ფული. ვუთხარი, აბა არ ვუთხარი? წავალ დავწვები, დავილალე.

— მშვიდობიანი ლამე, დედი.

„უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთი-საო, შემიწყალე მე ცოდვილი. უფალო შემიწყალე! უფალო შემიწყალე! უფალო შემიწყალე!.. ღმერთო, რა ლამაზი იყო! ვერ ვიტყოდი, რომ ნენე უკეთე-სად მღეროდა. შენც ხომ დაინახე, არა? მაგრამ მაგას ხომ ვერ ვეტყოდი გაგოს, თეა უკეთესად მღერის-მეთქი. ჰოდა, უფალო, ერთხელ ვცხოვრობ, მივალ ხვალ თეასთან, ასე ურცხვად, ავდგები და მივალ! აუცილებლად მივალ და ვეტყვი... ყავაზე დავპატიუებ! ჭავჭავაძეზე აკეთებენ ძალიან კარგ ყავას, კარგად ელამუნება მუცელს. შენც იცი, არა? ხომ იცი, უფალო, მაგრამ ისიც გეცო-დინება, ყავის ფულიც რომ არ მაქვს, მერე რითიღა ვიყიდო წამლები, დედა ფურცელზე რომ ჩამომიწერს ხოლმე და ჰერნია, პენსის ფული ყოფნის მხო-ლოდ. ჰო, ჰერნია ჩემსას არ ვამატებ. ხომ არ ვეტყვი, უფალო?! ასე უფრო მშვიდადაა, ერთი დედა მყავს. აბა, მა-გას როგორ ვეტყვი. უფალო, შენობით რომ გელაპარაკები, ხომ არ მიწყენ?! არ მიწყინო, უფალო, არ მიწყინო!.. უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყა-ლე მე ცოდვილი! უფალო შემიწყალე! უფალო შემიწყალე! უფალო შემიწყალე!

ნინო დარბაისელი-სტრონი

შოთა ჩანტლაძის „მანიფესტის“ პოეტიკა

(ანუ შემოქმედი – ტოტალიტარისტულ გარემოში, ორი ოპუსი)



ოცუსი N1

შოთა ჩანტლაძე – მანიფესტი

„ბატონებო და ქალბატონებო,
ეს გახლავთ ჩვენი¹
უკანასკნელი სიტყვა,
ჩვენი პირველი და
უკანასკნელი სიტყვა გახლავთ ეს:
პოეტები და შვენენ ლომბოდან.
იმათვის, ვინაც წინ
მიგვიძლვოდა ჩვენ,
პოეზია გახლდათ ფუფუნება;
ჩვენთვის კი იგი – პური და წყალია

და წარმოუდგენელია ცხოვრება
უმისოდ.

პატივისცემით უნდა მოგახსენოთ –
ნინაპრებისგან განსხვავებით –
ჩვენ მიგვაჩნია:
ალქიმიკოსი როდია პოეტი,
იგიც სხვასავით ადამიანია,
იგი კალატოზია სახლის მშენებელი,
იგია მშენებელი, რომელიც კედელ-
ში

ფართო კარებს და ფანჯარას
ჰკვეთს.

ჩვენ ერთმანეთში ვლაპარაკობთ
ჩვენი დღეების უბრალო ენაზე,
კაბალისტიკის არ გვნამს არაფერი.
და კიდევ ერთი:

დედამიწაზე იმისათვის არსებობს
პოეტი,

რათა ხე მრუდედ არ ამოიზარდოს
აროდეს.

ჩვენ ამით მოგმართავთ თქვენ
და ვდგებით გზაზე
პოეტ-დემიურგის,
იაფი პოეტის,
წიგნთსაცავის ვირთხას რომ გავს.
პატივისცემით მოგახსენებთ –
ყველა ეს ვაჟპატონი
უნდა გასამართლდეს,
რამეთუ აგებენ ჰაეროვან კოშკებს
და უმოწყალოდ ფლანგავენ
სივრცესა და დროს.
უძღვნიან სონეტებს მთვარეს,

სიტყვებს აწყობენ ალალბედზე,
იცავენ პარიზის უკანასკნელ მოდას,
ხოლო ჩვენებურად კი ასე არ არის:
აზრი იბადება არა ბაგეებზე,
არამედ გულისგულში იბადება აზრი.
გადაჭრით უარვყოფთ –
მზის სათვალეების პოეზიას,
პლაშჩის და ხანჯლის,
ფრთიანი შლიაბის პოეზიას.
სამაგიეროდ, გთავაზობთ –
ნათელი თვალის პოეზიას,
გაშიშვლებული სულის,
შიშველი თავის პოეზიას.
არ გვწამს არაფერი ალის და ფერიების.
პოეზია არის ასული,
ერთი იღლია მწიფე თავთავებით
ანდა პოეზია საერთოდ არ არის.
სად არიან ისინი, ვინც წინ მიდიოდნენ,
ჩვენი კეთილი და უახლოესი
ნინაპრები.
ზოგიერთ მათგანი კომუნისტადაც
ითვლებოდა,
მაგრამ იყო იგი კომუნისტი, ეს მე
არ ვიცი:
მე ვიცი ერთი:
მათგან მხოლოდ ცოტანი აღწევდნენ
ხალხის გულამდე
და ცხოვრობენ ამ გულში.
სხვები კი მუდამ, როცა კი შეეძლოთ,
გამოდიოდნენ სიტყვით და საქმით
პოეზიის უფლების წინააღმდეგ,
ცოდნოდა გზის მიმართულება,
ყოფილიყო პოეზია ჩვენი დღეების
პოეზია პროლეტარიანტის.
დავუშვათ იყვნენ კომუნისტები.
მით უფრო მნარეა ალიარება,
რომ მათი პოეზია – კატასტროფაა,
ზეიმი მეორეხარისხოვანი
სიურრეალიზმის,
დეკადენტობა მესამე ხარისხის,
ნაპირზე მიგდებული ძველი ფიცრები
ზღვისაგან.
ზედსართავი ლექსები,
ცხვირისა და ხორხის პოეზია,
თვითნებური,
ნიგნებიდან გადმოწერილი,
რომლის საფუძველში ძევს სიტყვის

რევოლუცია.
თუმცა, პირობის თანახმად,
იგი უნდა დადგეს
გრძნობისა და იდეის რევოლუციის
საფუძველზე.
ნახევარდუუინი რჩეულების
მოჯადოებული წრე,
აბსოლიტურად თავისუფალი სიტყვა!
და დღეს ჩვენ ვიკითხავთ გაოცებით:
რისთვის ინერებოდა ყოველივე ეს?
იმისთვის, რომ დაეშინებინათ წვრილი
ბურჟუაზია?
რა ტყუილა დაკარგულა დრო!
ბურჟუა რეაგირებს მხოლოდ მაშინ,
როდესაც საქმე ეხება საჭმლის
მონელებას.
შეეცადეთ შეაწუხოთ იგი ლექსებით!
ასეთია ვითარება:
სანამ ისინი აფუძნებდნენ
შებინდების პოეზიას,
ლამის პოეზიას,
ჩვენ ვიცავდით
განთიადის ლექსებს,
ცისკრის პოეზიას.
პოეზიის სინათლე უნდა უნათებდეს
ყველას დედამიწაზე,
ყველგან დედამიწაზე,
ყველამდე აღწევდეს“.

არის თუ არა მართებული ამ ბოლო
დროს ფართოდ გავრცელებული აზრი,
რომ შოთა ჩანტლაძე უპირისპირდებო-
და ტოტალიტარულ-სტალინისტურ რე-
ჟიმის თავისი შემოქმედებით?

შოთა ჩანტლაძის თავისუფალი ლექ-
სი, სათაურით „მანიფესტი“ (1951)
ბოლო დროს მეტად და მეტად მოექ-
ცა ქართველ მკვლევართა ყურადღე-
ბის არეში. ამის ერთი უთუო მიზეზი
ის უნდა იყოს, რომ, ზოგადად, ტოტა-
ლიტარისტული გარემოს სხვადასხვა
ასპექტების კვლევა რახანია ინტენსი-
ურად მიმდინარეობს ჩვენს პოსტ-ტო-
ტალიტარულ სივრცეში. საკუთრივ
ლიტერატურული ბიბლიოთი ხელვით, მეოცე
საუკუნიდან არსებული რამდენიმე შე-

სანიშნავი ტექსტის მიუხედავად, არ იქნებოდა გამართლებული, გვეთქვა, რომ ქართულ ლიტერატურაში მანიფესტის ბევრი ნიმუში მოგვეპოვება. არსებულთა მნირ საერთო ფონზე ამ მანიფესტს შემდეგი ნიშნები გამოარჩევს:

1. თუ ძირითადად, მანიფესტი საჯარო განაცხადი, გადმოცემა – რაიმე საერთო შემოქმედებითი პრინციპის გამზიარებელი – ამა თუ იმ ჯგუფის მიერ საკუთარი კონცეფციის, ესთეტიკური პრინციპებისა და შემოქმედებით-პრაქტიკული საქმიანობის თაობაზე, შოთა ჩანტლაძის „მანიფესტი“ – ავტორი-ინდივიდის შეხედულებებს გვაცნობს, თუმცა შიგ გამოყენებულია ფიქციური ფუნქციით „ჩვენ“ – | პირის მრ. ფორმა და იქმნება ბინარული ოპოზიცია: ჩვენ – ახლები, პროგრესული ახალთაობებითი /ისინი – რეგრესულები, ძველთაობებითი – დრომოჭმულ ესთეტიკურ პოზიციაზე მდგომნი. მარტივად, ჩვენ – კარგები, ისინი – ცუდები, თანაც, უბრალოდ ცუდები კი არა, ძალიან ცუდები.

პოეტურ ტექსტში ავტორი მეტყველებს თავისი თაობის სახელით. თუმცა, ამთავითვე უნდა შევნიშნო, რომ გამოტოვებული აქვს იმდროინდელი რეალობა – მთელი შეუა თაობა, საპქოური პერიოდის სამწერლო ასპარეზზე უკვე ფეხმოკიდებული თაობა, რომელიც სწორედ იმ ესთეტიკურ (შეიძლება ითქვას, იდეოლოგიურ) პოზიციაზე „იდგა“, ...უფრო ზუსტი იქნება თქმა: „იყო დაყენებული“, რომელსაც „მანიფესტში“ ავტორი, ანუ „ჩვენ“ გამოხატავს, როგორც ახალს.

ამ გაგებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლექს „მანიფესტში“ საქმე გვაქვს გარკვეულ ანაქრონულობასთან. არა მამათა და შვილთა კონცეპტუალურ დაპირისპირებასთან, არამედ პაპა-შვილიშვილთა ცალმხრივ ანტაგონიზმთან, რომელიც შვილიშვილისგან, ასე ვთქვათ, „უკანა რიცხვით“ გამოითქმის.

თავად არ გავცნობილვარ (თუ ინტერნეტში არ დაიდო, ახალ ქართულ გამოკვლევებს ამერიკიდან ვერ ვეცნობი), მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ არსებობს ფაქტი, თამარ ბარბაქაძის მიერ აღმოჩენილი, თუ როგორ ათავსებს აკრძალული პაოლო იაშვილის სტრიქონს საკუთარ პოეტურ ტექსტში შოთა ჩანტლაძე. ნამდვილად საყურადღებო რამაა. ვფიქრობ, გამომადგებოდა ტოტალიტარიზმის პირობებში შოთა ჩანტლაძის გაორებული შემოქმედებითი ნატურის უკეთ წარმოსაჩენად.

2. თუ, ჩვეულებრივ, ლიტერატურული მანიფესტები ინერება პროზის ფორმით, აյ შოთა ჩანტლაძე ლექსს მიმართავს, რაც იშვიათია.

3. საყურადღებოა, რომ ავტორი თხზავს არა კონვენციურ, არამედ სწორედ თავისუფალ ლექსს – საბჭოთა იდეოლოგიის მიერ მიკუთვნებულს აკრძალული ფორმალისტური ძიებების წყებისადმი.

აქ, ვფიქრობ, უნდა აღინიშნოს, რომ შოთა ჩანტლაძის შემოქმედებითი საქმიანობა ემთხვევა პერიოდს, როცა საბჭოური დირექტივებით რედუცირებული „ფორმალისტური ძიებანი“ ლიტერატურასა და, ზოგადად, ხელოვნებაში იდეოლოგიური ტაბუებისგან თანდათანობით, ევოლუციურ, თუმცა არა, რევოლუციურ განთავისუფლებას იწყებს.

საყურადღებოა, რომ ავტორი „მანიფესტში“ ახსნებს ადრეულ რევოლუციასაც და წინამორბედებსაც და „მათ“ – რევოლუციური მონაპოვრის მცდარად გაეხა-გამოყენებაში სდებს ბრალს.

და კიდევ ერთი – ტექსტი არ ჩანს საბოლოოდ დამუშავებული. შეიძლებოდა უფრო „დრაფტად“, ანუ მონახაზად ჩაგვეთვალა. ვფიქრობ, აშკარად გამოხატული ეს გარემოება გვიპიძებებს, კი მივიღოთ იგი, როგორც ერთიანი მოცემულობა თავის კონტექსტიანად, მაგრამ, მაინც უმჯობესი მგონია, თავი შევიკავოთ ერთმნიშვნელოვანი დას-

კვნებისაგან ახალგაზრდა ავტორის, იმდროისთვის (1951) ესთეტიკურად და იდეოლოგიურად ჯერ კიდევ ჩამოყალიბებელი სტუდენტის რაიმე მყარი კონცეპტუალური პოზიციის შესახებ.

მეჩვენება, რომ ეს ბოლო გარემოება უბიძებს იმ მკვლევარებსაც, რომელიც ამ ტექსტის შესახებ მსჯელობენ – მთლიანი ტექსტის რეალიებს, კონტექსტს აქა-იქ თვალიც მოუხუჭონ და კონტექსტიდან საკუთარ ნებით ამოღებულ ფრაგმენტთა ინტერპრეტაციები შესთავაზონ მკითხველს. კონკრეტული ტექსტის რეალიების გათვალისწინებით, ალბათ, მაინც ვერ ვიტყოდი, რომ ეს სავსებით გაუმართლებელი გზაა.

მინდა, ამთავითვე გავამახვილო ყურადღება ერთ კითხვაზე, რომლის მიმართულებითაც მიმყავს მსჯელობა, კერძოდ, არის თუ არა მართებული აზრი, რომ პოეტი შოთა ჩანტლაძე უპირისპირდებოდა ტოტალიტარულ-სტალინისტურ რეჟიმს თავისი შემოქმედებით და მტკიცდება თუ არა ეს აზრი მისი ლექსის, „მანიფესტის“, განხილვის მეშვეობით.

საოცარია, როგორ იცვლის ერთი და იგივე, უცვლელი ტექსტი, კონცეპტუალურ აქცენტებსა და მთელ შინაარსაც სხვადასხვა დროს, თვით ერთი მკითხველის, ერთი რეციპიენტის პირობებშიც კი.

შოთა ჩანტლაძის ლექსების კრებული პირველად რომ გამოიცა, ახალგაზრდა ვიყავი. ეს იყო მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა მაშინდელ ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში და მახსოვეს, ახალგაზრდულ აღტაცებას გვინელებდა ერთი თავისთავად ძალიან კარგი პოეტის, ჩანტლაძის თანამედროვისა და ნაცნობის საჯაროდ ნათექვამი რუსული ფრთიანი სიტყვა (არც ერთი ადამიანური მეხსიერება არ არის უნაკლო, მით უფრო, ასაკში. ჩავთვალოთ, რომ ავტორი დამავიწყდა. მგონი, ეს მერე სადღაც გამოაქვეყნა კი-

დეც): „კოგდა კოგო ტო ხვალიატ ვსეგ-და სპრაშივაი, პროტივ კოგო“. ახლა ვფიქრობ, ალბათ, არც მთლად უამისობა იქნებოდა. მაშინდელი ქართული საბჭოთა პოეზიის მაგისტრალს, რომელიც იმ დროისთვის, საბჭოთა საკადრო პოლიტიკის შესაბამისად, ნიჭიერ პოეტ ფუნქციონერებს ჰქონდათ ათვისებული, იმ დიდებულმა კრებულმა სიმშვიდე დაუკარგა. ხომ ცოტა როდი ვიცით დღეს ლექსი შოთა ჩანტლაძის შემოქმედებიდან, მისი სავიზიტო ბარათი მაინც ეს ოთხსიტყვიანი ორსტრიქონედია: „წავიდა თოვლი, მოვიდა მინა“. აქ გამოვლენილია არა მხოლოდ პოეტური, ხელოვნებითი, არამედ ყოველგვარი პროგრესის ოქროს კანონი – „მაქსიმალური ეფექტი – მინიმალური დანახარჯის ფასად“. ამისი ბადალი სტრიქონები ქართული პოეზიიდან ტერენტი გრანელისა მაგონდება:

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“.

ოღონდ მე, როგორც მკითხველი, ვთვლი, რომ ტერენტი გრანელის ლექსისთვის ეს ოდენ დასაწყისის ეფექტური დეტალი კი არაა, არამედ, აქ შეიკრა, დამთავრდა, აქ დაისვა წერტილი ერთი მინიატურული ლექსისა და ის ვრცელი ნაწილი, ანუ ლექსის „ტანი“, რაც ამას მოსდევს, თავისთავად მნიშვნელოვანი კია, თემატურად კიდეც დაკავშირებული, თუმცა უკვე „სხვა“ ლექსია. მათი კომპოზიციური ბმა – მაინც მექანიკური მეჩვენება.

ისევ ჩანტლაძის ლექსს დავუბრუნდეთ. მე ვთვლი, რომ მინიმალიზმის საბოლოო სიტყვიერი საზღვრები აქ შემოიწერება, ამის მერე უკვე შორისდებულები რჩება. მახსოვეს, მაშინ ახალთაობელებმა თავისებურ პოეტურ კრედოდაც კი მივიღეთ სიტყვები მისი ლექსიდან – „მანიფესტი“:

„დედამიწაზე იმისათვის არსებობს

პოეტი,
რათა ხე მრუდედ არ ამოიზარდოს
აროდეს“.

უნდა გაევლო არაერთ წელს, დან-გრეულიყო საბჭოთა ტოტალისტური სახელმწიფო და მისი იდეოლოგიური ფუნდამენტი, რომ საბოლოოდ დავ-რჩმუნებულობიყავით, ეს სიტყვები რე-ალობას აცდენილია! და რომ პოეტის საქმე, მისი ფუნქცია სულაც არაა, რო-მელიმე ხეს ხელი შეუძალოს მრუდედ ამოზრდაში... და თუ ეს გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული და ხე-ში რაიმე სხვა ზრდადი არსება/არსებები უნდა წარმოვიდგინოთ, უნდა ვთქვათ, რომ ეს არის საბჭოური, ტოტალიტა-რული დაკვეთა, განსაზღვრება მწერ-ლის სოციალური ფუნქციისა, ხოლო თავისუფალ, იდეოლოგიურად არადე-ტერმინირებულ გარემოში ეს რა პოეტის საქმეა! არავინ ეკითხება არავინ სთხოვს მას, აკონტროლოს ვინმეთა, სხვათა არ-სებობის წესი. მას აქვს კონტემპლატო-რის და საკუთარ ტექსტში გარემოს რეალობის ნაირგვარად ასახვის, გამო-სახვის, ტრანსფორმაციის უფლებები, აქვს უფლებები თვითექსპრესიისა, მაგ-რამ ამ თუ სხვა ფუნქციის დაკისრება – უკვე იდეოლოგიური დაკვეთაა, მასზე იდეოლოგიური ძალადობაა.

შოთა ჩანტლაძის შემოქმედების შე-სახებ საუბრისას, ვფიქრობ, არ ეგების, დავივინწყოთ, რომ პერიოდი, როცა იგი თავის ლექსებს შედარებით ინტენსიუ-რად ქმნიდა, ე.წ. „ოტტეპელს“ (50-ია-ნების შუაწელიდან 60-იანების შუამდე) დაემთხვა. ეს პერიოდი – პირვენების კულტისგან განთავისუფლებულ საბ-ჭოთა პოეზიაში, ხელოვნებაში, საერ-თო აღმავლობის ხანად მიიჩნევა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საბჭოთა პოეზია მდიდარ ეროვნულ ტრადიცი-ებზე კი იყო დაფუძნებული, მაგრამ ცენტრალიზებული, საერთო საბჭოუ-რი ლიტერატურულ-კულტურული სივ-

რცისთვის მაინც პერიფერიას წარმო-ადგენდა და ცენტრიდანულ იმპულსებს უსამებდა თავისი განვითარების დინა-მიკას. საქართველოში სამწერლო ასპა-რეზზე გამოდიოდა და საკუთარ ხმას იმკვიდრებდა მთელი პლეადა ავტო-რებისა. უკვე გვყავდა სრულიად უნი-კალური ანა კალანდაძე, არსებობდა მუხრან მაჭავარიანის „საბა“, ბოლოს და ბოლოს, მიწიერი ცხოვრების ბო-ლო ათწლეული ენურებოდა თავად გა-ლაკტიონს. არსებობდა ოთარ ჭილაძის ფენომენი; მურმან ლებანიძე – თავისი პოლიმეტრული რიტმიკით და ახალი ინტონაციებით; მკაფიოდ ისმოდა შო-თა ნიშნიანიძის ხმა... დიდი სიაა, ყვე-ლა ავტორს ვერ ჩამოვთვლი, ცოტანი როდი იყვნენ კარგები და საუკეთესო-ნიც... ანუ ვერ ვიტყოდით, რომ შოთა ჩანტლაძეს რაღაც იმგვარ პოეტურ გა-რემოსთან უხდებოდა შესება, რომელ-შიც მასზე უკეთესი არავინ იყო.

ინტერნეტში, კერძოდ გუგლში იძებ-ნება რაღაც ამგვარი მასალები და შე-მძლო საილუსტრაციოდ რამდენი-მე ტიპობრივის მოხმობაც, მაგრამ არ მგონია, ამისი საჭიროება არსებობდეს. მსურველს თავად შეუძლია ნახვა.

როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს ტექსტი 1951 წლით თარიღდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დათარიღე-ბას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დროის მონაკვეთი მე-ტად სპეციფიკურია. შოთა ჩანტლაძე იმ დროს ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტი გამოდის (ჩააბ. 1947). მანი-ფესტი პრაქტიკულად წარმოადგენს იმ პოეტთა შემოქმედებითი მეთოდის კრი-ტიკას სოცრეალიზმის პოზიციებიდან, რომელიც ტოტალიტარულ რეჟიმს შეენირნენ ან იძულებულნი გახდნენ, რაღაცნაირად მორგებიდნენ ახალ რე-ალობას. იგი მათ უწოდებს ასე: „ვინც წინ მიგვიძლოდა“, „ჩვენი კეთილი და უახლოესი წინაპრები“, „წინაპრები“ (ირონიულ კონტექსტში), „ვაუბატონე-

ბი” (სარკაზმი) და ძირითადი მხატვრული ხერხის, ანტითესისის გამოყენებით გამოკვეთს ახალი თაობის უპირატეს პოზიციას, რომელიც „წინამორბედებს“ მკვეთრად, მკაფიოდ უპირისპირდება „ახალი ესთეტიკით“, ანუ იმ დროისთვის „ახლად“ გადაცმული, რეალურად კი – უკვე კარგად აპრობირებული სოცრეალისტური ესთეტიკით. რაკი თავისუფალი ლექსიდან ფრაგმენტული ციტირება ჭირს, მომყავს დასაწყისიდან შედარებით კომპაქტური, ყველაზე მოკლე მაგალითი ბინარული ოპოზიციის „ჩვენ/ისინი“საილუსტრაციოდ:

„იმათთვის, ვინაც წინ მიგვიძლვოდა
ჩვენ,

პოეზია გახლდათ ფუფუნება;
ჩვენთვის კი იგი – პური და წყალია
და წარმოუდგენელია ცხოვრება
უმისოდ“.

საგულისხმოა, რომ, როგორც აღვნიშნე, შოთა ჩანტლაძე ინდივიდუალურ ტექსტში იყენებს პირველი პირის მრავლობითის ფორმას „ჩვენ“ ანუ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აქ შეიძლება ვთქვათ, რომ ავტორი მეტყველებს ფიქციური ჯგუფის სახელით. იგი დასაწყისშივე აცხადებს, რომ, თუკი დეკადენტებისთვის... არ ახსენებს სიმბოლისტებს. ამ ორი ნეგატიურად ქცეული სახელის სინონიმური მონაცვლეობით, არადიფერენცირებულად მოიხსენიებდა ქართული საბჭოთა კრიტიკა ყველაფერს, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან კარგა ხანს. გავიხსენოთ სათაურიც იმ პერიოდში გამოქვეყნებული გ. ჯიბლაძის წერილისა გიორგი ლეონიძეზე – „სიმბოლიზმის ნაშსვრევებზე“ და კიდევ, ფუტურისტი არ დამავიწყდეს. ქალაქურ ზეპირსიტყვიერ მიმოქცევაში გადასული და დამკვიდრებული, „ახალსემანტიკამინიჭებული“ სიტყვა „ფუტუროს“, ანუ გამოშიგნულის, ცარიელის გამო – ფუტურისტი, ანუ არაფრისმაქნისი, ხელმოცარული,

არაფრისმქნე (?)

ყურადღებას იმსახურებს ტექსტის პირველივე ფრაზა, საგანგებოდ გამოკვეთილი ინტონაცია და ასევე, მიმართვის ფორმა, ნაცვლად, იმ დროს მიღებული და დაკანონებული „ამხანაგებოსი“ – „ბატონებო და ქალბატონებო“. პირადად მე აქ თავისებური ირონიაც მესმის, თუმცა აქ ირონიულ თამაშს არა აქვს ტექსტში გამჭოლი ხასიათი, უბრალოდ, მკითხველის ნებაა, წაიკითხავს და გაიაზრებს თუ არა ცალკეულ მომენტებს ირონიულად, უფრო – სარკასტულად. ტექსტის დინამიკა იმგვარია, რომ თანდათან ყველაფერი მეტისმეტად სერიოზულდება.

ვფიქრობ, ზოგიერთი მკვლევარის მიერ შემოთავაზებული რეცეფციის პრინციპი, რომ მთელი ტექსტი ირონიულად გავიაზროთ, საამისოდ ირონიულობის მეტი ინდიკატორების დაფიქსირებას საჭიროებს. სხვაფრივ, თუ მთლიანად მკითხველის ნება-სურვილს მივანდობთ ამ საქმეს, აბსურდამდე მივალთ. მაგალითად, შექსპირის რიჩარდ მესამესა და „ზაფხულის დამის სიზმარს“ – ტრაგედიასა და კომედიას შორის ზღვარსაც საერთოდ გავაუქმებთ, ავცდებით რა ავტორისეულ ინტენციას. თუმცა ამგვარ ლიტერატურულ-კულტურულ თამაშებს დღევანდელი კულტურის პრაქტიკა ცოტას როდი იცნობს.

წელან ლექსის დაუმუშავებლობა ვახსენე. მისი მაგალითი უამრავია ტექსტში. ვგულისხმობ თუნდაც ამგვარ გაუმართაობებს ენობრივ დონეზე, რომელიც შედეგად აზრობრივ გაუგებრობასაც მოიყოლიებს:

„ჩვენ ამით მოგმართავთ თქვენ
და ვდგებით გზაზე
პოეტ-დემიურგის,
იაფი პოეტის,
წიგნთსაცავის ვირთხას რომ გავს.
პატივისცემით მოგახსენებთ –
ყველა ეს ვაჟბატონი
უნდა გასამართლდეს,

რამეთუ აგებენ ჰაეროვან კოშკებს
და უმოწყალოდ ფლანგავენ
სივრცესა და დროს.
უძღვნიან სონეტებს მთვარეს,
სიტყვებს აწყობენ ალალბედზე,
იცავენ პარიზის უკანასკნელ მოდას,
ხოლო ჩვენებურად კი ასე არ არის:
აზრი იბადება არა ბაგეებზე,
არამედ გულისგულში იბადება
აზრი".

ამ ციტირებულ ფრაგმენტში „ვდგე-
ბით გზაზე“ ნიშნავს არა რაიმე გზაზე
შედგომას, რაიმეს დაწყებას, არამედ
გზაზე გადადგომას. სხვანაირად წინ
ალდგომას, გზაზე გადავუდგებით, ანუ
არ გავატარებთ, მაგრამ აქ ანმყოში
ზმინისწინ „გადა“ – ვერ მოერგო კონ-
სტრუქციას, ტექსტის გადამუშავება კი
მარტივად შეიძლებოდა. არსებული სა-
ხით შინაარსი სრულიად აბსურდული
გამოდის. ვცადოთ ჩემ მიერ შემოთავა-
ზებული გააზრებით, მცირე რედაქტი-
რებით ამ ფრაგმენტის გამართვა:

ჩვენ ამით მოგმართავთ თქვენ
და ალვუდგებით გზას
პოეტ-დემოურგის,
იაფი პოეტის,
წიგნთსაცავის ვირთხას რომ გავს.
პატივისცემით მოგახსენებთ –
ყველა ეს ვაჟბატონი
უნდა გასამართლდეს,
რამეთუ აგებენ ჰაეროვან კოშკებს
და უმოწყალოდ ფლანგავენ

სივრცესა და დროს.
უძღვნიან სონეტებს მთვარეს,
სიტყვებს აწყობენ ალალბედზე,
იცავენ პარიზის უკანასკნელ მოდას,
ხოლო ჩვენებურად კი ასე არ არის:
აზრი იბადება არა ბაგეებზე,
არამედ გულისგულში იბადება
აზრი.

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძ-
ლებოდა გვეთქვა:
შოთა ჩანტლაძის მანიფესტის ტექ-

სტი ააშკარავებს, რომ მისი შექმნის
დროს სტუდენტი შოთა ჩანტლაძე ჯე-
რაც იმყოფება პიროვნული და შემოქმე-
დებითი განვითარების იმ ფაზაში, რო-
ცა საბჭოური კოლექტიური ცნობიერე-
ბის კლიშებისგან მისი აზროვნება არ
არის გამოყოფილი. აქ საჭიროდ მიმაჩ-
ნია ერთი მომენტის აღნიშვნა, ჩვენთვის
საინტერესო პერიოდისთვის დამახასია-
თებელია შემოქმედებით ნატურათა გა-
ორება. ეს, როგორც წესი, ასე ვლინდე-
ბა – ერთი მხრით, ავტორი შემოქმედე-
ბითად ერგება იდეოლოგიურ მოთხოვ-
ნათა წესებს, მათდამი ადაპტაციას გა-
ნიცდის, ინდივიდუალობის დიდი დოზის
დათმობის ფასად; მეორე მხრივ კი, პი-
როვნულად, შინაგანად, ამ მოთხოვნათა
„ზურგსუკან“ – კრიტიკულია ყოველივე
იმის მიმართ, რაც საზოგადოებაში ძა-
ლადობრივი გზით გაბატონებულა. შო-
თა ჩანტლაძის ამ ტექსტის შემთხვევაში
შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ამ ეტაპზე
(1951) იგი შემოქმედებითადაც გაორე-
ბულია. ჯერ გასავლელი აქვს პერიო-
დი, როცა უკვე დამოუკიდებლად, ინ-
დივიდუალურად შეეცდება მოვლენათა
სედვას, რაც უკვე მანამდელი (ობუსი
2.-1949) და შემდგომი პერიოდის შე-
მოქმედებაშიც თვალნათლივია.

ოპუსი N2

შოთა ჩანტლაძე – „გვინდა თბი-
ლისი იქცეს სიახლედ“



„გვინდა თბილისი იქცეს სიახლედ,
პოეტსაც ჰქონდეს თემა ახალი,
თუნც ვერ დაიტევს დღეს ლექსი
ამდენს,
თუნდაც შიგ გულში მოხვდეს
ლახვარი.

ქუჩამ გააღო მშიერი ხახა,
ბილიკი აღარ გადის ხლართებად.
ასფალტიანი გამზირი ახლა
გველეშაპივით გადიშხლართება.
გადიშხლართება და იგრძნობს

მკერდზე
ფოლადის კაცის უმძიმეს ტერფებს,
იკივლებს, მაგრამ ელვარე მზეზე
ისიც ფოლადის მიიღებს ელფერს“.

ჯვარედინად გარითმულ ამ ტრივი-ალური რიტმის მქონე ლექსში, ერთი შეხედვით, დიდად საყურადღებო თითქოს არაფერია. მეტი-მეტი, მკითხველმა იფიქროს, რომ საბჭოთა ხალხის სიხარულს ახალი პროსპექტის გაყვანის გამო, პოეტი შოთა ჩანტლაძე არ იზიარებს, მეტიც, როგორც პოეტი-ინდივიდი მას ნეგატიურ ფერებში ხედავს. იქნებ სულაც იმ წყობის ადამიანია, დადებითშიც რომ უარყოფითის ძებნა სჩვევია. გახსოვთ?! – ეზოპეს ერთი იგავი რომ ვთარგმნე, „მზის ქორწილი“. მთელი ქვეყანა რომ გახარებულია, ზეიმობს და ჭაობის ბინადარი გომბეშო საერთო სიხარულს არათუ იზიარებს, ჭმუნვა დაუფლებია. მიზეზად კი ამბობს, ეს ხალხი წინ რატომ არ იყურება, საკვირველია, ჯერ მზე ზაფხულობით ხომ ისედაც მცხუნვარეა, გუბეებს აშრობს და მზის ქორწილის მერე პატარა მზეებიც რომ მოუმრავლდება, ხომ სულ ამოვიბუგებით და გავწყდებით.

პესიმისტური ხედვა, სამყაროს აღქმაა, არა? მაგრამ აქ რაღაც სხვაში უნდა იყოს საქმე.

ადრე ჩვენ ვისაუბრეთ ტოტალიტარიზმის პირობებში შემოქმედი ნატურის გაორებულობის პრობლემაზე. შევადარეთ ორი კომპოზიტორის ბედი, ბიოგრაფია – ერთი მხრით, ს. რახმანინოვი – ამერიკაში წასული, რომელსაც სიკვდილამდე იმედი ჰქონდა, საბჭოთა წყობა გადავარდებოდა და სამშობლოში დაპრუნდებოდა; ამერიკის მოქალაქეობაზეც კი თავს იკავებდა, სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე მიიღო და მეორე მხრით – შოსტაკოვიჩი, რომელსაც ნამდვილად შეეძლო ადრევე, სამუდამოდ დაეტოვებინა სსრკ, მაგრამ ეს არ გააკეთა, დარჩა და, სა-

მაგიეროდ, საბჭოური პრივილეგიები სტალინს მისთვის არ მოუკლია და ყოველ პრივილეგიაში, როგორც სხვა არაერთ შემთხვევაში, რეუიმის მმართველის მიერ სასიკვდილო განაჩენის კიდევ ერთხელ გადავადება, მაგრამ არა სრულიად აცილება იგულისხმებოდა. არც ოცდაჩვიდმეტში დახვრეტილ თუ დაღუბულ შემოქმედებს ჰქონდათ სხვაზე ნაკლები, საბჭოური ჩინ-მედლები, არც საბჭოთა ნომენკლატურული თანამდებობა აკლდა ზოგიერთის და არც იმ სისტემის მმართველ პიროვნებებთან პირადი კავშირები, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, არ უშველათ...

ეს ყველაფერი ამ ლექსთან რა შეუშიაო, ალბათ, იფიქრებთ. ეს ხომ ერთი პატარა, ოპტიმისტურ-მაურული და-საწყისის მქონე ლექსიაო. ცოტა ხნით კიდევ გადავიბალახებ მუსიკაში!

გუსტავ მალერმა იცოდა ასეთი რაღაც. სასიყვარულო სიმღერათა ერთ წყებაში დაიწყებდა მაურული განწყობით, მსუბუქად, მოლივლივედ და ვერც ხვდებოდი, როდის გადადიოდა დრამატიზმში და ბოლოს ტრაგიზმით ამთავრებდა. მუსიკათმცოდნეთა მიერ ეს გარემოება მის სიმღერათა ტიპობრივ ნიშნადა მიჩნეული. ჩანტლაძის ლექსში პირველი სტროფის პირველი ორი ტაეპი თითქმის ტრაფარეტულად გადმოგვცემს ლოზუნგურ, იდეოლოგიურ მოთხოვნას და აფირმატიულ წინადაღებაში აშკარად „სხვისი ხმა“ ისმის:

„გვინდა თბილისი იქცეს სიახლედ,
პოეტსაც ჰქონდეს თემა ახალი“.

არ გამიკვირდება, თუ ოდესმე აღმოჩნდება, რომ ეს ციტატაა გაზიეთ „კომუნისტის“ რომელიმე მოწინავე სტატიიდან ან კრიტიკოს-იდეოლოგის გამოსვლიდან. ამის შემდგომ თემა ავტორისეულ ხმაზე გადადის და ანტითეზურად მიემართება დასაწყისა:

„თუმც ვერ დაიტევს დღეს ლექსი

ამდენს,
თუნდაც შიგ გულში მოხვდეს
ლახვარი“.

ამბავი მაინც მეორე სტროფიდან იწყება. თითქოს პოზიტიური რამ – გამზირის გაყვანა მთლიანად ნეგატიური, მეტიც, შემაძრნუნებელი სახეებით არის გადმოცემული:

„ქუჩამ გააღო მშიერი ხახა,
ბილიკი აღარ გადის ხლართებად.
ასფალტიანი გამზირი ახლა
გველეშაპივით გადიშხლართება“.

მაგრამ მთავარი – წინ გველის. ეს არის მეტონიმიის გამოყენებით, ტოტალიტარისტული რეჟიმის მარნუხებში მოქცეული შემოქმედის მხატვრული „თვალთმაქცობა“ (იმდროინდელი ცენზურისათვის თვალის ახვევის ცდა?)

„გადიშხლართება და იგრძნობს
მკერდზე
ფოლადის კაცის უმძიმეს ტერფებს,
იკივლებს, მაგრამ ელვარე მზეზე
ისიც ფოლადის მიიღებს ელფერს“.

გველეშაპივითაა გადაშხლართული ახალი გამზირი! ძნელია, აქ დაკვირვებული მკითხველი დაეხსნას კითხვას – თავისთავად ხომ პოზიტიურია ახალი გამზირის შენება და რატომ უნდა განაწყობდეს ახალგაზრდა ადამიანს ასე ნეგატიურად? ან ვინაა ეს ფოლადის კაცი, რომელსაც უმძიმესი ტერფი დაუდგამს გამზირზე? – ვინაა და სტალინი! შერქმეული სახელი მის რეალურს რომ ლამის მთლიანად ჩაენაცვლა საბჭოთა ხალხის ცნობიერებაში, რუსულიდან ითარგმნება, როგორც „სტალ“ – ფოლადის კაცი.

ლექსის ფინალი კონცეპტუალურია.

ის, მოკვდავთა ენაზე თუ გადმოვიტანთ, ამბობს, რომ ყოველივე, რაც მის ფოლადისებურ ნაბიჯს, გადაწყვეტი-

ლებას უკავშირდება, ტოტალიტარიზმის ელფერს, მის საბედისწერო ნიშანს ატარებს. ლექსს თარიღად 1949 ეთითება. საშიში დრო!

გაივლის რამდენიმე წელი, სტალინი გარდაიცვლება, ხელისუფლებაში მოვა ხრუშოვი, საბჭოთში გაიშლება ტოტალური ფრონტი პიროვნების კულტის დასაძლევად... იმ პერიოდში ასეთი რაღაცის თხზვა – უკვე კონიუქტურა იქნებოდა – ქართველი შემოქმედის პასუხი იდეოლოგიური ცენტრის დაკვეთაზე.

დასასრულ ვიტყოდი, რომ სწორედ იმითაა მნიშვნელოვანი ეს ლექსი, რომ მისი დრო – არის არა წარსული, არამედ აწმყო და მომავალი, მომავალი – უპერსპექტივო, მომავალი, რომელსაც შოთა ჩანტლაძის შემოქმედი ნატურა ვერ ურიგდება. მომდევნო, ორმოცდაათიანი წლები უკვე შედარებით ლოიალური იყო. წამით წარმოვიდგინოთ, მსგავსი ლექსი რომ ოცდაათიან წლებში ეპოვათ მწერლის საშინაო არქივების ჩხრეკის მოყვარულთ, რა მოელოდა ავტორს, არ მგონა, ძნელი გამოსაცნობი იყოს.



საერთო დასკვნა:

ჩემი დღევანდელი მოხსენება ორი ოპუსისაგან შედგება.

ოპუსი – მუსიკალური ტერმინია და მას ლიტერატურული მნიშვნელობით ვიყენებ ჩემი იმგვარი ნააზრევისთვის, მოცულობით რომ მცირეა, იმპრესიულობის საკმაო დოზას შეიცავს და სადლაც, ესსეისტიკასა და გამოკვლევის შუა რომ თავსდება.

აქ ერთი, შედარებით ვრცელი ოპუსი – საკუთრივ თავისუფალი ლექსის „მანიფესტის“ კონცეპტუალურ პლანსა და მისი გამოვლენის ფორმობრივ საშუალებებს ეხება და მაინც, პოეტიკის ფარგლებში, თუმცა ასე გაკვრით კი არა, შეიძლება მეტიც თქმულიყო სოციალური ფსიქოლოგიდან, ხოლო მეორე – სხვა ლექსის თაობაზე მსჯელობას

შეიცავს და აკაკი ხინთიბიძის მრავალ-ნლიანი მცდელობის წყალობით, ჩვენ-ში ტრადიციადქცეული „ერთი ლექსის ანალიზის“ სტილშია შესრულებული.

საქმეში ჩაუხედავ მკითხველს უთუ-ოდ შეექმნება შთაბეჭდილება, რომ მე, ანუ ავტორმა, აქ ერთი პოეტის შესა-ხებ თემატურად ახლო მდგომი ორი დამოუკიდებელი ოპუსი შესთავაზა, გამოიყენა რა შესაძლებლობა, აუდი-ტორიისთვის გაეცნო სხვა ტექსტიც, ანუ, ასე ვთქვათ, მანიფესტისთვის „ზედ დაეწონა“ მეორე – თემატურად ახლო მდგომი, უკვე ხელთ არსებული მზა ტექსტი შოთა ჩანტლაძის ერთი მცირე ლექსის შესახებ.

კაცმა რომ თქვას, არც ეს იქნებოდა ცუდი, მაგრამ ჩანაფიქრით, მე კიდევ მეტი რაღაც მსურდა. კერძოდ, მინდო-და მეპასუხა ჩემ მიერ დასაწყისშივე დასმულ ასეთ კითხვაზე: არის თუ არა მართებული აზრი, რომ შოთა ჩანტლა-ძე უპირისპირდებოდა ტოტალიტარულ-სტალინისტურ რეჟიმს თავისი შემოქმე-დებით? – მე გადაჭრით ვიტყოდი, რომ – დიახ, აზრი – მართებულია, ანუ არის!


მტკიცდება თუ არა წინარე აზრი მი-სი ლექსის „მანიფესტის“ ანალიზით? – აქ, სამწუხაროდ, უნდა ვუპასუხო, რომ საკვლევ ტექსტსა და მის კონტექსტზე კრიტიკული ძალადობის გარეშე, – არა!

იბადება იჭვნეული კითხვა: ხომ არა გვაქვს აქ საქმე რაიმე კონტრადიქცის-თან, რომელიც საეჭვოდ აქცევს პირ-ველ დასკვნას? მე ამაზე დაბეჯითებით ვუპასუხებდი, რომ – არა! რადგან არ-სებობს „მანიფესტის“ გარდა, მისივე, ადრინდელი თუ გვიანდელი პოეტური ტექსტი/ტექსტები, რომელიც ცხად-ყოფს ამ აზრის მართებულებას. ცივ, ლოგიკურ სიმწყობრეს რომ გამოვეხ-სნათ, აქ ფინალური „ლირიკული გა-დახვევა“ გვირჩევნია:

ეს ყოველივე მაგონებს ჭადრაკის ეტიუდების რაიმე წიგნს, სადაც ბოლო-ში მუდამ სწორი პასუხებია მოცემული. რათა შეიმოწმო თავი, თუმცა სხვა, პოეზიასთან „ნათესაურად დაკავშირე-ბული“, პირადი მაგალითი მირჩევნია: სკოლის მათემატიკის წიგნსაც ხომ ერ-თვოდა ბოლოში ამგვარი რაღაც – ამო-ცანათა სწორი პასუხები?!

მახსოვს, ერთხელ მათემატიკის წე-რაში ერთი ამოცანა ვერ ამოვხსენი და პირდაპირ წიგნის ბოლოდან აღებული, მზა პასუხი დავუსვი. ჩემმა ცისფერ-თვალება, უნაზესმა ნათელა ჯავახაძემ – პოეტ ვახტანგ ჯავახაძის დამ, წითე-ლი პასტით ზედ ასეთი, დაუვიწყარი რამ მიმიწერა:

„პასუხი სწორია, მაგრამ ამოცანის ამ ამონახსნიდან არ გამომდინარეობს!“



გუგა მგელაძე

ყოფილი ხსოვნა

(ფიქრები ანდრო ბუაჩიძის კრებულზე
„ტრამვაი, სახელად წარსული“)

„უნდა მოძებნო ხსოვნის ნაფლეთები და შეაწებო,
ფაქიზად შეაწებო, რომ შენს არსებობას აზრი დაუბრუნო,
აზრი დაუბრუნო ყველაფერს, რაც დაგეფანტა და გაგებნა,
რადგან ყველაზე ძნელი უაზრობაა, რომელიც თანდათან
ადამიანივით გიახლოვდება და მხრებზე გაწყობს სველ ხელებს...“

ანდრო ბუაჩიძე
„ცარიელი ოთახი“



ანდრო ბუაჩიძის მოთხოვნებისა და ლიტერატურული პორტრეტების კრებულის – „ტრამვაი, სახელად წარსული“ – კითხვისას მისივე ლექსის ერთი ფრაზა ამეცვაატა: „მე ვმოგზაურობ ახლა ჩემს ვრცელ მახსოვრობაში...“ ცხადია, შემთხვევით არ ქცეულან ეს სიტ-

ყვები წიგნის ერთგვარი ფარული ინტონაციის, ტემპორიტმის განმსაზღვრელ რეფრენად. ყოველი მოთხოვნა ხომ წარმოადგენს მედიტაციას ხსოვნაზე, მეხსიერებასა და ზოგადად, დროზე, დროის სტრუქტურაზე, მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანატომიაზე.

კრებულში წარმოდგენილი მოთხოვნების მთავარი პერსონაჟი (ის თავისი პოლისემანტიკური ბუნებით გაცილებით მეტია, ვიდრე მწერლის პიროვნული თვისებების ერთგვარი მხატვრული სიმულაკრი) ფაქიზი სულიერი წყობის ლირიკული სუბიექტია, მტკივნეულად, მთელი სიმძაფრით რომ განიცდის ყოფიერების აბსურდულობას, ყოფიერების სიხისტეს... აქვე ისიც უნდა

ითქვას, რომ თხრობაში შეუონილია მელანქოლიის, მოწყენილობის, გარინდებისა და ლირიზმის ძლიერი ნაკადი, რაც განსაზღვრავს კიდევ კრებულის კომპოზიციურ მთლიანობას და ამბის დრამატურგიული ხაზების კალაპოტს. აქ მოთხოვნებილი ისტორიების ტრაგი-

კომიტურ ბუნებასა და ექსისტენციალური სკეფისის განცდას მწერლისეული ხედვის წერტილი, მისი ინტროსპექციული ბუნება განაპირობებს. ხშირია ბავშვობის დარღვევით შთაბეჭდილებების და რთულად ასახსნელი, სახელშეურჩეველი ემოციური მდგომარეობების მოხელთების მცდელობები. მაგ. სადარბაზოში არსებული ნალვლიანი ბურუსი და ამ ბურუსის ნოტიო მდუმარება, ზაფხულის მოთენილი და ტკბილი სიზანტე, დაქსელილ ძარღვებში რომ გივლის და თვლემას გგვრის, ქალაქური შემოღამებები, ჩრდილების წრიალი, ხების შრიალი და რაღაცნარი „ფხიზელი“ გარინდება.

ანდრო ბუაჩიძის ეული ურბანისტული აღნერები ზღვარზეა რეალობასა და ირეალობას შორის, რაც კიდევ უფრო მეტ იდუმალებას სძენს მის ტექსტებში ასახულ ქალაქს. ხშირია გროტესკული გარდასახვები (მძაფრად ექსპრესიონისტული ტონალობები, რამაც ედუარდ მუნკის ფერწერული ტილოები მომაგონა), რაც უკვე ოთხმოცდაათიანების თბილისის ამბებში მუღავნდება. ქალაქი დაცარიელებულ საიქიოს ჰგავს თავისი შემზარავი ღამეებით და კოშმარის მეტაფიზიკური განზომილებით...



„იქნებ ადამიანი მთელი თავისი არსებით მახსოვრობაა და მეტი არაფერი, ოლონდ ეს მახსოვრობა შეგრძნებებისგან შედგება და ეს შეგრძნებები უსასრულოა და როცა ადამიანები ქრებიან, შეგრძნებებიც წყვეტენ ნათებას“. – აი, ასეთ თვალსაზრისს კვედებით პირველივე მოთხოვთაში. მართლაც, რომ დავაკვირდეთ, კრებულს ხსოვნის აკლდამაც შეიძლება ეწოდოს, ოლონდ მასში ასახული ემოციური ნაკადის სიტყვებად გარდასახვას და სხვადასხვა ასაკთანთუ ხასიათის შტრიხთან „შედუღაბებული“ ამბივალენტური მდგომარეობების, ქცევების აღნერას უბრალო მხატვრული რეკონსტრუქციის ფუნქცია არა აქვს. ის განცდითია იმდენად, რამდენადც თავის არსში გულისხმობს კათარ-

ტულ ასპექტს, როგორც მთხოვბელისთვის, ასევე მყითხველისთვისაც. ამით იმის თქმა მინდა, რომ თითოეულ მოთხოვბაში ასახული ამბავი (დავარქვათ მას შეგრძნებების ნარატივი) თავისივე თავის დამკვირვებელია. საკუთარი ცნობიერის (ხმირად ქვეცნობიერის) წიაღში ჩაბრუნებულ მზერას მტკივნეული სიშიშვლით ამოაქვს „ბნელ ხვეულებში მიძინებული ამოუცნობი ქიმერების“ ხსოვნის ნაფლეთები... გახსენების პროცესი მტკივნეულია იმდენად, რამდენადაც თხოვბა თავისთავად გულისხმობს საჯაროობის, ხილვადობის რადიუსის ზრდას. შედეგად, ის რაც მეტად ინტიმური, პერსონალური და კამერულია ხდება სხვების ინტერპრეტაციის, განხილვის, ანალიზის საგანი, თუმცა ანდრო ბუაჩიძის ეული ამბები დაცლილია ყოველგვარი ხმაურისგან, ეპატაჟისგან, რადგან ყოველი მათგანი ჭვრეტით-მედიტაციური ხასიათისაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენგან კითხვის სპეციფიკურ სტრატეგიას, მეთოდს მოითხოვს. აქ არ უნდა აჩქარდე, არ უნდა აქოშინდე, არ უნდა წაბორძიკდე, რათა სრულფასოვნად შეიცნო (შეიგრძნო!) ყოველი მოთხოვბის იდუმალი, ქვეტექსტუალური მუსიკა და ლირიზმის ნათება, მისი მაცოცხლებელი ენერგია.



ემილ ჩორანი თავის საკულტო წიგნში „ქვეყნად მოვლენის უსიამოვნებაზე“ დროის სპეციფიკურ აღქმაზეც ამახვილებდა ყურადღებას: „ბავშვობიდან ვგრძნობდი საათების სვლას, თავისუფალს ყველანაირი კავშირისგან, ყველა ქმედებისა და მოვლენისგან, დროის განცალკევებას იმ ყველაფრისაგან, რაც ის არ იყო, მის ავტონომიურ არსებობას, მის განსაკუთრებულ სტატუსს, მის იმპერიას, მის ტირანიას. ცხადზე ცხადად მახსოვეს ის შუადღე, როცა დაცარიელებული სამყაროს წინაშე პირველად ვიყავი მხოლოდ და მხოლოდ დამოურჩილებელ წამთა რბოლა, რომლებიც საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობდნენ. დრო

ჩემს ხარჯზე სცილდებოდა ყოფიერებას.“ აშკარაა, რომ განცდის ამგვარი სიმძაფრე მოდერნისტული ცნობიერებიერების პირმშოა, კრიზისული ეპოქის გამოხატულებაა, პიროვნების შინაგანი სულიერი ლანდშაპტის ანარეკლია.

ანდრო ბუაჩიძისეული დრო, ჩორანის მსგავსად, ხედვის უჩვეულო რაკურსში „იშიფრება“, ხოლო წარმოსახვის გამღიზიანებლებად, უმეტეს შემთხვევაში, დროის ქარტებილის გამოსახეცვლილი ქალაქი უბანი, შენობები, ნივთები თუ ადამიანები გვევლინებიან. პროტაგონისტი ოდისევსივით დაეხეტება მეხსიერების ბნელ ტალანებში, ქვეცნობიერის ცხრაკლიტულში, თავის პერსონალურ ჰადესში, რათა ხსოვნის ნაფლეთების „შეწებების“, „შეწივთების“ მეშვეობით, წარსულში ჩაკარგულ ხმათა „რეანიმაციის“ წყალობით საზრისი, ერთგვარი საყრდენი დაუპრუნოს საკუთარ არსებობას. ამ თვალსაზრისით, ყოველი მოთხოვნილებიდან და სასიცოცხლო სივრცის პოვნის სურვილიდანაა ამოზრდილი.

დავაკვირდეთ „აგარაკის“ პირველი ვე ფრაზას: „კიკეთის სახლი დამესიზმრა. ამ სახლმა ბაბუაჩემი გამახსენა, რადგან ის უმეტესად კიკეთში გადაღებულ ფოტოებზეა აღბეჭდილი.“ აი, ეს კამერტონი განსაზღვრავს თხრობის მდინარებას, მის ლინგვისტურ ქსოვილს, ემოციურ სპექტრს, ტექსტში „კოდირებული“ მარადიული ძრავის გუგუნს. დროს აյ პირდაპირ შენობები „ასხივებენ“ და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ერთდროულად ორი პარალელური რეალობის მიჯნებს შორის ან მათი „შეჯახების“ შედეგად წარმოქნილი ენერგეტიკული ველის ეპიცენტრში აღმოჩნდი. ეს იმ ტიპის განზომილებაა, სადაც კალენდარული დროის აღქმა უფერულდება, ხოლო საგნები და მოვლენები კი ცნებამდელ მდგომარეობებს უბრუნდებიან.

„აგარაკში“ მეხსიერების მრავალპლასტიკანი ბუნება დროის რამდენიმე ნაკადის მეშვეობით საცნაურდება:

პირველია რეპრესიების პერიოდი (ბაბუას ხაზი), მეორეა – პროტაგონისტის ბავშვობა და ბოლოს – აწმყო დრო, ანუ ფუტურო რეალობა. ამ გამოშიგნული და ცნობიერებადაზიანებული ყოფიერების იმიჯია კიკეთის აგარაკის და, ზოგადად, სივრცის სავალალო მდგომარეობა: „უკვე სახლთან ვიდექი და შევყურებდი ჩამოფხავებულ კედლებს. ეს ისეთი რეალობა იყო, რომელსაც მოჩვენების მისხალიც არ ერია. შორიახლოს მდგარ სხვა სახლებსაც გავხედე. იქაც ძებორციელი არ ჭაჭანებდა. არამცთუ არავინ არ იყო, ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ აქაურობა კარგახნით მივიწყებოდა ყველას.“

შემდეგ: „...მთელი ეს სამყარო რეალობაში დაემსგავსა ოკეანის ფსკერზე დაშვებულ გემს, რომლის კაიუტები მოღიავებულია და იქ არავინ შედის და იქიდანაც ალარავინ გამოდის. და ვგრძნობ: რეალობაზე უფრო მძაფრად ეს სამყარო ჩემს ქვეცნობიერებაში არსებობს. მე ხომ იქ მუდმივად ვარ, მუდმივად ვეხები იმ რიფებს, რომლის ქვეშაც ეს სამყაროა გაშლილი. უცნაურია, ახლაც კი, ახლაც, როცა კიკეთში ჩემი სახლის ჩატეხილი კიბის საფეხურზე ვზივარ, მე იმ ქვეცნობიერ უკუნში დავდივარ და ხან რას ვეჯახები და ხან რას...“



დასაწყისში ხედვის წერტილზე ვსაუბრობდი და შეუძლებელია გვერდი ავუაროთ „შინ ვერდაბრუნებას“. ამ, შინაგანი მონოლოგის მახასიათებლებით რეკონსტრუირებული, მოთხობის არსიც სწორედ ხედვის წერტილის განსაზღვრაში, საჭვრეტი ლინზის ფოკუსის გასწორებაში მდგომარეობს. საერთოდ, ანდრო ბუაჩიძის პოეტიკის ერთ-ერთი უარსებითესი კომპონენტი სწორედ შინაგანი მზერის, ხედვის დიაპაზონის უჩვეულო, უნიკალურიც კი, მდგომარეობაა. თბილისი მასთან ხშირად შორი მანძილიდან ჩანს („საღამოვდება და მე შემიძლია ჩემი მაღალსართულიანი სახლის მეთორმეტე სართულიდან გავხედო სივრცეს, გავხედო

თრიალეთის ქედს, ქვემო და ზემო ბა-
გებს, წყნეთს, შორს, ქედის ხერხემალ-
ზე გამნკრივებულ მუქუფითლად მო-
ციმციმე ელნათურებს. იქით ბეთანი-
აა, კიკეთია, მანგლისია, მარადისობაა,
სხვა მხარეა, უკვე განვლილი (ცხოვრე-
ბაა, ენითუთქმელი ნალველია.“), ხში-
რად კი უშუალოდ კონკრეტული უბნი-
დან, რესტორნიდან, ქუჩიდან, სასაფ-
ლაოდან, ხიდიდან. „ტრავმაი, სახელად
ნარსული“, მაგალითად და „მანათობე-
ლი წერტილები“ დიუსელდორფში მოხ-
ვედრილი პროგაგნისტის ხეტიალს
ასახავს: სასატუმროს ნომერი, ბისმარ-
კშტრასე, ჰაინრიშ ჰაინრიშ ხეივანი, ჩი-
ხები, დუმილი, სიბნელე... „მოთხრო-
ბისთვის თემას დავეძებ“ – საკუთარ
თავს ახსენებს მთხრობელი და ნელ-
ნელა ქვეცნობიერის ფსკერიდან ნაფ-
ლეთებად ამოდიან შთაბეჭდილებები,
ხმები, საგნები, ამბები, მტკივნეული
შეგრძნებები... ის დიუსელდორფშის
ქუჩებშიც საკუთარ ქალაქს ეძებს, სა-
კუთარი ქალაქის აკუსტიკას. უფრო
უკეთ, იმას, რაც მხოლოდ ნარატორის
მეხსიერების კედლებზეა შემორჩენილი.
შედეგად ჩნდება სიუცხოვის, სევდის
და ექსისტენციალური მოწყენილობის,
სულიერი ლტოლვილობის, მარტოსუ-
ლობის განწყობა...

„შინ ვერდაბრუნებაში“ ავტორი ვა-
კის სასაფლაოს ატმოსფეროს იხსენებს:
„...სასაფლაო მარადისობის სივრცეშია
განფენილი. მარადისობა, ენითუთქმე-
ლი მუდმივობა აქ სითხესავით ყველა-
ფერზეა გადაღვრილი – ქვებზე, ნარჩე-
რებზე, კვიპაროსებზე, რკინის ლობებ-
ზე, დღისით იგრძნობა ეს გადმოლვრი-
ლი მუდმივობის ნათელი და იგრძნობა
ღამითაც“. ეს ფრაგმენტი მთლიანი
კრებულის მეტაფორადაც შეგვიძლია
აღვიქვათ, რადგან ყოველ მოთხრობას
(ისევე, როგორც ლიტერატურულ პორ-
ტრეტებს) უცნაური, უელატინის სუბ-
სტანციისმაგვარი მუდმივობის მკვრივი
სხივი აკრავს გარსივით... გავიხსენოთ
თუნდაც „სოლოლაკში“ ასახული გარე-
მო: სადარბაზოებში გამეფებული ბუ-
რუსის ნალვლიანი სინოტივე, ხმების,

ბგერების, გრძელი სხივების პანოპტი-
კუმი, მოძრავი ჩრდილების გაუთავებე-
ლი, მთრთოლვარე ტოკვა, ჰაერში მოძ-
რავი მტვრის ნაწილაკები და დროის
ფრთხილი, უხმაურო დინება...



ნერილის სათაურად გამოყენებული
„ყოფნის ხსოვნა“ ემილ ჩორანის ფრა-
ზაა. ვფიქრობ, ანდრო ბუაჩიძის „ტრამ-
ვაი, სახელად ნარსულის“ ორი მაგის-
ტრალური თემის მოხელთება სწორედ
ამ, მეტაფორასავით ტევადი, ფრაზის
სახით შეგვიძლია. კრებულში ნარმოდ-
გენილი მოთხრობების აბსოლუტური
უმრავლესობა ხომ ხსოვნისა და ყოფი-
ერების შეხების ნერტილებს იკვლევს.
ანდრო ბუაჩიძე, ჩვეული ოსტატობით,
ლირიზმის უმძაფრესი შეგრძნებით,
მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი
ენობრივი არსენალისა და სააზროვნო
დიაპაზონის მეშვეობით ახერხებს ხსოვ-
ნის ჰადესში მოგზაურობასა და ცნობი-
ერების ფსკერზე მიძინებული მთვლე-
მარე შთაბეჭდილებების „შეღვიძებას“.
განცდა კი, რომელიც კრებულის კით-
ხვისას მეუფლებოდა, ვლადისლავ ხო-
დასევიჩის ერთ ბრწყინვალე ლექსშიცაა
ასახული, რომელიც, სხვათა შორის, ან-
დრო ბუაჩიძემ თარგმნა და „ტრამვაის“
ეპიგრაფადაც გამოდგებოდა:

„ჩამოვიფერთხავ ქუთუთოზე
ძილის ნამცეცებს,
და ვარ მთელი დღე მღელვარებით
და შფოთვით სავსე.
საღამოობით დავეცემი, თითქოს
ამცელეს,
ბოლო ამბორი დალლილობის
ნამაჯცევს ნამსვე.“

მაგრამ არ მოაქვს მოსვენება
ძილშიაც იღბალს,
და მესიზმრება მიწიერი,
მშფოთვარე ცხადი,
ჩემივე ბოდვა მეყურება სიზმრების
მიღმა,
და დღეს ვიხსენებ უკვე განვლილს
და არანამდვილს.“



მარიამ ნიკლაური

ესლა გამოიღორას

მთელი ღამე იწვიმა.
ბოტებს, ქოლგებს, ლაპადებს
უხარიათ, დილით რომ
დატოვებენ კარადებს!

რას ნახავენ ქუჩაში?
გუბეს, წვეთებს – წკაპუნებს,
წვიმის დიდი ღრუბელი
მიწას როგორ აპურებს.

მალე გამოიდარებს,
მზეც ამოვა ცხრათვალა,
წვიმის წვეთი იცინის –
ჩვენ ვერაცინ დაგვთვალა.

ნაბვრა

ზღარბი კატო ძლიერ ნატრობს,
ფხიზლად შეხვდეს ახალ წელს.
საახალწლო ტკბილეული
არც ზღარბ კატოს არ აწყენს.

მაგრამ რა ქნას, ვერ იღვიძებს
ზამთრის ტკბილი ძილიდან.
უჰ, რა კარგი იქნებოდა,
სხვებთან მეკვლედ ივლიდა!

შინაც მიართმევდა სტუმარს
ნამცხვარსა და გოზინაყს,
მაგრამ სძინავს ღრმა ძილით და
ცომს როგორლა მოზილავს?!

ბუ ბუკა

– ბუკას მხოლოდ სიბნელეში
ჰყვარებია თამაში.
– დღისით?
– ფულუროში ძილი
ჩაჩაჩული გამაშით.

– ვისთან უნდა ეთამაშა,
ეხტუნა და ეცინა,
ბუკას გარდა, ღამლამობით
ტყეში ყველას ეძინა.

გა-ბუ-სხული, გა-ბუ-ტული
იყო ბუ და ნატრობდა,
სხვებსაც დაენახათ ღამით,
ხეებს როგორ ათოვდა.

სან სტუმრადაც მიეწვია
ნაცნობსა თუ მეგობარს.
ბედნიერიც იქნებოდა,
ბუკას ასე ეგონა.

მოწყენილი გაჰყურებდა
ხეებსა და მაღალ მთებს,
და ხატავდა მთვარის შუქზე
ფუნჯით ლამაზ ნახატებს.

თაგვი ითვლის ფიფქაბს

ყველას სძინავს: ხოჭოს, ხვლიკს, ზღარბს.
მხოლოდ წრუნუნაა ფხიზლად.
– გაიღვიძეთ, ნახეთ, ბარდნის,
ასეთ თოვლს ვერ ნახავთ სიზმრად!

– გაიღვიძეთ, – ეხვეწება
ძილისგუდებს ციცქნა თაგვი,
– მოდით, ფიფქი დავითვალოთ,
არ მეყოფა ოთხი თათი.

ერთი, ორი, სამი ოთხი,
ხუთი, ექვსი... ათი, ხედავთ?
უჱ, რა დათვლის ამდენ ფანტელს,
მომეშველე, ჩქარა, დედა!

– ყველას ძინავს, რა ცუდია,
რომ ვერ ნახეს, როგორ თოვდა.
ვერც ფიფქები დავითვალე,
მეტი თათი ალარ მქონდა...

მეგობრები

თეთრ ბახალას, ერთი კნუტის,
მოეწონა შავი კუდი.
მოეწონა შავი თავიც.
უთხრა: რა ლამაზად კნავი!

შავ ფისოსაც მოეწონა
ეს კეთილი თეთრი ყვავი.
დამეგობრდნენ აი, ასე –
ყვავი თეთრი, კატა შავი.

დილაა თუ სალამოა,
თამაშობენ ბალში ერთად.
ვიღას ალარ უნდა თურმე,
მათი მეგობარი ერქვას!

არც ჩხუბობენ, არც უსმენენ
სხვების მსგავსად ტყუილს და ჭორს.
თავსაც მხიარულად გრძნობენ.
მეგობართან ყოფნას რა სჯობს?!

სახლზე აბრაც გამოაკრეს,
გამოცალეს ათი პასტა:

„აქ ცხოვრობენ მეგობრები
თეთრი ყვავი, შავი კატა“.

ბასი-ბუსი

ჩვენს ქალაქში დაქრის, ჰერი,
ავტობუსი გრძელზე გრძელი!
ყველა იმ ავტობუსს ელის,
დაჰყავს მგზავრი ცოტაც, ბევრიც!
დადის თამაშ-თამაშით,
ბასი-ბუსი ლამაზი!

გარმონიც აქვს ერთი, დიდი –
დაგოფრილი რუხი ხიდი.
ის ორ ვაგონს აერთებს,

იმგზავრე და გაერთე!
 წელავს, წელავს გზა-გზა გარმონს
 ახალისებს სავსე სალონს.
 ბასი-ბუსი მღერის,
 პი-პი, ჰერი, ჰერი!

მგზავრობისას თურმე ბავშვებს
 კანონმორჩილებას აჩვევს –
 მხოლოდ ბასლაინზე დადის,
 აქვს სავალი თავის ხაზი!
 განრიგიც აქვს ზუსტი,
 ყველა მაგას უცდის!

ჩვენს ქალაქში დაქრის, ჰერი,
 ავტობუსი გრძელზე გრძელი!
 ჩვენი მწვანე ბასი-ბუსი,
 მეგარმონე ავტობუსი!

ზღვა და აენცი

- დიდი ზღვის პირას ცხოვრობს
 ერთი პატარა კენჭი.
- ეგ ზღვა სად ცხოვრობს ნეტა?
- ზღვა ცხოვრობს კენჭის გვერდით.

ხან თოლიებთან ერთად,
 ხან კი, ზღვა მღერის მარტო.
 თუ მოიწყენს ან ღელავს,
 პატარა კენჭი ართობს.

ხან დელფინებთან ერთად
 დარბის აღმა და დაღმა.
 ხან ბავშვებს დასდევს, წუწავს
 მისი კამკამა ტალღა.

ეთამაშება გემებს,
 მეზღვაურებს და თევზებს,
 მაგრამ დიდი ზღვა მაინც
 სულ პატარა კენჭს ეძებს.

მას მოუყვება მხოლოდ
 უცხო ნაპირზე ნანახს,
 კენჭიც ჩაიკრავს გულში,
 ასე დიდსა და ლამაზს.
 მზეც მიაგებებს ხოლმე
 მეგობრებს გულთბილ სალამს.

შენვ ასე იქცევი?


დათვის ბელი კბილს იხეხავს,
ჯაგრისით და ტკბილი პასტით.
თან ბურდლუნებს: – რა კარგია
გემრიელი პასტა პანტის!
გალოვა და გამოლოვა
ჯაგრისი და გემოს ატანს,
ალბათ, კოვზი თუ ჰერნია,
გაულვივდა დათვის მადა.
ბოლოს კიდეც მოიყუდა
გამოცალა მთელი ტუბი,
საყვარელი პანტის ხათრით
პასტა სანსლა ქაფი-ქუფით.

ცელქი დავები

დევის ქალი მელანია
ორთავ თვალით ელამია.
ცხრა შვილისთვის ფაფას ხარშავს,
იხრუკება ფესტამლიან.
სამი სოფლის სამყოფელი
ქვაბში ჩაუყრია შვრია,
სამი დღეა ქვაბი უდუღს,
სამი წყარო დაუშრია.
ცხრავე შვილი ცხრა-ცხრა გობით
სუფრის გასწვრივ დაუსხია,
ცხრა ჩარექი ფაფითაც კი
ვერც ერთი ვერ გაუძღია.
დევთ გაუდით რია-რია,
რა ქნან?! –
ცხრა-ცხრა პირი აქვთ და
მუცელი კი, ზიარია.
ატირებულ ბოლოლა დევს
დედიკოსთან ენა მიაქვს:
– ჩემმა ძმამ თქვა, ჩაგყლაპავო,
თუ არ მაჭმევ შენს წილ შვრიას!
ფხიკეს, ლოკეს ქვაბის ძირი,
დააყოლეს ცივი წყალი,
მაინც ყაყანებდა ცხრავე,
გადარიეს დევის ქალი.
მიალაგა მელანიამ
თეფშ-ქვაბ-ჯამ-დოქ-ხელადიან
და საშველი რომ ვერ ნახა,
კარგად ტყიპა ყველანი
–აააააააააააააააააააა!

ზღარბი მართა

ამ პატარა სახლში ზამთარს
გაატარებს ზღარბი მართა.
ზამთარს თურმე ძილში გალევს,
არც შეჭამს და არც წყალს დალევს.
მერე მოვა გაზაფხული
აძგერდება მართას გული,
გაიღვიძებს, თვალს გაახელს
დაინახავს ლამაზ ბალებს:
აყვავებულს, მზიანს, ფერადს.
გადაიცვამს ეკლის პერანგს,
წამოხტება და შესძახებს:
„ძილს ღვიძილი სჯობსო ბევრად!“
ბალს დაივლს, ეზოს, მინდორს,
ისადილებს, თავს გაირთობს.
ივლის, ივლის, ჩუმად, ნელა
ჩვენი ზღარბი, ბურთისხელა.
ხვლიკს, კალიას, თაგვს თუ მახრას,
ყველას მოიკითხავს, ნახავს.
ზაფხული რომ მოვა, მწიფე,
გამოაცხობს ხილის ბლითებს.
ბალახებში ითამაშებს,
მშვიდად, არ დააფრთხობს ბავშვებს.
მერე შემოდგომაც მოვა,
მართა იტყვის: ძილის დროა!
რას დაიგებს? – ფოთლის ლოგინს!
სუსხი ძილსაც სწრფად მოგვრის.
„ტკბილი ძილი ჩვენც და თქვენც!“ –
ზღარბუკებმა ასე თქვესო!



იური მამლევი



იური მამლევი – რუსი მწერალი, დისიდენტი, ფილოსოფოსი. დაიბადა 1931 წლის 11 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში. 1956 წელს დაამთავრა მოსკოვის სატყეო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1957 წლიდან 1974 წლამდე ასწავლიდა მათემატიკას საღამოს სკოლებში, მაგრამ მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო მაინც ლიტერატურა იყო. მისი მოთხრობები, რომანები, ფილოსოფიური ესეები ჩუმად ვრცელდებოდა დაბეჭდილი თაბახის ფურცლებისა და ხელით აკინძული წიგნების სახით, ვინაიდან საბჭოთა პერიოდიკაში მათი გამოქვეყნება შეუძლებელი იყო. 60-იან წლებში მის ბინაში თავს იყრიდნენ ე.ნ. „არაოფიციალური კულტურის“ შემოქმედები, მხატვრები და მწერლები: ლეონიდ გუბანოვი, გენრიხ საპგირი, ლევ კროპივნიცკი, ალექსანდრ ხარიტონოვი, ვენედიქ ეროფევი და სხვები.

1974 წელს იური მამლევს ცოლთან ერთად დაატოვებინეს საბჭოთა კავშირი. ის ემიგრაციაში წავიდა აშშ-ში. იქ კითხულობდა ლექციებს არაერთ ცნობილ უნივერსიტეტში, პარალელურად კი მუშაობდა კერძელის უნივერსიტეტში. 1983 წელს იური მამლევი საცხოვრებლად პარიზში გადავიდა, სადაც კითხულობდა ლექციებს მედონის რუსული კულტურის ინსტიტუტში, ხოლო შემდგომ – პარიზის სახელგანთქმულ აღმოსავლური ცივილიზაციების ინსტიტუტში. ემიგრაციაში ყოფნისას მისი ნანარმოებები ითარგმნა ოცზე მეტ ენაზე და გამოიცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იან წლებში, იური მამლევი დაუბრუნდა რუსეთს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მთელი ოცი წლის განმავლობაში, რუსეთში გამოიცა მისი ოცდაშვიდი წიგნი. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა არაერთი ლიტერატურული პრემიითაა აღნიშნული. მათ შორისაა ანდრეი ბელის საერთაშორისო პრემია (1993) და პუშკინის სახელობის პრემია (გერმანია, 2000).

ვალუტა

იდგა 1994 წელი. ხელფასს ამ არცთუ მსხვილ, მაგრამ ხმაურიან დაწესებულებაში კუბოების სახით გასცემდნენ.

– ვისაც უნდა წაიღოს! – შლიდა ხელებს უფროსობა. – ფული ჩვენ არ გვაქვს! არ გამოგვიყვეს! ჩვენ ხომ ბიუჯეტზე ვართ?! კიდევ კაი, კუბოები მაინც დაგვაწიეს!.. ისე, კუბო უკეთესიცაა, ვიდრე სულ არაფერი!

– ეგაა ზუსტად! – უხერხულად იშმუშნებოდა დაქვემდებარებული თანამშრომლობა. – კუბოსგან მაგიდის გაკეთება მაინც შეიძლება... ბოლო-ბოლო ბაზარზე გაიტან და გაყიდი...

– მე არავითარ კუბოების აღებას არ ვაპირებ! – განაცხადა დამლაგებელმა კანია ტუპიკოვამ. – მირჩევნია შიმშილით მოვკვდე, მაგრამ კუბოებს არ ავიღებ!

უმრავლესობა არ ეთანხმებოდა კანიას და მაინც დადგა გრძელი რიგი კუბოებზე. არიგებდნენ მათ მართლაც ხელფასის გაცემის დღეს და თან ხელსაც აწერინებდნენ უწყისებზე.

– ჩვენ აქ დემოკრატია გვაქვს! – ყვიროდა უფროსობა. – ჩვენ არავის მოვატყუებთ!

– კუბოებიც არაფრად ვარგა! – იჭმუხნებოდა ამ კანტორის ძველი თანამშრომელი ბორის პორფირიევიჩ სურ-კოვი. – ჩამონერილებს ჰგავს!.. ასეთ კუბოში ჩანოლაც კი თავის მოჭრა და სირცხვილია!

– აბა, სად წახვალ? – პასუხობდა ენერგიული და ენასხმარტალა, ტანმოკლე თანამშრომელი გოგო. – აი, მე უკვე ამ ხელფასზე ორი კუბო მივიწერე! იქნებ და ვკვდები?.. და ამ დროს, კუბოები აგერ თან მაქვს...

– ეგეც მართალია! – ყვიროდნენ რიგში. – ჩვენ ჩვენსას ავიღებთ!.. უარს არ ვიტყვით!

ბორის პორფირიევიჩმა ფიქრით გადასიებული თავი დააქნია. არადა, იქნებოდა ასე ორმოცდახუთი წლის, მუშახელის შესახედაობის და თან ყოვლად გაკვირვებული მზერის მქონე პიროვნება.

რიგს დაემატნენ მუშახელის ნათესავები, რადგანაც კუბო, მოგეხსენებათ, არაა მსუბუქი ნივთი და კი უწევდა ზოგიერთს მათი თრევა ხუთ-ექვს კილომეტრზე და ამ დროს გარშემო ხომ ცოცხალი ხალხი გახვევია – სიფათს აგახევენ... და რას აღარ კიდევ...

ბორის პორფირიევიჩი მარტო მოვიდა კუბოს წასალებად, ცოლ-შვილის გარეშე, ურიკით. ისე, ამ ურიკით, რომ მოენდომებინა, ლამის მთელი სასაფლაოს გადატანაც კი შეეძლო. ახალგაზრდობაში ის ლოთობით იჭრიდა თავს და მამამისს, არცთუ იშვიათად, მისი წალება სწორედ ამ ურიკით უწევდა ლუდხანიდან სახლამდე. მოკლედ, იმდროინდელი იყო ურიკა და, მიუხედავად იმისა, რომ ის არაერთხელ გაეღრღნათ ქუჩის ავძალებს, თავად ბორიასთვის პირი არც ერთხელ არ დაეკარებინათ. ახლა მას ეს ურიკა კუბოების გადატანაში ეხმარებოდა და უკვე თავად ურიკა წააგავდა კუბოს, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა, წარმოუდგენლად ფანტასტიკური მხრიდან.

გემრიელად დატვირთულებმა (კუბოები უიაფესი იყო, რაც შრომით კოლექტივში ისედაც ეჭვს აღმრავდა), სახლისკენ გასწიეს. გზად ცოტა ხნით ლუდხანაში შევლაც კი მოასწრეს და უფრო ამჩატებულებმა განაგრძეს სვლა.

სახლში, ჩაის სმისას, კვლავ კუბოების საკითხს განიხილავდნენ. მეზობელიც კი შემოეხეტა – შორსმჭვრეტელი და ხანშიშესული საქმის ოსტატი, მუსტიგინი.

– ჩვენ ჩაიდნებით გვიხდიან!!! – აყვირდა ის მაშინვე.

– ჩაიდნებით უკეთესია. – აწყნარებდა მას პორფირიჩის მეუღლე – ფუმ-ფულა მუთაქასავით სონია. – უფრო მშვიდად იქნები!.. ჩაიდანია მაინც!.. აქ კიდევ რაღაცნაირი სევდა და საშიში ამბავია! აგერ, შეხედეთ, რამდენი დაგროვდა! როგორ არიან აყუდებული კედელზე პინგვინებივით!

– რა საშიში, დედი? – უხეშად შეეპასუხა ოცი წლის შვილი იგორი დედას. – ხე და კუნძი მაინც ხე და კუნძია! რითი მოგაქვს თავი და პროფესორობ აქ?

– გადი აქედან, იგორ! – მკაცრად აწყვეტინებდა ვაჟს ბორის პორფირიჩი.

– ერთი ძალლის ლეკვი ხარ და მაინც მშობელ დედას უყეფ!

ამ დროს მუსტიგინი კუბოებს ათვალიერებდა.

– ეს ხომ ნახმარი კუბოებია?! – აყვირდა უცებ ის სულ სხვა ხმაზე.

– რას ქვია – ნახმარი?! – ინივლა სონიამ.

– უკვე გამოყენებულები! – გაშალა ხელები მუსტიგინმა. – გაფუჭებულები, ერთი სიტყვით! მიცვალებულნახმარები!.. რა, ვერ ვხედავ, გგონიათ?.. ყნოსვა მაქვს უბედური! მე მაგათ სუნს მაშინვე ვანსხვავებ და ვგრძნობ!

– არ არსებობს! – შეშინებული სუჩკოვი მაშინვე კუბოებს მივარდა. – ეს რა უბედურებაა!?

– ღმერთო, მართლა რა უბედურებაა? – აჯღანავლდა გამოცარიელებული სონია.

– კრინტი, სონკა! მე მერამდე მივალ! – და სუჩკოვმა კუბოები ახლომ-ხედველივით შეათვალიერა.

მუსტიგინი კრიახებდა, თავს იმხნევებდა და მარჯვენა ხელით უთითებდა კუბოებში რაღაც მუქი ფერის ლაქებზე – როგორც ნაწოლების დატოვებულ კვალზე, ხოლო ერთ კუბოში ნარწყევის კვალზეც კი მიანიშნა საზოგადოებას.

– პირველად მესმის, რომ მკვდრები არწყევენ! – აიძაგრა სონია. ვაჟმა, იგორმა, ამჯერად დედას დაუჭირა მხა-

რი, მაგრად მამა-სუჩკოვი სულ სხვანა-ირად ვარაუდობდა.

– უბრალოდ წუნიანი კუბოებია, – დასაკვნა ბოლოს. – თავიდანვე როგორ ვერ შევამჩნიერ?

– და ნარწყევს რა ვუყოთ? – იკითხა იგორმა.

– ხომ შეიძლებოდა, ცოცხლებს ჩაერწყიათ?.. – რიტორიკულად უპასუხა სუჩკოვმა. – რა არ ხდება ნაბახუსევზე... შებოდიალდნენ, ალბათ... ალბათ, წაიქცნენ... დიდი ამბავი!

– და ნარწყევი რა შუაშია?! – უფრო გაბრაზდა სონია. – ზეციდან ჩამოიღვარა?

– ჩუმად! ჩუმად! – შეეშინდა მუსტიგინს. – რას მკრეხელობ აქ?

– ყველაფერში კოსნია კრიუჩკოვია დამნაშავე! – ბოროტად გამოუვიდა ბორის პორფირიჩის. – ეგ გასცემდა ხელფასს... ჰოდა, შემომტენა ნახმარები! მეგობარი ჰქვია ამის შემდეგ?! მე მიღალატა!!!

– მაგას ხომ სულ შურდა შენი?! – ჩაეჩინირა სონია. – სწორედ მაგ შურიანობის გამო შემოგტენა...

– სამწუხაროა! – გადააქნია თავი მუსტიგინმა. – არადა, კუბოები უნდა იყოს ნაღლი!.. ეს ხომ ვალუტაა?! – და მან ქვედა ტუჩი გადმოფლაშა. – თან ხელფასის მაგივრად! თან საერთაშორისოები!.. ხომ ყველგან კვდებიან? მთელ დედამიწაზე?

– მე მაგ კონკას ამას არასდროს ვაპატიიებ! – მტკიცედ და პირქუშად განაცხადა ბორის პორფირიჩმა. – სიფათსაც დავუჩეჩებავ ამ ნარწყევიანი კუბოთი!

– გადაცვალე ჯობია... კარგად გამოვა! – ნამტკირალევი ხმით ჩაეჩარა ისევ სონია. – რა საჭიროა მტრების დაგროვება?.. ისიც დაგიმახსოვრებს!

– აბა, რა, მამი! – სოლიდურობა გაურია ხმაში იგორმა.

– უთხარი, რომ რაღაც აგერია... – ნერვიულმა შიშმა გადასძალა სონიას. –

ყველას მოსდის ხოლმე... და უთხარი, რომ მშვიდობით იყოს ყველაფერი! გადაცვალე კუბოები და ყველაფერი დალაგდება... ამათ მაინც ვერ გაყიდი... ყველაზე ღარიბებზეც კი... უბრალოდ, კუბო ხახაში არ ჩაუდო, გესმის, ბორია?

— რა გაეწყობა? დღეს უკვე გვიანია, ხვალ შაბათია... — მოინყინასავით სურჩევმა. — უსიამოვნოა მაინც! ყოველთვის ეგეთ შარში ვართ! პროფერავ-შირშიც ვიტყვი, რომ ხელფასი ნახმარი კუბოებით აღარ გასცენ!.. ეს ჩვენი მოთმინებაც უსასრულო ხომ არაა???

ყველა ისევ მაგიდას შემოუსხდა.

— და იქნებ, ის წუნიანი კუბო მოიშორო ჯერ? — წავიდა ოცნებებში სქელ ლოყაზე მუშტამოდებული სონია. — რა მერე? აგერ, ამპავი მოიტანეს — მრაჩკოვებს ახლახან ბაბუა მოუკვდათ. საწყლები არიან ეგენი... სად აქვთ ნორმალური კუბოს ყიდვის თავი... შეატენე მაგათ! და კრიუჩივისიანებს სჯობს შეეშვა! რა, ვერ ცნობ ადამიანს? ეგ შენ მაშინვე ცოცხლად შეგჭამს, თუ მართლა ჩაგიგდო ხელში...

— მაინც არ შევარჩენ! — ამოიგმინა სურჩევმა.

ჰოდა, მომდევნო დღეს წავიდა კი-დეც იმ უკვე ნახმარი და ნარწყევიანი კუბოს გასაყიდად. მრაჩკოვებთან სწრაფად შევიდა, შევიდა კი არა, უფრო შევარდა...

— ბაბუა მოგიკვდა, ანისია? — ზღურბლიდანვე იყვირა ბორის პორფირიჩმა.

— ყველამ იცის უკვე, რომ მოკვდა!

— აი, მეც, დასახმარებლად მოვედი. კაი კუბოს მოგცემ იაფად! თორემ რა ვჭამოთ? აღარაფერია. ხელფასს კუბოებით გვიხდიან.

— ეგ მეც გავიგე!

— თუ გაიგე, აიღე ბარემ! რაღას უცდი?

სურჩევი ისე გადაჭრით და უხეშად მოქმედებდა, რომ ანისია ფედოროვნა ბოლოს და ბოლოს დანებდა.

— ავიღებ, ავიღებ! — ჩაიღრუტუნა

ბოლოს. — უბრალოდ, ფული არაა! იქნებ, ჩაიდნებით აიღო?

— შენა, დედილო, ემაგ სიტყვების-თვის ჩაგიკაუნო გინდა?! — ამძვინვარდა სურჩევი.

— რა აზრი აქვს ჩაკაკუნებას? — თავს იცავდა ანისია. — ფული მაინც არაა... გინდა მიკაკუნე და გინდა — არა!

სურჩევმა სახლში გადაირბინა.

— აიღე, აიღე! — მოუწოდა მას სონია. — და ნუ იქცევი საქონელივით! ყველანაირად, ჩაიდანი უკეთესია, ვიდრე კუბო. მშვიდობიანია. მყუდროა. მთლად უკეთესი — სამოვარებით თუ აიღებ!

— რა სამოვარები აქვს რო მაგას?

— სულ ერთია. აიღე!

სურჩევმა ვაჟი იხმო. ორმა მიათრიეს იქამდე კუბო. მიიძურნებოდნენ ტრამვაის ხაზების გავლით — ხალხის წყევლისა და დედის გინების კორიანტელში. ურიყა არ გამოუყენებიათ — თავიანთი ძალებით მიჰქონდათ.

მრაჩკოვები კუბოს გონებასუსტებივით დახვდნენ.

— როგორიც არ უნდა იყოს, მაინც კუბოა, — თქვა ანისიას დამ. — კუბოები ქუჩაში არ ყრია... აპა, თფურა! ამხელა ტვირთი ჩამოგვეხსნა მხრებიდან!

სურჩევმა ტომარა ჩაიდნებით აავსო, მაგრამ ყველა რაღაცნაირად წაუძველებდა, თუმცა ჩანდა რამდენიმე ნახევრად ახალიც. ანისიას სურჩევი ცივად გამოემშვიდობა (ვაჟი უფრო ადრე გაიქცა), გადაიკიდა ტომარა ზურგზე და სახლისკენ გასწია. გზაში სასმელიც ჩაარტყა და ჩაიდნების ნახევარიც დაამსხვრია.

მრაჩკოვები კუბოთი კმაყოფილები დარჩნენ.

— სარფიანი გარიგება იყო! — დაასკვნეს თან.

აი, ბორის პორფირიჩმის კი მთელი სცენის გადატანა მოუხდა.

— ჩაიდნები თითქმის ყველა დამსხვრეულია! — ანივლდა სონია. — ეგ როგორლაა? იმათ ხელფასს დამსხვრეუ-

ლი ჩაიდნებით უხდიან?! არ მომატყუო! სურკოვი დაფიქრდა.

— ანისიამ მითხრა, რომ ახლები მის-ცეს, მაგრამ გაბოროტებულებს ჯინა-ზე თვითონ დაუმტვრევიათ. მეც შემო-მემტვრა ორი ცალი, სანამ სიმწრისგან ვსვამდი. სულს ნუ იტანჯავ, სონია, ნუ იტანჯავ!

სონია ქმარს დამორჩილდა.

— კაი, ჰო. დაჯე, აგერ ბურღულის ფაფა ჭამე. მეტი მაინც არაფერია სახ-ლში. დაქანცულს გავხარ...

სურკოვი მორჩილად შეუდგა ფაფის ჭამას. სონია მას თვალს არ აცილებ-და. სურკოვმა ფაფას ბოლო მოუღო და კოვზი გალოკა.

— ბორია, — ფრთხილად დაიწყო სო-ნიამ. — მე მგონი, მუსტიგინმა გააზ-ვიადა! მე, ჩვენს კუბოებში, ყველაში ვიძრომიალე. ის კუბო, შენ რომელიც მიაცვალე, მართლაც ნარწყევიანი იყო, სხვები კიდევ — სუ-სუ არაფერი! სუფ-თა კუბოებია, სარკეებივით! მხოლოდ ერთია — მიცვალებულის სუნით ყარს და საეჭვოდაც გამოიყურება.

— რომელი?

სონიამ მზერით მიათითა კუბოზე, რომელიც სასადილო მაგიდასთან ახ-ლოს აეყუდებინათ.

— კაი იქნებოდა, ესეც გაგვესალები-ნა სასწრაფოდ... — განაგრძობდა სონია ჩაის სმის პარალელურად. — მართლა არაა სასიამოვნო! იქნებ, მიცვალებულს კიბო ჰქონდა ან ქოლერა? ხვალ უქმეა. წაიღე ბარემ ბაზარში შეუმჩნევლად. ხორცის ნაჭერზე მაინც გადაცვალე!

— რა ბაზარში წალება? — გაბრაზდა სურკოვი და თეფშს მუშტი უთავაზა. — შენ რა, „ახალი რუსი“ ხომ არ გვიცვარ, სულ ვაჭრობა-ბარიგობაზე რომ მიბიძგებ?

— აუ, ბორია, რა გაყვირებს? დაფიქ-რდი აბა, ხვალე რა ვჭამოთ? პურიც კი აღარაა.

სურკოვი ჩაფიქრდა.

— აი, რა! — თქვა მერე რიხით. —

სოლნცევებთან მისვლაა საჭირო!.. ახ-ლავე!

— მაგათ ხომ კუბოებით აქვთ სავსე სახლი? — სონიამ გაკვირვებისგან პი-რიც დააღო.

— „კუბოებით აქვთ სავსე!“ — გამო-აჯავრა სურკოვმა. — უშენოდაც ვიცი! მაგრამ მაგათ ის კუბოები უკვე გამოი-ყენეს. მთელი ბინა კუბოებშია და ყვე-ლას თავისი დანიშნულება აქვს. ხანდა-ხან შეილიშვილსაც კი კუბოში აბანა-ვებენ... ბავშვისთვის სასარგებლოაო... იქნებ ჩვენიც გამოიყენონ რამეში... ერთი კუბო საუურნალე მაგიდასავით აქვთ, მეორე — ჭუჭუიანი სარეცხის-თვის, მესამე რატომლაც ჭერზე ჩამო-კიდეს — ამბობენ, ლამაზიაო!

— თუ ეგრეა, მიდი!

სურკოვი შეშლილივით წამოხტა, სა-სადილო მაგიდასთან აყუდებული კუბო ზურგზე მოიგდო და გაიქცა.

სონია მარტო დარჩა. იგორი ისედაც კაი ხანი იქნებოდა, სადღაც იყო გამ-ქრალი. „ალბათ, ლამით თუ მოვა... — გაიფიქრა სონიამ. „კატაც კი სადღაც გაქრა...“ რაღაც საგანგაშო ედგა სულ-ზე, არა იმიტომ, რომ ხვალისთვის საჭ-მელი აღარ დარჩათ, არამედ, აშკარად სულ სხვა, გლობალური შფოთიდან გა-მომდინარე.

— სულ ნუ ვიცოცხლებ! — გადაწყვი-ტა უცებ, მაგრამ იქვე უცებ ძალიან მოუნდა სიცოცხლე.

ბორის პორფირიჩი ნახევარ საათში დაბრუნდა. კუბოთი. ძლივს შემოეტია კარებში.

— რაო?! — წამოიყვირა სონიამ.

— სიფათი უნდოდათ დაემტვრიათ! მათი თოთხმეტი წლის ქალიშვილი ის-ეთს ღრიალებდა, ყველა მეზობელი და-ფეთდა. თურმე, საწოლის მაგივრად, ისედაც კუბოში უნევს ძილი და უკ-ვე ყელში ამოუვიდა! რაო? ამ კუბოს რომელი მიმართულებით ვუბიძგოთო, ყვიროდა. კიო, მამილო ყველაფრის ოს-ტატია, მაგრამ იქნებ მორჩეთ უკვეო!

დედამაც მხარი დაუჭირა და დედა-
დათვივით ბრდლვინავდა.

სონიამ ამოიოხრა:

— ღმერთს დიდება, რომ გამოასწა-
რო!

— მაგას არა უშავს, მაგრამ ეს კუბო
მაინც არაა კარგი... მოსაშორებელია!
დანარჩენებს იმ კვირაში კარტოფილ-
ზე გადავცვლი. მე ვიცი — სადაც! —
ჩაილაპარაკა ბორისმა და მაგიდას ჩა-
მოუჯდა. — თვით პუზანოვთან! მაგას
ნაქურდალი კარტოფილი აქვს. რაშიც
გინდა გაგიცვლის! ნაქურდალი არას-
დროს ენანება...

— გავძლებთ როგორმე!.. იგორს უკ-
ვე თვითონ გააქვს თავი. აბა, როგორ?
სხვანაირად ხომ დავიხოცეთ? რა დროს
ინსტიტუტებია? მაგრამ ეს კუბო კი
მართლა რაღაც საშინელებაა...

— რას გადაეკიდე შენც? კუბო კუ-
ბოა მანც. კი ბატონო, საძაგელი კუ-
ბოა! დეფექტიანია, მაგრამ მაინც კუ-
ბოა... კუბოები ლუდხანაში არ ყრია...
თავისი ფასი აქვს...

სონია საკუთარ თავს ჩაულრმავდა.

— შენ ჯერ უსუნე კიდევ ერთხელ,
ბორია! როგორია, ნახე!

— კაი. შენი სიყვარულის გამო დავ-
ყნოსავ, ეგრე იყოს!

სურიკოვი კუბოს მიუახლოვდა და
მის ყნოსვა-შემოწმებას შეუდგა. ალაგ-
ალაგ უკაკუნებდა კიდეც.

— ნუ აკაკუნებ! ეშმაკი მოვა! — შეე-
შინდა სონიას.

— სონია, კი მაგრამ გვამის სუნი არ
შეიძლება ამდენი ხანი დარჩეს. კაი, და-
ვუშვათ, რომ გაუშვეს ჩუმად ეს კუბო
მარცხნივ... — როგორც იქნა, ამოთქვა
სურიკოვმა. — და წესით, განმინდეს კი-
დეც წინა მიცვალებულისგან, მაგრამ
სუნი ხომ ისედაც უნდა გასულიყო?
მიცვალებულიდან მაშინვე სახელფა-
სოდ ხომ არ გაამზადებდნენ? სუნი უნ-
და გასულიყო!

— უნდა გასულიყო, მაგრამ არ გასუ-
ლა! — გაჯიუტდა სონია. — ეგაა საეჭვო

ზუსტად! რატომაა ამდენ ხანს მიცვა-
ლებულის სუნი კუბოში? დავიჯერო,
შენ ვერ გრძნობ?

— მგონი, სუ-სუ ცოტას — კი
ვგრძნობ... — გახევებულმა ჩაილაპარა-
კა სურიკოვმა.

— არავითარი მგონი და არავითარი
სუ-სუ ცოტა! — მტკიცედ შეეპასუხა
პუტკუნა სონია და კუბოს მიუახლოვ-
და. — პირდაპირ გეტყვი, ბორია! რაც
არ უნდა წარმოუდგენლად ჟღერდეს,
ეს კუბო კაცის გვამის სუნით ყარს. აი,
ზუსტად! მე ქალი ვარ და ყოველთვის
გავარჩევ კაცის გვამის სუნს ჩვენის-
გან... ანუ ქალისასგან.

— სულ ამაბნიე! — წამოიყვირა ბო-
რის პორფირიჩმა. — ნუ ხულიგნობ, სო-
ნია! ეს კუბო, პირდაპირ ვიტყვი, ნაგა-
ვია და არა კუბო, მაგრამ გვამის სუნი
თითქმის არ იგრძნობა. რაა ეს, ქიმიის
კანონებს რომ არღვევ აქ?

— საკუთარი მოსაზრებები ყველამ
თავისთვის დავიტოვოთ, ბორია! —
მშვიდად გაეპასუხა სონია. — მოვიდეს
იგორი და იმანაც დაყნოსოს. ფხიზელი
მაინცაა...

— ეგ ტვინითაა ფხიზელი, თორემ, ხომ
ვიცი — მოვა მთვრალი! რას გაარჩევს?
მოდი, ყველას სჯობს კარტი ვითამაშოთ!
— შესთავაზია ცოლს სურიკოვმა.

და ითამაშეს კარტი.
უკვე ბნელდებოდა. სონიამ სამოვა-
რი შემოდგა, საწოლის ქვეშიდან გადა-
ნახული რამდენიმე ორცხობილა ამოი-
ღო. კატა არ მოდიოდა.

სადღაც რვისთვის კარზე მოაკაკუ-
ნეს. ბორის პორფირიჩმა გააღო. კარში
მუსტიგინმა შემოჰყო თავი.

— თქვენთან სტუმარია, სონია! ბი-
ძათქვენისგან!

— ოჳ, არტემ ნიკოლაევიჩისგან? პენ-
ზა! — წამოიძახა სონიამ.

მუსტიგინის ზურგს მიღმა გამოჩ-
ნდა ყოველმხრივ უსახური ბერიკაცი
— ჩამოხეულებში, დაძონძილი, რაღაც-
ნაირად ნახმარივით, გაცვეთილი, სულ

მუქ ლაქებში.

— მობრძანდით! — გაეპასუხა სონია.

სუჩკოვმა წარბშეკრულმა გახედა ცოლს.

— ჰომ! ბიძია ყოველთვის ისეთი სა-ოცარი იყო! — გაეცინა სონიას. — და ხალხიც გარშემო ყველა ისეთი საოცა-რი ჰყავდა. მობრძანდით, მობრძანდით, ბერიკაცო!

ბერიკაცმა მიმოიხედა და ცხვირი მოიწმინდა. მუსტიგინი კარს მიღმა მი-იმალა: თავისთან დაბრუნდა.

— ეგეთი რატომ ხარ, ბაბუ? — ცო-ტათი უხეშად გამოუვიდა ბორის პორ-ფირიჩს.

ბერიკაცმა უეცრად მას ჭალარა და მოშვებული წარბების ქვემოდან ობი-ან-ნესტიანი და შემზარავი მზერით გა-მოხედა და თავად ბერიკაცსაც უცებ რაღაცნაირი, იდუმალი იერი დაედო. სონიას შეეშინდა.

— იმ კუბოდან ვარ მე! — ცივად ამოთქვა ბერიკაცმა და ყროლიან კუ-ბოზე მიუთითა.

ცოლ-ქმარი დამუნჯდა.

— ჩემი კუბოა ეს!.. თან წავილებ! — და ბერიკაცი მძიმე ნაბიჯით გაემართა კუბოსკენ. — სხვის კუბოებს არც უნ-და გაეკაროთ! — მკაცრად ჩაილაპარა-კა მან, ცოლ-ქმარს გამოხედა და დიდი, შავი საჩვენებელი თითი დააქნია.

თითი უფრო ცოცხალი ჩანდა, ვიდ-რე მისი თავი მხრებზე.

მერე შემოტრიალდა და იგივენაირი ობიან-ნესტიანი, მაგრამ ამჯერად გამ-ჭოლი მზერით ჩაათვალიერა თანამეც-ხედრები.

— ჩემო შვილიკოებო, რაზედ მოგიწ-ყენიათ? — ასწლოვან ხმაზე დაიჩიფ-ჩიფა მან. — მოდით, მოდით ჩემთან!.. შემოუსხედით მაგიდას! მე თქვენ ისეთ რამეს მოგიყვებით...


სუჩკოვები დასხდნენ.

დილით იგორი ფხიზელი დაბრუნდა სახლში. სახლში არც მშობლები ჩან-დნენ და აღარც კუბოები. ყველაფერი დანარჩენი მთელი და ხელშეუხებელი ჩანდა.


მერე მილიცია გამოჩნდა.

ცოლქმარი სუჩკოვები კი, სამარადი-სოდ გაუჩინარდნენ.

**რუსულიდან თარგმნა
ბესო ხვედელიძემ**



როალდ დალი



დამთხვეული ფოქსლი

უკვე ოცდათექვესმეტი წელია, რაც კვირაში ხუთი დღე, ნომერ რვაას თორმეტი მატარებლით ლონდონის სიტიში დავდივარ. ის არასდროსაა ზედმეტად გადაჭედილი და პირდაპირ ქენონ სტრიტის სადგურამდე მივყავარ, რომელიც ოსტინ ფრაიარსში მდებარე ჩემი ოფისის კარიდან მხოლოდ თერთმეტ-ნახევარი წუთის ფეხით სავალზეა. მუდამ მიყვარდა გარეუბნიდან შუა ქალაქამდე ხანმოკლე მგზავრობის პროცესი, სიამოვნებას მანიქებდა მისი ყოველი წუთი და წამი. არის მასში რაღაც კანონზომიერი, რომელიც სასიამოვნოც არის და დამამშვიდებელიც ჩემისთვის და, ამასთან ერთად, ერთგვარი ნავმისად-

გომიცაა, საიდანაც მე რბილად, მაგრამ მყარად ვეშვები ყოველდღიური საქმიანი რუტინის ზღვაში. ის პატარა, საგარეუბნო სადგურია, სადაც, სულ ბევრი, ცხრამეტი ან ოცი კაცი თუ იყრის თავს რვაას თორმეტზე დასაჯდომად. ჩვენ ის ჯგუფი ვართ, იშვიათად რომ იცვლება და ბაქანზე ახალი სახის გამოჩენა, რაც იშვიათად ხდება, იქ მყოფთა შორის გარკვეულ უკმაყოფილო მღელვარებას იწვევს, დაახლოებით ისეთს, იადონების გალიაში უცხო ჩიტის შეგდებისას რომ ხდება. ჩვეულებრივ, როცა მე დილაობით სადგურზე მივდივარ, როგორც წესი, მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე, ისინი უკვე იქ მხვდებიან – პოზიტიური, სო-

ლიდური, შეუპოვარი ხალხი, თავიანთი ადგილი რომ უკავიათ მათთვის შესაფერისი ქოლგებით, ქუდებით, ჰალსტუხებით და იღლიაში ამოჩრილი გაზეთებით. ისინი უკვე წლებია, არ შეცვლილან და ასე უცვლელი რჩებიან, როგორც ავეჯი ჩემს სასტუმრო ოთახში. მე მომწონს ეს. მომწონს ჩემი ადგილიც – ფანჯარასთან, კუთხეში, სადაც გაზეთ „თაიმზს“ ვყითხულობ ხოლმე მატარებლის ხმაურსა და მოძრაობაში. მგზავრობის ეს ნაწილი, რომელიც სულ რაღაც ოცდათორმეტ წუთს გრძელდება, თითქოს ჩემს ტვინისა და ჭირვეულ ბებერ სხეულს მიმშვიდებს, როგორც ერთი კარგი ხანგრძლივი მასაჟი. მერწმუნეთ, სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად არაფერია იმაზე უკეთესი, რაც რუტინულია და რეგულარული. მსგავსი დილის მგზავრობა დღემდე დაახლოებით ათი ათასჯერ მაინც მაქს შესრულებული და, რაც დღრო გადის, ის უფრო და უფრო მომწონს. ამავდროულად (რაც უადგილოა, მაგრამ საინტერესო), მე ერთგვარ საათად გადავიქეცი. დაუფიქრებლად გეტყვით, რომ ორი, სამი ან ოთხი წუთით დაგვიანების შემთხვევაშიც კი თავაუწევლად შემიძლია გამოვიცნო, თუ რომელ სადგურზე ვართ გაჩერებული. ფეხით სავალი გზა ქალაქის მეორე ბოლოში მდებარე ქენონ სტრიტიდან ჩემს ოფისამდე არც ძალიან გრძელია და არც ძალიან მოკლე: ის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პატარა გასეირნებაა ქუჩებში, რომლებიც იმ ჩემი თანამგზავრებითაა გადაჭედილი, ჩემ მსგავსად, ჩემნაირი დაწესებული განრიგით რომ მიემართებიან თავ-თავიანთი სამუშაო ადგილებისკენ; და უფრო მეტ რწმენას მმატებს ის, რომ ვარ ნაწილი ამ სანდო, ღირსეული ხალხის ნაკადისა, რომელიც ერთგულად ემსახურებიან თავიანთ საქმეს და უსაქმოდ არ დაყიალობენ მთელი დედამიწის ზურგზე. მათი ცხოვრება ჩემსას ჰგავს – ზუსტი საა-

თის წუთების ისარივით კარგად მომართულს; ქუჩაში ჩვენი გზები ყოველდღიურად ხშირად იკვეთება ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილზე. მაგალითად, როდესაც მე წმინდა სუითინის ჩიხის კუთხეში ვუხვევ, გამორიცხულია, იქ პირისპირ არ შევეჩეხო შუახნის მოწესრიგებულ ქალბატონს, ცხვირზე ვერცხლის პენსინეთი და ხელში – შავი ხელჩანთით. მე თუ მკითხავთ, უმაღლესი რანგის ბუღალტერს ან, შეიძლება, საფეიქრო მრეწველობის რომელიმე მაღალჩინოსანს. შუქნიშანზე, ტრედნიდლ-სტრიტის გადაკვეთისას, ათიდან ცხრა შემთხვევაში გვერდი უნდა ავუარო ჯენტლმენს, რომელიც თავისი კოსტუმის ღილკილოში ყოველდღე სხვადასხვა ჯიშის ბალის ყვავილებს იბნევს. მას შავი შარვალი და ნაცრისფერი გეტრები აცვია და აშკარად პუნქტუალური და უმნიკვლო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს; ალბათ, ბანკირია ან ჩემსავით იურისკონსული; უკვე მერამდენეჯერ, ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე, ერთმანეთისთვის ქუჩაში აჩეარებით გვერდის ავლისას, ჩვენი თვალები ერთმანეთს წამიერად ურთიერთსიმპათიისა და პატივისცემის მზერით ხვდებიან. თითქმის ნახევარს იმ ადამიანებისა, რომლებსაც მე ამ მოკლე დისტანციის გავლისას ვხვდები, ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი სახეები აქვთ, კარგი სახეები და, ამავე დროს, ჩემნაირი სახეები; ისინი ჩემი მსგავსი ხალხია – საიმედოები, მუყაითები, საქმიანები და არა ის დაუდგრომლები, გაბრწყინებული თვალებით, ისეთით, იმ ეგრეთ წოდებულ ჭკვიან ტიპებს რომ აქვთ, რომლებსაც სურთ ქვეყანა გადაყირაონ იმ თავიანთი ლეიბორისტული მთავრობებით, ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემებით და მსგავსი რაღაცებით. ასე რომ, როგორც ხედავთ, მე, ამ სიტყვის ნებისმიერი გაგებით, გარეუბანსა და ქალაქს შორის გამოკიდებული კმაყოფილი მგზავრი გახლა-

ვართ, თუმცა, ზუსტად გამოხატავდა კი ფრაზა „კმაყოფილი მგზავრი“ ჩემს მდგომარეობას? იმ დროს, როცა მე ის პატარა ავტობიოგრაფიული სკეჩი დავწერე, რომელიც თქვენ ცოტა ხნის წინ წაიკითხეთ და რომელიც მე ჩემი ოფისის თანამშრომლებს შორის მსურდა გამევრცელებინა, როგორც მოწოდება და მაგალითი – მასში მე ჩემი გრძნობების ჭეშმარიტი სურათი დავხატე; მაგრამ ეგ ერთი კვირის წინ იყო და მას შემდეგ სრულიად განსაკუთრებული რამ მოხდა. სინამდვილეში, ეს ისტორია გასულ სამშაბათს დაინყო, სწორედ იმ დილას, როცა მე ხსენებული ნაწარმოების „შავი ეგზემპლარი“ ელვაშესაკრავიანი ჯიბით ქალაქში მიმქონდა; და ეს ჩემთვის იმდენად დროული იყო და ყველაფერი ერთმანეთს ისე დაემთხვა, ვერ დავიჯერებ, რომ მასში ღმერთის ხელი არ ერია. ღმერთმა ჩემი პატარა ესე წაიკითხა და თავის თავს უთხრა: „ეს კაცი, პერკინსი, ზედმეტად თავდაჯერებული ხდება. დროა, მას გაკვეთილი ვასწავლო“-ო. გულწრფელად მჯერა, რომ ზუსტად ასე მოხდა. როგორც გითხარით, ეს გასულ სამშაბათს იყო, აღდგომის შემდგომ სამშაბათს, თბილი, ყვითელი გაზაფხულის დილას; მე ჩვენი პატარა საგარეუბნო სადგურის ბაქანზე მიდი-მოვდიოდი, იღლიაში ამოჩრილი „თაიმზით“ და ჯიბეში „კმაყოფილი მგზავრის“ შავი ეგზემპლარით, როდესაც შევამჩნიე, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო. რეალურად, უცებ შევიგრძენი ის უცნაური, ოდნავ უკმაყოფილო განწყობა, ჩემს თანამგზავრებს რომ დაუფლებოდათ. შევჩერდი და ირგვლივ მიმოვისედე. ზუსტად ბაქნის შუაგულში ვიღაც უცნობი იდგა, ფეხებგაჩაჩიხული და დოინჯშემოყრილი და გარშემომყოფთ ისე უყურებდა, თითქოს მთელი იმ ტერიტორიის ბატონ-პატრონი ბრძანებულიყო. მსხვილი, მკვრივი აგებულების კაცი იყო, რომელიც, უკნიდანაც კი ქედმალალი და პირფერი ადამიანის

ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებდა. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ის არ იყო ერთ-ერთი ჩვენგანი. ხელში, ქოლგის ნაცვლად, ხელჯოხი ეჭირა, შავი ფერის ფეხსაცმელების ნაცვლად, ყავის-ფერი ეცვა, თავზე ნაცრისფერი ქუდი სასაცილოდ გვერდზე ეხურა; მოკლედ, როგორც არ უნდა შეგხედათ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ, რომ ყველაფერი, რაც ეცვა, აბრეშუმივით ბზინავდა. ამაზე მეტად აღარ დავკვირვებივარ. პირდაპირ გვერდით ჩავუარე, თან ცაში ვიყურებოდი და, ვფიქრობ, ისედაც ცივ ატმოსფეროში ნამდვილი სუსზი შევიტანე.

მატარებელი მოვიდა. ახლა კი, თუ შეგიძლიათ, შეეცადეთ წარმოიდგინოთ, რა საშინელება განვიცადე, როცა ახალმოსული ჩემს კუპეში შემომყვა! ასეთი რამ ჩემთვის თხუთმეტი წელია არავის უქნია. ჩემი კოლეგები ჩემს ასაკს ყოველთვის პატივს სცემენ. ჩემთვის ერთ-ერთი პატარა, განსაკუთრებული სიამოვნებაა, როცა ჩემს ადგილზე მარტო ვზივარ, სანამ მინიმუმ ერთ ან ზოგჯერ ორ, ან სამ სადგურს არ გავივლი; და ა, ბატონო, ეს ბიჭი, ეს უცნობი, ჩემ წინ, სავარძელზე წამოჭიმული, ცხვირს იხოცავდა, „დეილი მირორს“ აშრიალებდა და საზიზლარ ჩიბუს უკიდებდა. გაზეთი ქვემოთ დავუშვი და მისი სახე მალულად შევათვალიერე. ის, ჩემი აზრით, დაახლოებით ჩემი ასაკისა იქნებოდა – სამოცდაორის ან სამოცდასამის, მაგრამ უსიამოვნოდ ლამაზი იყო. ყავისფერი, ტყავის მსგავსი სახე ჰქონდა, ისეთი, დღესდღეობით მამაკაცის პერანგების რეკლამებში რომ ვხვდებით – ლომებზე მონადირის, ცხენბურთელის, ევერესტის დამპყრიბის, ტროპიკებში მოგზაურის და მრბოლელი იახტსმენის – ეს ყველაფერი ერთ სახეში გაერთიანებული. მუქი წარბები, ფოლადივით ცივი თვალები, ჩიბუსის მუნდშტუკებში ჩასობილი ძლიერი თეთრი კბილები. პირადად მე არ

ვენდობი ლამაზ მამაკაცებს. მათ ზედ-მეტად ადვილად ეძლევათ ცხოვრების ზედაპირული სიამოვნებები და ამ ქვეყანაზე ისე დადიან, თითქოს საკუთარ კარგ გარეგნობას თავიანთ თავს უმაღლოდნენ. როცა ქალია ლამაზი, სანინა-ალმდევო არაფერი მაქვს. ეს სულ სხვა რამეა. მამაკაცში კი, ბოდიშს ვიხდი და, ეს თვისება აშკარად შეურაცხმყოფელია. ასეა თუ ისე, ის ვაგონში ზუსტად ჩემ წინ იჯდა და მე მას „თაიმზის“ ზევიდან ვაკვირდებოდი, როცა მან უცებთავი ასწია და ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

„ნინაალმდევი ხომ არ იქნებით, ჩიბუხი რომ მოვწიო?“ – მკითხა მან და ის ხელის თითებით მაღლა აწია. ეს იყო სულ, რაც მან თქვა, მაგრამ მისმა ხმამ ჩემზე მოულოდნელი და უცნაური ეფექტი მოახდინა. მგონი, შევხტი კი-დეც; შემდეგ რაღაცნარად გავქვავდი და დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში ვიჯექი და გაშტერებული ვუყურებდი, სანამ აზრზე მოვიდოდი და პასუხს გავცემდი.

– აქ მოწევა ნებადართულია, – მი-ვუგე მე. – ასე, რომ შეგიძლიათ ისე მოიქცეთ, როგორც გენებოთ.

– უბრალოდ, ვიფიქრე, ვკითხავ-მეთქი, – თქვა მან.

ისევ ის ხმა იყო, უცნაურად მჭახე, ნაცნობი ხმა, სიტყვებს რომ ანაწევრებს და ძალიან წვრილად და ძლიერად გარეთ აფურთხებს იმ სათამაშო ავტომატური იარაღის მსგავსად, უოლოს თესლებს რომ ისვრის. „ეს ხმა საიდან მეცნობა? სად მაქვს ადრე გაგონილი? რატომ არის, რომ მისი ყოველი სიტყვა თითქოს სადღაც, ღრმად, ჩემს მეხსიერებაში რომელი ძალიან წაწანინა, სათუთ ადგილს ხვდება? ღმერთო ჩემო!“, – ვფიქრობდი ჩემთვის. – „თავი ხელში აიყვანე. ეს რა აბსურდია?“

უცნობი თავის გაზეთს მიუბრუნდა. მეც თავი მოვიკატუნე, რომ იმავეს ვაკეთებდი, მაგრამ ამჯერად ისე ვიყავი

დაბნეული, რომ ყურადღების კონცენტრირებას ვერ ვახერხებდი და უცნობს სარედაქციო გვერდის ზევიდან მაღულად ვაკვირდებოდი. მართლაც, აუტანელი სახე იყო, ვულგარულად, თითქმის ავხორცულად ლამაზი; მთელი კანი ცხიმიანი, გარყვნილი ბზინვარებით მოლაპლაპე. მართლა მყავდა თუ არ მყავდა ის ადრე ნანასი? დავფიქრდი და დავასკვენი, რომ მყავდა, რადგან ახლაც კი, როცა მას ვუცქერდი, განსაკუთრებულ დისკომფორტს განვიცდი-დი, რომელსაც ბოლომდე სიტყვებით ვერ ავხსინი – ისეთს, რაც ტკივილთან, ძალადობასა და, შეიძლება, შიშთანაც კი არის დაკავშირებული. მგზავრობის დროს არც ერთი ხმას არ ვიღებდით, მაგრამ ფაქტი იყო, რომ მთელი ჩემი რუტინა ხუსულასავით ჩამოიშალა. ის დღე ჩამწნარდა, რაც, პირველ რიგში, ჩემს გუნება-განწყობილებაზე აისახა – იმ დღეს, ჩემი მომეტებული ენაგეს-ლიანობა ბევრმა ჩემმა თანამშრომელმა საკუთარ თავზე გამოცადა, განსაკუთრებით ლანჩის შემდეგ, როცა საჭმლის მონელების პრობლემებმაც შემომიტია.

მეორე დილას, ის ისევ იქ ბრძანდებოდა. შუაგულ ბაქანზე დაყუდებულიყო თავისი ხელჯონით, ჩიბუხით, აბრეშუმის შარფით და გულისამრევად ლამაზი ფიზიონომით. გვერდით ჩავუარედა ვინმე ბატონ გრამიტს მივუახლოვ-დი, ბირჟის მაკლერს, რომელიც აგერ უკვე ოცდარვა წელი იყო, რაც ამ მატარებლით ჩემთან ერთად მგზავრობდა. ვერ ვიტყვი, რომ მასთან ოდესმერეალურად რამეზე მესაუბრა – ჩვენ, ამ სადგურის მგზავრები, თავშეკავებული ხალხი ვართ, მაგრამ, როგორც წესი, მსგავსი კრიზისი ყინულს ალლობს.

– გრამიტ, – გადავურჩულე მე. – ვინ არის ეს უტიფარი?

– მომკალი, თუ ვიცოდე. – ძალიან არასასიამოვნო ვინმეა. – ძალიან. მგონი, ჩვენიანი არ უნდა იყოს.

— ო, ღმერთო! — ამოიოხრა გრამიტ-
მა.

შემდეგ, მატარებელი მოვიდა. ამჯე-
რად, ჩემდა სანუგეშოდ, უცნობი სხვა
კუპეში შევიდა, მაგრამ მეორე დილით
ისევ მასთან ერთად ყოფნის პატივი
მერგო.

— ესეც ასე, — თქვა მან და ჩემ მო-
პირდაპირე სავარძელზე გადაწვა. — ჩი-
ნებული დღეა, — თქვა და კიდევ ერ-
თხელ ამეშალა უხერხული მოგონებები;
ამჯერად უფრო ძლიერი, ვიდრე ადრე;
თითქოს ყველაფერი ზედაპირზე ტივ-
ტივებდა, მაგრამ ჯერ კიდევ ხელით
ვერ ვწვდებოდი.

შემდეგ პარასკევიც დადგა, კვირის
ბოლო დღე. მახსოვს, სადგურისკენ
რომ მივდიოდი, წვიმდა; აპრილის თბი-
ლი, შხაბუნა წვიმა იყო, სულ ხუთი ან
ექვსი წუთი რომ გრძელდება, მაგრამ,
როცა ბაქანზე ფეხი შევდგი, ყველა
ქოლგა უკვე დაკეცილი დამხვდა, კაშ-
კაშა მზე ანათებდა და ცაზე უზარმაზა-
რი თეთრი ღრუბლები დაცურავდნენ.
დათრგუნული ვიყავი. ეს მგზავრობა
უკვე არანაირ სიამოვნებას აღარ მანი-
ჭებდა. ვიცოდი, რომ უცნობი იქ იქნე-
ბოდა. მართლაც ასე მოხდა, ის ისევ იქ
იყო, ისევ ისე ფეხებგაფარჩხული იდგა,
იქაურობის ბატონ-ბატრონივით; ამჯე-
რად ხელჯოხს ჰაერში წინ და უკან და-
უდევრად აქნევდა.

„ხელჯოხი! ეგ არის!“ — ტყვიანაკრა-
ვივით ერთ ადგილზე გავქვავდი.

— ფოქსლია! — აღმომხდა ჩემდაუნე-
ბურად.

ახლოს მივედი, უკეთ რომ შემეთვა-
ლიერებინა. დამიჯერეთ, ჩემს სიცოც-
ხლები მსგავსი შოკი არ განმიცდია.
ნამდვილად ის იყო, ფოქსლი, ბრუს
ფოქსლი, ანუ დამთხვეული ფოქსლი,
როგორც ჩვენ მას ვეძახდით. ბოლოს
როდის ვნახე? — მაცადეთ, გავიხსენო —
ხო, სკოლაში, მაშინ მხოლოდ თორმეტი
ან ცამეტი წლის თუ ვიქნებოდი.

ამ დროს, მატარებელი მოვიდა;

ღმერთს შევთხოვდი, ჩემს კუპეში არ
შემოსულიყო, მაგრამ ამაოდ. ქუდი და
ხელჯოხი თაროზე ჩამოდო, შემობრუნ-
და, დაჯდა და ჩიბუს მოუკიდა. თუ-
თუნის კვამლში მისი საკმაოდ წვრილი
ცივი თვალები მომაპყრო და თქვა:

— გადასარევი დღეა, არა? როგორც
ზაფხულში, ისეა.

შეუძლებელი იყო, მისი ხმა სხვა
ხმაში აგრეოდა. საერთოდ არ იყო შეც-
ვლილი, მაგრამ რის მოსმენასაც მისგან
ადრე ვიყავი მიჩვეული, იმაზე, რა თქმა
უნდა, აღარ საუბრობდა.

„კარგი, პერკინს, კარგი, შე საძა-
გელო ბიჭუნაც. კიდევ ერთხელ გაგ-
ტყიბავ“, — ჩამესმა ყურში მისი ხმა.
რამდენი ხნის წინ იყო ეს? ალბათ, და-
ახლოებით ორმოცდაათი წლის წინ. სა-
ოცარია, რომ ის თითქმის არ შეცვლი-
ლა. ისევ ისე ქედმაღლურად წინ გამო-
წეული ნიკაპი, დაბერილი ნესტოები,
ძალიან წვრილი და ახლო-ახლოს ჩამ-
ჯდარი ზიზღით მომზირალი თვალები;
იგივე ჩვევები — სახის ახლოს მოტანა,
გზის გადაღობა, კუთხეში მომწყვდე-
ვა; თმაც კი მახსოვს მისი — უხეში, ოდ-
ნავ ტალღოვნი, აქა-იქ ზეთნასმული,
კარგად შეზავებული სალათივით. მახ-
სოვს, ის თავის კაბინეტში, ტრილიაუ-
ზე ბოთლით თმების მოსავლელ რაღაც
მწვანე ხსნარს ინახავდა (როცა გაიძუ-
ლებენ ოთახი დაალაგო, რაც იმ ოთახ-
შია, ნელ-ნელა ყველაფერს სწავლობ
და ყველაფერი გზიზღდება), რომლის
იარლიყზეც სამეფო გერბი და ბონდ
სტრიტზე მდებარე მაღაზიის სახელწო-
დება იყო გამოსახული, ხოლი მის ქვეშ
კი წვრილი შრიფტით ეწერა — „მისი
უდიდებულესობის, მეფე ედუარდ VII-
ის პარიკმახერები“. ეს ფაქტი განსა-
კუთრებულად მახსოვს, რადგან ძალიან
სასაცილო იყო, როცა მაღაზიას მეტი
არაფერი ჰქონდა სატრაპახო, გარ-
და იმისა, რომ მისი პარიკმახერი იყო,
ვინც პრაქტიკულად მელოტი გახლდათ
— ანუ მონარქის.

ახლა კი ვიჯექი და ვუყურებდი, სავარძელში გადაწოლილი ფოქსი გაზეთს როგორ კითხულობდა. უცნაური შეგრძნება დამტუფლა – მხოლოდ ერთი იარდი მაშორებდა კაცს, რომლის გამოც ორმოცდათი წლი წინ თავს იმდენად უბედურად ვგრძნობდი, რომ ერთხელ თვითმკვლელობაც კი გავიფიქრე. ფოქსლიმ ვერ მიცნო; ამის საშიშროება აღარ არსებობდა, რადგან დიდი ხანია ულვაშს ვატარებდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ მხრივ საფრთხე აღარ მემუქრებოდა, ამიტომ, შემებლო მშვიდად ვმჯდარიყავი და მისთვის თვალი მედევნებინა.

ვიხსენებ და დიდი ხანია ეჭვიც აღარ მეპარება, რომ სკოლის პირველ კლასში სწავლის დროს ბრუს ფოქსლის ხელში საშინელი ტანჯვა-წამება გავიარე; და, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეწვენოთ, ამ ყველაფრის უნებური მიზეზი მამაჩემი იყო. თორმეტწლი-ნახევრისა გახლდით, იმ ძველ შესანიშნავ კერძო სკოლაში რომ მიმიყვანეს. ეს, თუ არ ვცდები, 1907 წელს იყო. მამაჩემმა, რომელსაც სურთუკი ეცვა და აბრეშუმის ცილინდრი ეხურა, სადგურამდე მიმაცილა. მახსოვს, ბაქანზე როგორ ვიდექით ხის ზარდახშებსა და ჩემოდნებს შორის და როგორ ირეოდა ჩენ ირგვლივ ათასობით ახმახი ჭაბუკი. ისინი ერთმანეთის გადაძახილში იყვნენ, როცა ვიღაც, ვისაც ჩევნოთვის გვერდის ავლა უნდოდა, მამაჩემს უკნიდან ძლიერად დაეჯახა და კინაღამ წააქცა. მამაჩემი, რომელიც ტანმორჩილი, ზრდილობიანი, ღირსეული კაცი იყო, საოცარი სისწრაფით მიტრიალდა და დამნაშავეს მაჯაში სწვდა.

– ახალგაზრდავ, ამ სკოლაში უკეთეს მანერებს არ გასწავლიან? – უთხრა მან.

ბიჭმა, რომელიც მამაჩემზე ერთი თავით მაღალი მაინც იყო, მას ზევიდან მისი ცივი, ქედმაღალი, დამცინავი თვალებით გადმოხედა, მაგრამ არაფე-

რი უთქვამს.

– მგონი, ბოდიშის მოხდა უადგილო არ იქნებოდა, – განაგრძო მამაჩემმა.

ბიჭი მამაჩემს ისევ ცხვირის ზევიდან უყურებდა, წინ გამოშვერილი ნიკაპით და ტუჩის კუთხეებში ოდნავ დამცინავი, ქედმაღლური ღიმილით.

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თავხედი და ცუდად ალბრდილი ყმანვილი ხარ, – თქვა მამაჩემმა. – შემიძლია მხოლოდ ვილოცო, რომ ამ სკოლაში შენაირი ბევრი არ აღმოჩნდეს. არ ვისურვებდი, რომ რომელიმე ჩემმა ვაჟმა მოგბაძოს.

ამ დროს ბიჭმა სახე ოდნავ მოაბრუნა და მისი ცივი, გამჭოლი და ქედმაღლური მზერა ჩემკენ გადმოიტანა. მაშინ დიდად არ შემშინებია, რადგან ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდი კერძო სკოლებში უფროს სკლასელების მხრიდან უმცროს კლასელების ძალაუფლებაზე. ამიტომ, მახსოვს, მას პირდაპირ თვალებში შევხედე. მე ეს, უპირველეს ყოვლისა, მამაჩემის მხარდასაჭერად გავაკეთე, ვისაც ვეთაყვანებოდი და პატივს ვცემდი. როცა მამაჩემმა კიდევ რაღაცის თქმა დაბირა, ბიჭი უბრალოდ შეტრიალდა და ბაქანზე შეგროვილ ბრბოს შეერია. ბრუს ფოქსლის არასდროს დავიწყებია ეს ეპიზოდი, მაგრამ ყველაზე მეტად იმიტომ არ გამიმართლა, რომ, როცა სკოლაში ჩავედი, აღმოვაჩინე, სკოლის დირექტორის საცხოვრებლად იმ ბიჭთან ერთად, ერთ სახლში გავუმწესებივარ. ეს კიდევ არაფერი – მე მის კაბინეტში მეძინა. ფოქსლი ბოლო კლასს ამთავრებდა და, იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც უფროს კლასელი, ის მამასახლისად იყო დანიშნული, ანუ „პრეფექტ ბოუზერად“, როგორც ჩენ მას ვეძანდით, მას ოფიციალური უფლება ჰქონდა, სახლში მცხოვრები ნებისმიერი უმცროს სკლასელი ხელის ბიჭი გაელახა. ვინაიდან მე მის კაბინეტში ვცხოვრობდი, ავტომატურად მისი საკუთარი ნივთი, მისი პირადი მონა გავხდი. მე

ვიყავი მისი მსახურიც, მზარეულიც, მოახლეც და კურიერიც და ჩემი მთავარი მოვალეობა ის იყო, რომ მას თითოს განძრევა არ დასჭირებოდა, თუ ამის აბსოლუტური აუცილებლობა არ დადგებოდა.

არსად, მსოფლიოს არც ერთ ჩემ-თვის ცნობილ საზოგადოებაში არ არის მოსამსახურე ისე დაკაბალებული, როგორც ჩვენ, უბედური პატარა უმცროს-კლასელი ხელის ბიჭები ვიყავით ჩვენი ეგრეთ წოდებული მამასახლისების მიერ. ყოველ დილით, საუზმის შემდეგ, ყინვიან და თოვლიან ამინდშიც კი იძულებული ვიყავი ვმჯდარიყავი უნიტაზის საჯდომზე (რომელიც გარეთ, გაუთბობელ სათავსოში იყო მონცობილი), რათა ის ფოქსლის მოსვლამდე გამეთბო.

მახსოვს, როგორ დააბიჯებდა ის ოთახში დინჯად, უზრუნველად, მოხდენილად და, თუ გზაზე სკამი შეხვდებოდა, როგორ ჰქონდა მას ფეხს და მოისვრიდა გვერდზე; მე კი ამ დროს დაუყონებლივ უნდა მივვარდნილიყავი და ამეღლ იგი. ის აბრეშუმის პერანგებს იცვამდა და სახელოს შიგნით მუდამ აბრეშუმის ცხვირსახოცს იდებდა; ფეხსაცმელებს ვინმე ლობი უკერავდა (ისიც სამეფო გერბს ატარებდა), წვეტიანი ფეხსაცმელები იყო, რომლებსაც ყოველ დღე თხუთმეტი წუთის განმავლობაში ძვლით ვაპრიალებდი; მაგრამ ჩემი ყველაზე ცუდი მოგონებები გასახდელ ოთახს უკავშირდება. ახლაც გარკვევით ვხედავ საკუთარ თავს – პატარა, ფერნასული, კრევეტივით ბიჭი დგას ფოქსლის უზარმაზარი ოთახის კარებში, ტანზე პიჟამო და აქლემის ბეწვის ხალათი აცვია, ფეხზე კი საშინაო ფლოსტები. ჭერზე ერთადერთი ელეტრონათურა კიდია დრეკად შნურზე, ირგვლივ მთელ კედლებზე კი შავი და ყვითელი ფერის ფეხბურთის მასურები, რომელთა ოფლიანი სუნით ყარდა მთელი ოთახი; და ფოქსლის

წყვეტილი, რადიოსიგნალივით მკვეთრი და მკივანა ხმით დაძახილი: „აბა, ამჯერად რომელი გირჩევნია? ექვსი ხალათში თუ ოთხი ხალათგახდილი?“ ვერასდროს ვახერხებდი მის ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. უბრალოდ, ვიდექი და გაშტერებული მივჩერებოდი ჭუჭყან იატაკის ფიცრებს; შიშისგან თავპრუ მეხვოდა და სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობდი, გარდა იმისა, რომ ის აყლაყუდა ბიჭი მალე ჩემ ცემას შეუდგებოდა თავისი, გრძელი, წვრილი, თეთრი ჯოხით, აუჩქარებლად, მეცნიერულად, ოსტატურად, კანონიერად და აშკარა კმაყოფილების გრძნობით, იქამდე, სანამ არ დამასისხლიანებდა. იქამდე დაახლოებით ხუთი საათით ადრე ფოქსლის კაბინეტში ბუხარი უნდა დამენთო, მაგრამ ჩავფლავდი. მთელი ჩემი ჯიბის ფული ერთ კოლოფ სპეციალურ ბუხრის სანთებელებზე დავხარჯე; საკვამურის ხვრელთან გაზეთი მეჭირა, უფრო კარგი გაწევა რომ ჰქონდა; ბუხრის წინ დაჩიოქილი ცხაურის ფსკერს სულს ნაწლავების გასკდომამდე ვუბერავდი, მაგრამ ნახშირი მაინც არ ინთებოდა.

– ჯიუტად არ მპასუხობ, – გაისმა ფოქსლის ხმა. – მაშინ, იძულებული ვარ, შენ ნაცვლად თვითონ გადავწყვიტო.

საშინლად მინდოდა, რამე მეპასუხა; თვითონაც კარგად ვიცოდი, რომელი ვარიანტი უნდა ამერჩია. პირველი, რაც უნდა ისწავლო, როცა სკოლაში მოდისარ, ის არის, რომ არასდროს არ უნდა გაიხადო ხალათი; გირჩევნია, ზედმეტი როზგები დაირტყა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარწმუნებული იყავი, რომ ჭრილობებს ვერ გადაურჩები. ნებისმიერ შემთხვევაში, გერჩევნოს სამი დაგარტყან და გეცვას, ვიდრე ერთი და არ გეცვას.

– მაშინ, გაიხადე, იმ კუთხეში დადექი და ხელებით ფეხის თითებს შეეხე. ოთხს დაგარტყან და გეცვას, ვიდრე ერთი და არ გეცვას.

ვიხდიდი და ფეხსაცმლის კარადის თავზე ვდებდი. შემდეგ, ისევე ნელ-ნელა კუთხისკენ მივდიოდი, გაყინული და ბამბის პიჟამის ამარა, ჩუმი ნაბიჯებით და უცებ ირგვლივ ყველაფერი ხდებოდა კაშკაშა, ბრტყელი და შორეული, როგორც ჯადოსნური ლამპრის სურათი და ძალიან დიდი და ძალიან არარეალური, ჩემს თვალში თითქოს ყველაფერი წყალში ცურავდა.

— მიდი, შეეხე შენს ფეხის თითებს. უფრო მეტად, უფრო მეტად.

შემდეგ, ის გასახდელის ოთახის სულ ბოლოში მიდიოდა; მე მას ვხედავ-დი ამოყირავებულს ჩემს ფეხებს შორის, როგორ ეშვებოდა კარიდან ორი კიბის საფეხურით ქვევით და ჩვენ მიერ ეგრეთ წოდებული ხელსაბანების დერეფანში როგორ შედიოდა, რომელიც, სინამდვილეში, ქვის იატაკიანი დერეფანი იყო ცალი კედლის გასწვრივ ჩალაგებული ხელსაბანებით და აბაზანას უერთდებოდა. როცა ფოქსლი ამ მდგომარეობაში მტოვებდა, ყოველთვის ვიცოდი, რომ მას გეზი ხელსაბანების დერეფანისკენ ეჭირა. ის მუდამ ასე იქცეოდა. ახლა ის ჩემგან საკმაოდ შორს იყო, მაგრამ ხელსაბანებიდან და ქვის ფილებიდან გამოტყორცნილი ხმა-მაღალი ექის მიხედვით მესმოდა მისი ფეხსაცმელების ხმა ქვის იატაზე, როცა უკვე უკან დაოთხილი გამორბოდა. ჩემს ფეხებს შორის კი ვხედავდი, როგორ ამოირბენდა ხოლმე კიბის ორ საფეხურს და ისევ გასახდელ ოთახში შემორბოდა ჩემკენ, ნინ გამოწული ნიკაპითა და მაღლა ანეული ჯოხით. იმ წუთას თვალებს ვხუჭავდი გატკაცუნების მოლოდინში და საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო, წელში არ უნდა გავმართულიყო. თუ კი ვინმე ოდესმე კარგად გაუჯოხიათ, გეტყვით, რომ ნამდვილი ტკივილი მხოლოდ დარტყმიდან რვა-ათი წუთის შემდეგ იწყება. თვითონ დარტყმა უბრალოდ ხმამაღალი გატკა-

ცუნებაა და უკანა მხარეზე ყრუ დარტყმის ხმა, რომელსაც საერთოდ ვერ გრძნობ (როგორც მითხრეს, ტყვიით მიყენებული ჭრილობის შემთხვევაშიც ასეა); მაგრამ მოგვიანებით, ღმერთო დაგვიფარე, ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს ვიღაცამ წითლად გავარვარებული საცეცხლური დაგადო შიშველ დუნდულებზე და აბსოლუტურად შეუძლებელია, რომ თავი შეიკავო, ხელი უკან არ წაიღო და დარტყმის ადგილზე არ მოიკიდო. ფოქსლიმ კარგად იცოდა ამ ნაგვიანები რეაქციის შესახებ; ამიტომ, სანამ ის ყოველი დარტყმის შემდეგ უკან ნელი ნაბიჯით გარკვეულ მანძილს გამოირბენდა, რომელიც, ალბათ, მაქსიმუმ თხუტმეტი იარდი თუ იქნებოდა, ტკივილი ნელ-ნელა პიკს აღწევდა, სანამ ის მორიგ დარტყმას არ მოგაყენებდა. გამორიცხული იყო, რომ მეოთხე დარტყმაზე წელში არ გავმართულიყავი. სხვანაირად არ შემეძლო. ეს იყო ავტომატური დამცავი რეაქცია სხეულისა, რომელიც იმდენს უძლებდა, რამდენის ატანაც შეეძლო.

— შენ ისევ თავი აარიდე, — მეტყოდა ხოლმე ფოქსლი. — ეს არ ითვლება. მიდი, თავიდან წაიხარე.

ამჯერად, ფეხის კოჭებისთვის ხელების წავლება აღარ მავინდებოდა.

საქმეს რომ მორჩებოდა, თვალს მაყოლებდა, როგორ მივდიოდი — ახლა უკვე წელისათრევით და უკანალზე ხელებმოკიდებული — ხალათის ჩასაცმელად, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი ზურგით შევპრუნებულიყავი, რომ მას ჩემი სახე არ დაენახა, და როგორც კი ოთახიდან გავიდოდი, ის უკან მომაყოლებდა:

— ჰეი, შენ! დაბრუნდი!

უკვე ხელსაბანების დერეფანში შესული, გავჩერდებოდი და კარებში ვიდექი და ვუცდიდო.

— აქ მოდი. აქ მოდი-მეთქი, ჩქარა. რამე ხომ არ დაგავინყდა?

ერთადერთი, რაზეც მაშინ შემეძლო

მეფიქრა, იყო აუტანელი მწველი ტკი-ვილი უკანა მხარეს.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თავხედი და ცუდად გაზრდილი ყმანვილი ხარ, — მეტყოდა ხოლმე ფოქსლი მამაჩრდილის ხმის მიბაძვით. — ამ სკოლაში ამაზე უკეთეს მანერებს არ გასწავლიან?

— მადლობა... — ამოვილუღლუღები ხოლმე მე. — მადლობა... რომ გამროზგე.

შემდეგ ბნელი კიბებით უკან, საძინებელ ოთახში ვბრუნდებოდი და თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობდი, ვიდრე ცოტა ხნით ადრე, რადგან ყველაფერი დასრულებული იყო და ტკივილი იკლებდა; სხვები კი ჩემ ირგვლივ შეგროვილიყვნენ და რაღაცნაირი უხეში თანაგრძნობით მეპყრობოდნენ, რომელიც მათი პირადი მრავალჯერადი წარსული გამოცდილებით იყო ნასაზრდოები.

— ჰეი, პერკინს, მოდი ერთი შევხედოთ.

— რამდენი მოგხვდა?

— ხუთი, ხო? აქედანაც კარგად გვესმოდა ყველაფერი.

— კარგი ახლა, გეყოფა. მოდი, ნიშნები ვნახოთ.

მეც პიუამოს ჩავინევდი და ვიდექი, სანამ ეს ექსპერტთა ჯგუფი დაზიანებებს მთელი სერიოზულობით ამოწმებდა.

— საქმაოდ შორი-შორსაა, არა? ფოქსლი ჩვეულებრივ სტანდარტებში მთლად ვერ ჯდება.

— ეს ორი ახლოსაა ერთმანეთთან. ფაქტობრივად, ერთმანეთის გვერდიგვერდ. შეხედე, ეს ორი რა მშვენიერია!

— ეგ, დაბალა როა, საზიზლრად დაურტყამს.

— ქვემოდან, ხელსაბანების დერეფ-

ნიდან გამოექანებოდა, ალბათ, არა?

— ზედმეტი ჯოხი თავის არიდების-თვის მოგხვდა, ხომ?

— ღმერთმანი, როგორ ჩანს, ბებერ ფოქსლი შენზე ძალიან გარჯილა.

— ცოტა სისხლიც გდის. გირჩევნია, მოიბანო.

შემდეგ უცებ კარის გაღება და ფოქსის შემოსვლა ერთი იყო და ყველანი დაიფანტებოდნენ; ზოგი ვითომ კბილის გამოსაწმენდად მიდიოდა, ზოგიც კიდევ ლოცვების წასაკითხად, მე კი ვიდექი ასე შეუართხოების, შარვალჩახდილი.

— რა ხდება აქ? — იკითხავდა ფოქსი და წამიერად მზერას თავის ქმნილებას მიაპყრობდა. — შენ გეუბნები, პერკინს! პიუამო წესიერად ჩაიცვი და წადი, დაიძინე.

ასე მთავრდებოდა დღე. მთელი კვირა ისე ჩაივლიდა, ჩემთვის სხვა რამის-თვის ერთი წუთიც კი არ მქონდა. თუ ფოქსლი დამინახავდა, რომ კაბინეტში რაიმე წოველას ვკითხელობდი ან ჩემი მარკების ალბომის დათვალიერებით ვიყავი გართული, უმაღვე რაიმე საქმეს გამომიჩენდა. აი, მაგალითად, ეს მისი ყველაზე საყვარელი ფრაზა იყო, განსაკუთრებით თუ გარეთ წვიმდა:

— ოპ, პერკინს, ვფიქრობ, ჩემს სამუშაო მაგიდას ველური ზამბახების თაიგული დაამშვენებდა, არა?

ველური ზამბახი მხოლოდ ეგრეთ წოდებული ფორთოხლების ტბორის ირგვლივ იზრდებოდა, ფორთოხლების ტბორი კი გზით ორი მილის და მინდვრების გავლით ნახევარი მილის სავალ მანძილზე მდებარეობდა. რა უნდა მექნა, სკამიდან წამოვდგებოდი, ჩემს საწვიმარს მოვიცვამდი, ჩალის ქუდს დავიხურავდი, ხელში ქოლგას, ჩემს ბროლის¹ დავიჭრდი და გრძელ

¹ ბროლი — ქოლგის სახელი სლენგის ენაზე, რომელიც გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და კენიაში. ინგლისური სიტყვის umbrella (ქოლგა) შემოკლებული ვარიანტი.

გზას მარტოდმარტო შევუყვებოდი. ჩალის ქუდის გარეშე გარეთ გასვლა არ შეიძლებოდა, მაგრამ ის წვიმაში ადგილად ფუჭდებოდა; ამიტომ, მის დასაცავად ქოლგაც უნდა გეტარებინა. მეორე მხრივ, შეუძლებელია თავს ზევით ქოლგა გჭეროდა და თან ზამბახების საძებრად ტყიან ნაპირზე გეცოცა; ამიტომ, ქუდი რომ არ გაფუჭებულიყო, სანამ ყვავილებს ვეძებდი, ქუდს მიწაზე, ქოლგის ქვეშ ვტოვებდი. ვინ იცის, ამ ყვავილების ძებნაში რამდენჯერ გვცივებულვარ; ყველაზე საშინელი დღე მაინც კვირა იყო. კვირა დღეები ფოქსლის კაბინეტის დასალაგებლად იყო გამოყოფილი; არასდროს დამავიწყდება იმ ადრეული კვირა დღეების საშინელებები – გაშმაგებული, მტვრის წმენდა და ხეხვა; შემდეგ კი ფოქსლის ლოდინი, როდის ინებებდა მოსვლას შესამოწმებლად.

- მორჩი? – მკითხავდა ხოლმე ის.
- მგონი... კი.

ის ზლაზვნით მიუახლოვდებოდა თავის სამუშაო მაგიდას, გამოაღებდა ერთ-ერთ უჯრას, იქიდან ამოაძვრენდა ცალ თეთრ ხელთათმანს და აუჩქარებლად იწყებდა მარჯვენა ხელზე ჩაცმას; ხელთათმანს თითოეულ თითზე ნელა და გულდასმით ისწორებდა; ამ დროს, მე შორიახლოს ვიდექი და კანკალით ვადევნებდი თვალს, როგორ დაბორიალობდა ოთახში და თეთრხელთათმანიან საჩვენებელ თითს სურათების თავზე, პლინტუსებზე, თაროებზე, ფანჯრის რაფებსა და აბაზურებზე როგორ უსვამდა. ის თეთრხელთათმანიანი თითი, საბრალდებლო განაჩენივით, სულ თვალნინ მედგა. ფოქსლი მუდამ ახერხებდა თუნდაც სულ პანაზინა ღრიფო ეპოვა, რომელიც, ალბათ, ან გამომრჩადა, ან საერთოდ არ შემინიშნავს; და, როცა ასეთი რამე ხდებოდა, ის ნელნელა შემოტრიალდებოდა, ბაგეზე იმ მისი ავისმომასწავებელი ღიმილით, ღიმილსაც რომ ვერ დაარქმევდი და

ხელთათმანიან თითს მაღლა ასწევდა ისე, რომ საკუთარი თვალით დამენახა თითის ცალ გვერდს აყოლილი მტვრის წვრილი ზოლი.

– ნამდვილი უქნარა პატარა ბიჭი ხარ? ხომ ასეა?

პასუხი არ ისმოდა.

– ხომ ასეა-მეთქი?

– მეგონა, რომ მტვერი ყველგან გადავწმინდე.

– ხარ, თუ არ ხარ საძაგელი უქნარა ბიჭუკელა?

– დდდიახ.

– მაგრამ განა მამაშენს უნდოდა, ასეთი რომ გამოსულიყავი? მამაშენი ხომ განსაკუთრებით მომთხოვნია ქცევის წესების მიმართ? ასე არ არის?

პასუხი ისევ არ ისმოდა.

მე შენ გეკითხები, არის თუ არა მამაშენი განსაკუთრებით მომთხოვნი ქცევის წესების მიმართ.

– აააალბათ.... კი.

– მაშინ, გამოდის, რომ მე მას გარკვეულ სამსახურს გავუნივ, თუ დაგსვი, არა?

– არ ვიცი.

– მითხარი, ხომ ასეა?

– დდდიახ.

– მაშინ, მოგვიანებით შევხვდებით გასახდელში, ლოცვების შემდეგ.

დღის დარჩენილი ნაწილი საღამოს ლოდინის აგონიაში გადიოდა. ო, ღმერთო, რა მწარედ მახსენდება ეს ყველაფერი ახლა. კვირა ჩემთვის წერილის წერის დღეც იყო. „ძვირფასო დედა და მამა... დიდი მადლობა თქვენი წერილისათვის. იმედია, ორივე კარგად ხართ. მეც კარგად ვარ, გარდა იმისა, რომ გაციებული ვარ, რადგან წვიმაში მოვხვდი, მაგრამ მალე გამივლის. გუშინ შრუსბერის ვეთამაშეთ და 4-2 მოვუგეთ. მე მაყურებლებში ვიჯექი, მაგრამ, სამაგიეროდ, ფოქსლიმ, რომელიც, როგორც იცი, ჩვენი სახლის თავია, ოთხი გოლი გაიტანა. ნამცხვრისთვის დიდი მადლობა. სიყვარულით, უილიამი“.

წერილის დასაწერად, როგორც წესი, საპირფარეშოში გავდიოდი ან საკუჭნაოში, ან კიდევ სააბაზანოში, ნებისმიერ ადგილას, სადაც ფოქსლის თვალი ვერ მხედავდა; მაგრამ დრო უნდა მეკონტროლებინა. ჩაის დრო ხუთის-ნახევარზე იყო და ამ დროისთვის ფოქსლის ტოსტები მზად უნდა ყოფილიყო. ფოქსისთვის ყოველ დღე ტოსტების მომზადება ჩემს მოვალეობაში შედიოდა. ვინაიდან უქმე დღებში კაბინეტებში ცეცხლის დანთება აკრძალული იყო, ყველა უმცროსეული ხელის ბიჭი, რომლებიც თავიანთი სახლების მამასახლისებისთვის ტოსტებს ამზადებდნენ, ტოსტინგ-ჩანგლებით ხელში ბიბლიოთეკაში დანთებული პანაზინა კოცონის ირგვლივ იკრიბებოდნენ და ტოსტინგ-ჩანგლებით ხელში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად ხელჩართული ბრძოლა ჰქონდათ გამართული. მიუხედავად ასეთი პირობებისა, მე უნდა მეზრუნა იმაზე, რომ ფოქსლის ტოსტი ყოფილიყო (1) ხრაშუნა, (2) არ დამწვარიყო, (3) არ გაცივებულიყო და ზუსტად თავის დროზე ყოფილიყო მზად. ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი რომელიმე მოთხოვნის შეუსრულებლობა „ფიზიკურად დასჯად დანაშაულად“ ითვლებოდა.

- ეი, შენ! ეს რა არის?
- ტოსტია.
- შენ ტოსტი მართლა ასე წარმოგიდგენია?
- იცით...
- შენ ისეთი ზარმაცი ხარ, რომ მისი წორმალურად გაკეთებაც კი გეზარება, არა?
- ყველანაირად ვცდილობ, წორმალურად გამომივიდეს.
- იცი, რას უშვრებიან ზარმაც ცხენს, პერკინს?
- შენ ცხენი ხარ?
- არა, შენ ვირი ხარ... ჰა, ჰა. გავხარკიდეც. მოგვიანებით გნახავ.
- ოჱ, იმ დღეების აგონია. ფოქსლის

ტოსტის დაწვა „ფიზიკურად დასჯადი დანაშაულის“ ტოლფასი იყო. იგივე ხდებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ფოქსლის ტალახიანი ფეხბურთის ბუცების განმენდა დაგავიწყდებოდა ან როცა ფოქსლის ფეხბურთის ფორმის გაფენა დაგავიწყდებოდა, ან როცა ფოქსლის ქოლგას არასწორი მხრით დაკეცავდი, ან როცა ფოქსლის კაბინეტის კარზე მაშინ დაუკაუნებდი, როცა ის მუშაობდა, ან როცა ფოქსლის მომზადებული აბაზანა მისთვის ზედმეტად ცხელი იყო, ან როცა ფოქსლის მეორე ხელიდან ნაყიდი სპორტული ფორმის ლილები კარგად არ იყო გაწმენდილი, ან როცა ფოქსლის ფეხსაცმელი კარგად არ პრიალებდა, ან როცა ფოქსლის კაბინეტი სათანადოდ არ იყო დალაგებული. სინამდვილეში, ყველაფერში, რაც ფოქსლის შეეხებოდა, მე, ფაქტობრივად, მთლიანად ფიზიკურად დასჯადი დამნაშავე გახლდით.

ფანჯრიდან გავიხედე. ღმერთო ჩემო, თითქმის მოვსულვართ. მთელი ამ დროის მანძილზე ამ ზმანებებში ვყოფილვარ და ჩემი „თამიზი“ არც კი გადამიშლია. ფოქსლი ისევ ისე იყო გადაწმოლილი ჩემ პირდაპირ, კუთხის სავარძელში და თავი „დეილი მირორში“ ჰქონდა ჩარგული; მე გაზეთის ზევიდან, მისი ჩიბუზის ლურჯი კვამლის ღრუბლებში მისი სახის ნახევარს ვხედავდი – მის წვრილ, მოელვარე თვალებს, დანაოჭებულ შუბლს, ტალღოვან, ოდნავ ცხიმიან თმას. ახლა, ამდენი წლის შემდეგ, მისი ყურება განსაკუთრებული და საკმაოდ ამაღლელვებელი გრძნობა იყო. ვიცოდი, რომ ის არანაირ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა, მაგრამ ძველი მოგონებები მაინც არ მტოვებდნენ და მისი თანდასწრებით თავს მთლად კომფორტულად ვერ ვგრძნობდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქმის მოთვინიერებულ ვეფხვთან ერთად ერთ გალიაში ვიმყოფებოდი.

„ეს რა აბსურდია?“ – ვკითხე ჩემს

თავს. – „ნუ ხარ იდიოტი. ღმერთის გულისათვის, თუ ასე ძალიან გინდა, მიდი და პირდაპირ უთხარი ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობ; ის შენ თითსაც ვერ დაგაკარებს.“

ჰეი... რა მაგარი იდეა! ამასთან ერთად... კარგი... საბოლოო ჯამში, ღირდა კი ამის გაკეთება? ასეთი რამეებისთვის მე უკვე საკმაოდ ბებერი ვიყავი და არც იმაში ვიყავი ბოლომდე დარწმუნებული, რომ ის მართლა ასე მშულდა. როგორ უნდა მოვქცეულიყავი? არც ის შემეძლო, ასე ვმჯდარიყავი და მისთვის იდიოტივით მეცქირა. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ, უცებ თავში ერთი, ცოტა არ იყოს, ცელქი აზრი მომივიდა. „შენ ახლა შემდეგნაირად მოიქცევი“, – ვუთხარი ჩემს თავს“, – „მისკენ გადაიხრები, ხელს მუხლზე მსუბუქად მოუთათუნებ და ეტყვი, ვინც ხარ. შემდეგ მის სახეს დაკვირდები. ამის შემდეგ, თქვენ მიერ ერთად გატარებულ სკოლის წლებზე დაუწყებ ხმამალლა ლაპარაკს ისე, რომ ვაგონში მყოფმა სხვა ადამიანებმაც გაიგონონ. ხუმრობით შეახსენებ იმ რაღაცების შესახებ, რასაც ის შენ გიკეთებდა; ის კი არა, შეგიძლია გასახდელში გალახვის მომენტებსაც შეეხო ისე, რომ ცოტა აღელდეს. არც ის აწყენდა, ცოტა კიდეც რომ გააღიზიანო და თავი უხერხულად აგრძნობინო. პირადად შენ ეს ყველაფერი ძალიან ხელსაყრელ მდგო-

მარეობაში ჩაგაყენებს...“ უცებ ფოქსლიმ ზევით ამოიხედა და ჩემი დაუინებული მზერა დაიჭირა. მსგავსი რამ უკვე მეორედ ხდებოდა; ამჯერად მას უკვე ოდნავ გაღიზიანებული გამომეტყველება ჰქონდა.

„საკმარისია“, – ვუთხარი ჩემს თავს. – „დროა, დაიწყო; მაგრამ, ეს ყველაფერი სასიამოვნოდ, კეთილგანწყობით და თავაზიანად უნდა გავაკეთო. ასე გაცილებით მეტი ეფექტი ექნება და ისიც უფრო უხერხულად მდგომარეობაში ჩავარდება“.

თავაზიანობის ნიშნად გავულიმე და თავი ოდნავ დავუკარი. შემდეგ, ხმამაღლა მივმართე:

– იმედია, მაპატიებთ. მინდა საკუთარი თავი წარმოგიდგინოთ.

მისკენ რაც შეიძლება ახლოს გადავიხარე და ახლოდან ვუყურებდი, რომ მისი რეაქცია არ გამომჩენოდა.

– მე ქვია პერკინსი, უილიამ პერკინსი. დავამთავრე რეპტონი, 1907 წელს...

ვაგონში მყოფი დანარჩენი მგზავრები ძალიან წყნარად ისხდნენ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ყველა გვისმენდა და ელოდნენ, რა მოხდებოდა.

– მოხარული ვარ თქვენი გაცნობით,
– მითხრა მან და გაზეთი მუხლზე დაუშვა.

– მე გახლავართ ფორტესკიუ, ჯოსელინ ფორტესკიუ. იტონი, 1916 წელი.

**ინგლისურიდან თარგმნა
ზურაბ სონღულაშვილმა**